პროექტი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება N

2026 წლის ----- იანვარი

ცხოველთა ჯანმრთელობის წესის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული „ცხოველთა ჯანმრთელობის წესი“.

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**

ცხოველთა ჯანმრთელობის წესი

თავი 1

მიზანი, მოქმედების სფერო და განმარტებები

მუხლი 1. მიზანი

1. „ცხოველთა ჯანმრთელობის წესი“ (შემდგომ წესი) ადგენს ცხოველიდან ცხოველზე ან ადამიანზე გადამდები დაავადებების პრევენციისა და კონტროლის წესებს და განსაზღვრავს:

ა) ამ წესის პირველი-მე-17 მულებით ქვეყანაში არსებული დაავადებების პრიორიტეტიზაციასა და კატეგორიზაციას და ცხოველთა ჯანმრთელობაზე პასუხისმგებლობას;

ბ) ამ წესის მე-18-37-ე მუხლებით დაავადების ადრეულ გამოვლენას, შეტყობინებასა და ანგარიშგებას, ზედამხედველობას, აღმოფხვრის პროგრამებსა და დაავადებისგან თავისუფალ სტატუსს;

გ) ამ წესის 35-ე-70-ე მუხლებით დაავადების შესახებ ინფორმირებულობას, მზადყოფნასა და კონტროლს;

დ) ამ წესის 71-ე-164-ე, 177-ე, 178-ე და 181-ე მუხლებით საწარმოსა და გადამზიდავის რეგისტრაციას, ავტორიზაციასა და აღიარებას, ცხოველების, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების გადაადგილებასა და მიკვლევადობას;

ე) ამ წესის 165-ე-176-ე, 177-ე, 178-ე, 181-ე მუხლებით ცხოველების, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების შემოსვლას და ექსპორტს;

ვ) ამ წესის 176-ე-181-ე მუხლებით შინაური ბინადარი ცხოველების არაკომერციულ გადაადგილებას სხვა ქვეყნიდან ან ტერიტორიიდან;

ზ) ამ წესის 182-ე-185-ე მუხლებით საგანგებო ზომებს, რომლებიც უნდა იქნას მიღებული დაავადებასთან დაკავშირებული საგანგებო მდგომარეობის დროს.

2. ამ წესის მიზანია, უზრუნველყოს:

ა) ქვეყანაში ცხოველთა ჯანმრთელობის გაუმჯობესება მდგრადი სოფლის მეურნეობის მხარდასაჭერად და აკვაკულტურის წარმოებისთვის;

ბ) შიდა ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირება;

გ) საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე, გარემოსა და ცხოველთა ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების შემცირება:

გ.ა) ზოგიერთი დაავადების;

გ.ბ) დაავადების პრევენციისა და კონტროლის ღონისძიებებით.

3. ეს წესი ითვალისწინებს:

ა) კავშირს ცხოველთა ჯანმრთელობასა და:

ა.ა) საზოგადოებრივ ჯანმრთელობას შორის;

ა.ბ) გარემოს, ბიომრავალფეროვნების და ღირებული გენეტიკური რესურსების ჩათვლით, ასევე კლიმატის ცვლილების გავლენას შორის;

ა.გ) სურსათისა და ცხოველის საკვების უვნებლობას შორის;

ა.დ) ცხოველთა კეთილდღეობას შორის, რაც შეიძლება თავიდან იქნას აცილებული ტკივილის, სტრესის ან ტანჯვის ჩათვლით;

ა.ე) ანტიმიკრობული რეზისტენტობას შორის;

ა.ვ) სურსათის უსაფრთხოებას შორის;

ბ) დაავადების კონტროლისა და პრევენციის ზომების გამოყენების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და გარემოსდაცვით შედეგებს;

გ) შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას.

მუხლი 2. მოქმედების სფერო

1. ეს წესი ვრცელდება:

ა) შენახულ და გარეულ ცხოველებზე;

ბ) გასამრავლებელ (გენეტიკურ) მასალაზე;

გ) ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე;

დ) ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტებსა და მეორეულ პროდუქტებზე „ტექნიკური რეგლამენტის – „ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტისა (მათ შორის, ცხოველური ნარჩენების) და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მოხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორის აღიარების წესების“ დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის N605 დადგენილების გათვალისწინებით;

ე) ობიექტებზე, სატრანსპორტო საშუალებებზე, აღჭურვილობაზე და ინფექციის ყველა სხვა გზასა და მასალაზე, რომელიც ჩართულია ან პოტენციურად ჩართული შეიძლება იყოს ცხოველთა გადამდები დაავადებების გავრცელებაში.

2. ეს წესი ვრცელდება გადამდებ დაავადებებზე, მათ შორის ზოონოზებზე:

ა) ,,ტექნიკური რეგლამენტის – ზოგიერთი გადამდები ღრუბლისებრი ენცეფალოპათიების პრევენციის, კონტროლისა და აღმოფხვრის წესის დამტკიცების შესახებ” - საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 დეკემბრის N600 დადგენილების გათვალისწინებით;

ბ)„ზოონოზისა და ზოონოზური აგენტის მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 5 ივლისის №323 დადგენილების გათვალისწინებით

გ) ,,სალმონელასა და სხვა სპეციფიკური საკვებისმიერი ზოონოზური აგენტების კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 მარტის N172 დადგენილების გათვალისწინებით.

3. ამ წესით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს, კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო), საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში –სააგენტო), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (შემდგომში-შემოსავლების სამსახური), კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 3. მოქმედების სფერო ამ წესის ცალკეული მუხლების ფარგლებში

1. ამ წესის 71-ე-121-ე მუხლები გამოიყენება:

ა) ხმელეთის ცხოველებზე და ცხოველებზე, რომლებიც არ არიან ხმელეთის ცხოველები, მაგრამ შეუძლიათ ხმელეთის ცხოველებზე დაავადებების გადაცემა;

ბ) ხმელეთის ცხოველების გასამრავლებელ (გენეტიკურ) მასალაზე;

გ) ხმელეთის ცხოველებისგან მიღებულ ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე.

2. ამ წესის 122-ე-163-ე მუხლები გამოიყენება:

ა) წყლის ცხოველებზე და ცხოველებზე, რომლებიც არ არიან წყლის ცხოველები, მაგრამ შეუძლიათ წყლის ცხოველების დაავადებების გადაცემა;

ბ) წყლის ცხოველებისგან მიღებულ ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე.

3. ამ წესის 164-ე მუხლი ვრცელდება:

ა) სხვა ცხოველებზე;

ბ) გასამრავლებელ მასალაზე და ამ პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე, რომლებიც მიღებულია სხვა ცხოველებიდან.

4. ამ წესის 71-ე-176-ე მუხლები, ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, არ ვრცელდება შინაური ბინადარი ცხოველების არაკომერციულ გადაადგილებაზე;

5. შინაური ბინადარი ცხოველების გადაადგილება, გარდა არაკომერციული გადაადგილებისა, უნდა შეესაბამებოდეს ამ წესის 71-ე-176-ე მუხლებით დადგენილ ცხოველთა ჯანმრთელობის მოთხოვნებს.

6. ამ წესის 177-ე-181-ე მუხლები ვრცელდება მხოლოდ შინაური ბინადარი ცხოველების არაკომერციულ გადაადგილებაზე, რომელიც აკმაყოფილებს ამ წესის 177-ე და 178-ე მუხლებით დადგენილ მოთხოვნებს ცხოველთა მაქსიმალურ რაოდენობასთან დაკავშირებით, რომლებიც შეიძლება თან ახლდეს მფლობელს და მფლობელსა და ცხოველს შორის გადაადგილებისას გასული დღეების მაქსიმალურ რაოდენობას.

მუხლი 4. ტერმინთა განმარტებები

ამ წესების მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ცხოველ(ებ)ი** - ხერხემლიანი და უხერხემლო ცხოველები;

ბ) **ხმელეთის ცხოველები** - ფრინველები, ხმელეთის ძუძუმწოვრები, ფუტკრები და ბაზი ფუტკრები;

გ) **წყლის ცხოველები** - შემდეგი სახეობების ცხოველები სიცოცხლის ყველა ეტაპზე, მათ შორის კვერცხუჯრედი, სპერმა და გამეტები:

გ.ა) თევზი, რომელიც მიეკუთვნება *Agnatha* კლასს და Chondrichthyes, Sarcopterygii და Actinopterygii კლასებს;

გ.ბ) წყლის მოლუსკები, რომლებიც მიეკუთვნებიან მოლუსკების გვარს;

გ.გ) წყლის კიბოსნაირები, რომლებიც მიეკუთვნებიან Crustacea ქვეჯგუფს;

დ) **სხვა ცხოველები** - სხვა სახეობის ცხოველები, გარდა ხმელეთის ან წყლის ცხოველების განმარტებისა;

ე) **შენახული ცხოველები** - ცხოველები, რომლებსაც ინახავს ადამიანი, მათ შორის, წყლის ცხოველების შემთხვევაში - აკვაკულტურის ცხოველები;

ვ) **აკვაკულტურა** - წყლის ცხოველების შენახვა, სადაც ცხოველები რჩება ერთი ან მეტი ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრებაში, გამოზრდის ან კულტივირების ეტაპების განმავლობაში, მოსავლის აღებამდე და მოსავლის აღების ჩათვლით, გარდა ადამიანის მიერ მოხმარებისთვის განკუთვნილი წყლის გარეული ცხოველების (რომლებიც შემდგომში დროებით ინახება დაკვლის მოლოდინში კვების გარეშე), მოსავლის აღებისა ან დაჭერისა;

ზ) **აკვაკულტურის ცხოველები** - აკვაკულტურას დაქვემდებარებული წყლის ნებისმიერი ცხოველი;

თ) **გარეული ცხოველები** - ცხოველები, რომლებიც არ არიან შენახული ცხოველები;

ი) **ფრინველი** - ფრინველები, რომელთა გამოზრდა ან შენახვა ხორციელდება ჩაკეტილ სივრცეში:

ი.ა) წარმოებისთვის:

ი.ა.ა) ხორცის;

ი.ა.ბ) სამომხმარებლო კვერცხის;

ი.ა.გ) სხვა პროდუქტების;

ი.ბ) სანადირო ფრინველების მარაგის შევსებისათვის;

ი.გ) ფრინველების მოშენებისთვის, რომლებიც გამოიყენება ამ მუხლის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებში მითითებული სახეობების წარმოებისთვის;

კ) **ჩაკეტილ სივრცეში მყოფი ფრინველი** - ჩაკეტილ სივრცეში რაიმე მიზეზით შენახული ნებისმიერი ფრინველი, გარდა ამ მუხლის ,,ი“ ქვეპუნქტში განსაზღვრული მიზეზისა, მათ შორის, შოუებისთვის, რბოლებისთვის, გამოფენებისთვის, შეჯიბრებისთვის, მოშენებისთვის ან გაყიდვებისთვის შენახული ფრინველები;

ლ) **შინაური ბინადარი ცხოველი** - ამ წესის დანართის N1 „შინაური ბინადარი ცხოველის სახეობები“ შესაბამისად სიით განსაზღვრული სახეობების შენახული ცხოველი, რომელიც ინახება კერძო არაკომერციული მიზნებისთვის;

მ) **ცხოველის მომვლელი** - ფიზიკური პირი (შეიძლება მოიცავდეს ასევე შინაური ბინადარი ცხოველის მფლობელს), რომელიც ინახავს შინაურ ცხოველს;

ნ) **ცხოველის მფლობელი -** ფიზიკური პირი, რომელიც მითითებულია ამ წესის 179-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტსა და 180-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ იდენტიფიკაციის დოკუმენტში მფლობელად;

ო) **არაკომერციული გადაადგილება** - მფლობელის თანხლებით შინაური ბინადარი ცხოველის ნებისმიერი გადაადგილება, რომელსაც:

ო.ა) არ აქვს მიზნად შესაბამისი შინაური ბინადარი ცხოველის გაყიდვა ან საკუთრებაში გადაცემა სხვა ფორმით; და

ო.ბ) არის შინაური ბინადარი ცხოველის მფლობელის გადაადგილების ნაწილი:

ო.ბ.ა) ან მისი უშუალო პასუხისმგებლობის ქვეშ;

ო.ბ.ბ) ან ავტორიზებული პირის პასუხისმგებლობით, იმ შემთხვევებში, როდესაც შინაური ბინადარი ცხოველი ფიზიკურად განცალკევებულია მისი მფლობელისგან;

პ) **ავტორიზებული პირი** - შინაური ბინადარი ცხოველის მფლობელისგან წერილობითი უფლებამოსილების მქონე ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელსაც უფლება აქვს, განახორციელოს შინაური ბინადარი ცხოველის არაკომერციული გადაადგილება შინაური ბინადარი ცხოველის მფლობელის სახელით;

ჟ) **დაავადება** - ინფექციებისა და ინვაზიების გაჩენა ცხოველებში, კლინიკური ან პათოლოგიური გამოვლინებით ან მის გარეშე, გამოწვეული ერთი ან მეტი დაავადების გამომწვევი აგენტით;

რ) **დაავადების აგენტი** - ცხოველებზე ან ადამიანებზე გადამდები პათოგენი, რომელსაც შეუძლია ცხოველებში დაავადების გამოწვევა;

ს) **სიით განსაზღვრული დაავადებები** - ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტში განსაზღვრული დაავადებები;

ტ) **დაავადების პროფილი** - ამ წესის მე-7 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტში მითითებული დაავადების კრიტერიუმები;

უ) **სიით განსაზღვრული სახეობები** - ამ წესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად სიით განსაზღვრული ცხოველთა სახეობა ან ცხოველთა სახეობების ჯგუფი ან ახალაღმოცენებადი დაავადებების შემთხვევაში ცხოველთა სახეობა ან ცხოველთა სახეობების ჯგუფი, რომელიც აკმაყოფილებს ამ წესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში სიით განსაზღვრული სახეობების კრიტერიუმებს;

ფ) **საფრთხე** - დაავადების გამომწვევი აგენტი ან მდგომარეობა ცხოველში ან პროდუქტში, რომელსაც პოტენციალი აქვს უარყოფითი გავლენა მოახდინოს ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობაზე;

ქ) **რისკი** - ცხოველთა ან საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე ბიოლოგიური და ეკონომიკური შედეგების უარყოფითი ზემოქმედების/ზეგავლენის გაჩენის ალბათობა და სავარაუდო სიდიდე;

ღ) **ბიოუსაფრთხოება** - მენეჯმენტისა და ფიზიკური ზომების ერთობლიობა, რომელიც შექმნილია ფერმიდან და ფერმაში დაავადებების შეჭრის, განვითარებისა და გავრცელების რისკის შესამცირებლად:

ღ.ა) ცხოველთა პოპულაციაში, ან

ღ.ბ) საწარმოში, ზონაში, კომპარტმენტში, სატრანსპორტო საშუალებაში ან ნებისმიერ სხვა ობიექტში, შენობაში ან ადგილმდებარეობაზე;

ყ) **ბიზნესოპერატორი** - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელის პასუხისმგებლობის ქვეშაა ცხოველები ან პროდუქტები, მათ შორის შეზღუდული ხანგრძლივობით, შინაური ბინადარი ცხოველების მომვლელებისა და ვეტერინარების გარდა;

შ) **გადამზიდავი** - ბიზნესოპერატორი, რომელსაც გადაჰყავს ცხოველები საკუთარი ან მესამე პირის დავალებით;

ც) **ცხოველის სპეციალისტი** - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც აქვს პროფესიული შეხება ცხოველებთან ან პროდუქტებთან, გარდა ბიზნესოპერატორებისა და ვეტერინარებისა;

ძ) **საწარმო** - ნებისმიერი შენობა, კონსტრუქცია ან ღია ცის ქვეშ ფერმის შემთხვევაში, ნებისმიერ გარემო ან ადგილი, სადაც ცხოველები ან გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალა დროებით ან მუდმივად ინახება, გარდა:

ძ.ა) სახლისა, სადაც ინახება შინაური ბინადარი ცხოველები;

ძ.ბ) ვეტერინარული პრაქტიკისა ან კლინიკებისა;

წ) **გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალა**:

წ.ა) ხელოვნური გამრავლებისთვის განკუთვნილი სპერმა, კვერცხუჯრედი და ემბრიონი;

წ.ბ) საინკუბაციო კვერცხი;

ჭ) **ცხოველური წარმოშობის პროდუქტები:**

ჭ.ა) ცხოველური წარმოშობის სურსათი, მათ შორის თაფლი და სისხლი;

ჭ.ბ) ადამიანის მიერ მოხმარებისთვის განკუთვნილი ცოცხალი ორსაგდულიანი მოლუსკები, ცოცხალი კანეკლიანები, ცოცხალი ტუნიკატები და ცოცხალი ზღვის მუცელფეხიანები;

ჭ.გ) ცხოველები, გარდა ამ მუხლის ,,ჭ.ბ" ქვეპუნქტში მითითებული ცხოველებისა, რომლებიც მზადდება საბოლოო მომხმარებელზე ცოცხლად მიწოდებისთვის;

ხ) **ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტები** (შემდგომში - ცწადპ) - ცხოველის მთლიანი სხეული ან მისი ნაწილი, ცხოველური წარმოშობის პროდუქტი

ან ცხოველისგან მიღებული სხვა პროდუქტი, რომლებიც არ არის განკუთვნილი ადამიანის მიერ მოხმარებისთვის, გარდა გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალისა;

ჯ) **მეორეული პროდუქტები** - ცწადპ-ის ერთი ან მეტი დამუშავების, გარდაქმნის (ტრანსფორმაციის) ან გადამუშავების ეტაპის გავლის შედეგად მიღებული პროდუქტი;

ჰ) **პროდუქტები:**

ჰ.ა) გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალა;

ჰ.ბ) ცხოველური წარმოშობის პროდუქტები;

ჰ.გ) ცწადპ და მეორეული პროდუქტები;

ჰ[1]) **სახელმწიფო კონტროლი** - კონტროლის ნებისმიერი ფორმა, რომელიც ხორციელდება ,,სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლისა და სხვა ოფიციალური საქმიანობის განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 იანვრის N24 დადგენილების შესაბამისად;

ჰ[2]) **ჯანმრთელობის სტატუსი** - სიით განსაზღვრული სახეობებისთვის შესაბამის სიით განსაზღვრულ დაავადებებზე შემდეგის გათვალისწინებით:

ჰ[2].ა) ცხოველთან დაკავშირებით;

ჰ[2].ბ) იმ ცხოველებთან დაკავშირებით, რომლებიც იმყოფებიან:

ჰ[2].ბ.ა) ეპიდემიოლოგიური ერთეულში;

ჰ[2].ბ.ბ) საწარმოში;

ჰ[2].ბ.გ) ზონაში;

ჰ[2].ბ.დ) კომპარტმენტში;

ჰ[2].ბ.ე) სხვა ქვეყანაში ან ტერიტორიაში;

ჰ[3]) **ზონა**:

ჰ[3]ა) ხმელეთის ცხოველებისთვის - ქვეყნის ტერიტორია, ზუსტი გეოგრაფიული დელიმიტაციით, რომელიც შეიცავს ცხოველთა ქვეპოპულაციას მკაფიო ჯანმრთელობის

სტატუსით კონკრეტულ დაავადებასთან ან იმ კონკრეტულ დაავადებებთან მიმართებაში, რომლებიც ექვემდებარება შესაბამის ზედამხედველობას, დაავადებათა კონტროლს და ბიოუსაფრთხოების ზომებს;

ᲗᲐᲑ) წყლის ცხოველებისთვის - მომიჯნავე ჰიდროლოგიური სისტემა, მკაფიო ჯანმრთელობის სტატუსის მქონე კონკრეტულ დაავადებასთან ან იმ კონკრეტულ დაავადებებთან მიმართებაში, რომელიც ქმნის ტერიტორიას, ამ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ერთ-ერთ შემდეგში:

ᲗᲐᲑ.Ა) მთლიან წყალშემკრებში, წყლის წყაროდან შესართავამდე (ესტუარი) ან ტბამდე;

ᲗᲐᲑ.Ბ) ერთზე მეტ წყალშემკრებში;

ᲗᲐᲑ.Გ) წყალშემკრების ნაწილში, წყლის წყაროდან ბარიერამდე, რომელიც ხელს უშლის კონკრეტული დაავადების ან დაავადებების შეჭრას;

ᲗᲐᲑ.Დ) სანაპირო არეალის ნაწილში, ზუსტი გეოგრაფიული დელიმიტაციით;

ᲗᲐᲑ.Ე) შესართავში (ესტუარი), ზუსტი გეოგრაფიული დელიმიტაციით;

Თ) **წყალშემკრები** - მიწის ნაკვეთი ან აუზი, რომელიც შემოიფარგლება ბუნებრივი მახასიათებლებით, როგორიცაა ბორცვები ან მთები, რომელშიც ჩაედინება ყველა ჩამონადენი წყალი;

Თ) **კომპარტმენტი** - ცხოველთა ქვეპოპულაცია ერთ ან მეტ საწარმოში და, წყლის ცხოველების შემთხვევაში, აკვაკულტურის ერთ ან მეტ საწარმოში, ბიოუსაფრთხოების მართვის საერთო სისტემის ქვეშ, მკაფიო ჯანმრთელობის სტატუსით კონკრეტულ დაავადებასთან ან დაავადებასთან მიმართებაში, რომლებიც ექვემდებარება შესაბამის ზედამხედველობას, დაავადებათა კონტროლს და ბიოუსაფრთხოების ზომებს;

Თ) **კარანტინი** - ცხოველების იზოლირებული შენახვა ეპიდემიოლოგიური ერთეულის გარეთ მყოფ ცხოველებთან პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტაქტის გარეშე, იმ მიზნით, რომ არ მოხდეს ერთი ან მეტი განსაზღვრული დაავადების გავრცელება, ვიდრე ცხოველი იზოლირებულია დაკვირვების ქვეშ, განსაზღვრული დროის განმავლობაში და, საჭიროების შემთხვევაში, ლაბორატორიული გამოკვლევები და მკურნალობა;

Თ) **ეპიდემიოლოგიური ერთეული** - ცხოველთა ჯგუფი, რომელთაც აქვთ დაავადების გამომწვევთან ექსპოზიციის ერთნაირი ალბათობა;

3[8]) **აფეთქება** - სიით განსაზღვრული დაავადების ან ახალაღმოცენებადი დაავადების ოფიციალურად დადასტურებული შემთხვევა ერთ ან მეტ ცხოველში, საწარმოში ან სხვა ადგილას, სადაც ცხოველები ინახება ან იმყოფება;

3[9]) **შეზღუდული ზონა** - ზონა, რომელშიც გამოიყენება ზოგიერთი ცხოველის ან პროდუქტის გადაადგილების შეზღუდვები და დაავადების კონტროლის სხვა ზომები, რათა თავიდან აიცილონ კონკრეტული დაავადების გავრცელება იმ ადგილებში, სადაც არ არის გამოყენებული შეზღუდვები; შეზღუდული ზონა, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება მოიცავდეს დამცავ და საზედამხედველო ზონებს;

3[10]) **დამცავი ზონა** - აფეთქების ადგილის (კერის) ირგვლივ და კერის ჩათვლით ტერიტორია, სადაც გამოიყენება დაავადების კონტროლის ზომები ამ ზონიდან დაავადების გავრცელების თავიდან ასაცილებლად;

3[11]) **საზედამხედველო ზონა** - ზონა, რომელიც იქმნება დამცავი ზონის ირგვლივ და სადაც გამოიყენება დაავადების კონტროლის ზომები დამცავი ზონიდან დაავადების გავრცელების თავიდან ასაცილებლად;

3[12]) **საინკუბაციო კვერცხი** - ფრინველის ან ჩაკეტილ სივრცეში მყოფი ფრინველის მიერ დადებული ინკუბაციისთვის განკუთვნილი კვერცხი;

3[13]) **ჩლიქოსანი** - ამ წესის დანართში N3 „ჩლიქოსნების სახეობები“ სიით განსაზღვრული ცხოველები;

3[14]) **გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის საწარმო**:

3[14].ა) სპერმასთან დაკავშირებით - საწარმო, სადაც სპერმის შეგროვება, წარმოება, გადამუშავება ან შენახვა ხდება;

3[14].ბ) კვერცხუჯრედთან და ემბრიონთან დაკავშირებით - სპეციალისტთა ჯგუფი ან სტრუქტურა, რომელსაც ზედამხედველობას უწევს ობიექტზე პასუხისმგებელი ვეტერინარი, რომელიც კომპეტენტურია კვერცხუჯრედის და ემბრიონის შეგროვებაზე, წარმოებაზე, გადამუშავებასა და შენახვაზე;

3[14].გ) საინკუბაციო კვერცხთან დაკავშირებით - ინკუბატორი;

3[15]) **ინკუბატორი** - საწარმო, რომელშიც აგროვებენ, ინახავენ, ახორციელებენ ინკუბაციას და იჩეკება კვერცხი რათა მიწოდებული იქნეს:

ᲖᲐ[15]ა) საინკუბაციო კვერცხი;

ᲖᲐ[15].ბ) ერთდღიანი წიწილები ან სხვა სახეობის ფრინველი;

ᲖᲐ[16]) **შემოფარგლული საწარმო** - ნებისმიერი ბუნებრივად შექმნილი მუდმივი, გეოგრაფიულად შემოსაზღვრული საწარმო, სადაც ცხოველები არიან:

ᲖᲐ[16].ა) მოშენებული და შენახული გამოფენების, საგანმანათლებლო, სახეობების კონსერვაციის ან კვლევის მიზნებისათვის;

ᲖᲐ[16].ბ) შემოფარგლული და განცალკევებული გარემოსაგან;

ᲖᲐ[16].გ) დაქვემდებარებული ცხოველთა ჯანმრთელობის ზედამხედველობას და ბიოუსაფრთხოების ზომებს;

ᲖᲐ[17]) **შეკრების ოპერაცია** - ერთზე მეტი საწარმოდან ხმელეთის ცხოველების შეგროვება იმ სახეობის ცხოველის შესაბამისი ბინადრობისთვის საჭირო პერიოდზე ნაკლები დროის განმავლობაში;

ᲖᲐ[18]) **ბინადრობის პერიოდი** - მინიმალური პერიოდი, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ საწარმოში შეყვანილი ცხოველი არ იყოს ამ საწარმოში მყოფი ცხოველების ჯანმრთელობის სტატუსზე უფრო დაბალი სტატუსის;

ᲖᲐ[19]) **მიკვლევა** - „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლისა და სხვა ოფიციალური საქმიანობის განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 იანვრის N24 დადგენილებით განსაზღვრული სახელმწიფო კონტროლის ინფორმაციის მართვის (IMSOC) ინტეგრირებული სისტემის კომპონენტი;

ᲖᲐ[20]) **წყლის სასურსათო დანიშნულების ცხოველების დაავადების კონტროლის საწარმო** - ამ წესის 128-ე მუხლის შესაბამისად აღიარებული სურსათის ბიზნესი;

ᲖᲐ[21]) **სახელმწიფო ვეტერინარი** - ,,სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლისა და სხვა ოფიციალური საქმიანობის განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 იანვრის N24 დადგენილების მე-3 მუხლის ,,ჯ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სახელმწიფო ვეტერინარი;

ჰ[22]) **სახელმწიფო ვეტერინარი სხვა ქვეყანაში ან ტერიტორიაზე** - ამ მუხლის ,,ჰ[21]“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სახელმწიფო ვეტერინარის შესაბამისი ვეტერინარი სხვა ქვეყანაში ან ტერიტორიაზე;

ჰ[23]) **კომპეტენტური ორგანო** - ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია სახელმწიფო კონტროლისა და ნებისმიერი სხვა ოფიციალური საქმიანობის ორგანიზებაზე ამ წესისა და ,,სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლისა და სხვა ოფიციალური საქმიანობის განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 ივლისის N24 დადგენილების შესაბამისად, ან ნებისმიერ სხვა ორგანო, რომელზეც ამ პასუხისმგებლობის დელეგირება განხორციელდა;

ჰ[24]) **სხვა ქვეყნის ან ტერიტორიის კომპეტენტური ორგანო** - ამ მუხლის ,,ჰ[23]“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურ ორგანოს შესაბამისი ორგანო სხვა ქვეყანაში ან ტერიტორიაზე.

თავი II

სიით განსაზღვრული დაავადებები, ახალაღმოცენებადი დაავადებები და სიით განსაზღვრული სახეობები

მუხლი 5. სიით განსაზღვრული დაავადებები

1. ამ წესით გათვალისწინებული დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის სპეციფიკური წესები ვრცელდება:

ა) შემდეგ დაავადებებზე:

ა.ა) თურქულის დაავადება;

ა.ბ) ღორის კლასიკური ცხელება;

ა.გ) ღორის აფრიკული ცხელება;

ა.დ) მაღალპათოგენური ფრინველის გრიპი;

ა.ე) ცხენის აფრიკული ცხელება;

ბ) ამ წესის დანართში N2 „ცხოველის დაავადებების სია“ განსაზღვრულ დაავადებებზე.

2. დაავადება შეიტანება ამ წესის დანართში N2 განსაზღვრულ სიაში, თუ იგი შეფასებულია ამ წესის მე-7 მუხლის შესაბამისად და აკმაყოფილებს:

ა) ყველა შემდეგ კრიტერიუმს:

ა.ა) სამეცნიერო მტკიცებულება მიუთითებს, რომ დაავადება გადამდებია;

ა.ბ) ცხოველთა სახეობები ან ამთვისებელია ამ დაავადების მიმართ, ან მისი ვექტორები და რეზერვუარები არსებობს ქვეყანაში;

ა.გ) დაავადება იწვევს ცხოველთა ჯანმრთელობაზე უარყოფით გავლენას ან საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ ჯანმრთელობას მისი ზოონოზური ხასიათის გამო;

ა.დ) დაავადების დიაგნოსტიკური საშუალებები ხელმისაწვდომია;

ა.ე) რისკის შემამცირებელი ღონისძიებები და, საჭიროების შემთხვევაში, დაავადების ზედამხედველობა ეფექტური და პროპორციულია ქვეყანაში დაავადების მიერ გამოწვეული რისკების მიმართ;

ბ) შემდეგი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთს მაინც:

ბ.ა) დაავადება იწვევს ან შეიძლება გამოიწვიოს ქვეყანაში მნიშვნელოვანი ნეგატიური ზემოქმედება ცხოველთა ჯანმრთელობაზე, ან უქმნის ან შეიძლება შეუქმნას მნიშვნელოვანი რისკი საზოგადოებრივ ჯანმრთელობას მისი ზოონოზური ხასიათის გამო;

ბ.ბ) დაავადების გამომწვევ აგენტს განუვითარდა რეზისტენტობა იმ მკურნალობაზე, რომლებიც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ქვეყანაში საზოგადოებრივ და/ან ცხოველთა ჯანმრთელობას;

ბ.გ) დაავადება იწვევს ან შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი უარყოფითი ეკონომიკური გავლენა, რომელიც გავლენას მოახდენს სოფლის მეურნეობის ან აკვაკულტურის წარმოებაზე;

ბ.დ) დაავადებას აქვს კრიზისის წარმოქმნის პოტენციალი ან დაავადების აგენტი შეიძლება გამოყენებულ იქნას ბიოტერორიზმის მიზნით;

ბ.ე) დაავადებას აქვს ან შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე, მათ შორის ბიომრავალფეროვნებაზე.

3. ამ წესის დანართიდან N2 დაავადება ამოღებულ უნდა იქნეს, როდესაც ეს დაავადება აღარ აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს. გათვალისწინებული უნდა იქნეს ხელმისაწვდომი მნიშვნელოვანი ახალი სამეცნიერო მონაცემები.

მუხლი 6. ახალაღმოცენებადი დაავადებები

1. დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის წესები ვრცელდება ამ წესით გათვალისწინებულ ახალაღმოცენებად დაავადებებზეც.

2. სიით განსაზღვრული დაავადების გარდა სხვა დაავადება ჩაითვლება ახალაღმოცენებად დაავადებად, იმ პირობით, რომ მას აქვს პოტენციალი დააკმაყოფილოს ამ წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმები და:

ა) გამოწვეულია არსებული დაავადების გამომწვევი აგენტის ევოლუციით ან ცვლილებით;

ბ) არის ცნობილი დაავადება, რომელიც ვრცელდება ახალ გეოგრაფიულ არეალში, სახეობებზე ან პოპულაციაში;

გ) პირველად დაისვა დიაგნოზი ქვეყანაში; ან

დ) გამოწვეულია უცნობი ან ადრე არაღიარებული დაავადების გამომწვევი აგენტით.

3. ბიზნესოპერატორის ნებისმიერი ვალდებულება ახალაღმოცენებად დაავადებასთან დაკავშირებით, ამ წესის თანახმად, მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ დაავადების საწინააღმდეგო ღონისძიებები ან თუ ამ წესის 35-ე მუხლის შესაბამისად დაავადება იფარება საგანგებო გეგმით.

მუხლი 7. სიით განსაზღვრული დაავადებებისთვის შეფასების პარამეტრები

შეფასების შემდეგი პარამეტრები გამოიყენება ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ სიაში დაავადების შესატანად:

ა) დაავადების პროფილი, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგს:

ა.ა) ცხოველის სახეობა, რომელსაც ეხება დაავადება;

ა.ბ) დაავადების ავადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლები ცხოველთა პოპულაციაში;

ა.გ) დაავადების ზოონოზური ხასიათი;

ა.დ) მკურნალობისადმი რეზისტენტობა, მათ შორის ანტიმიკრობული რეზისტენტობა;

ა.ე) დაავადების მდგრადობა ცხოველთა პოპულაციაში ან გარემოში;

ა.ვ) დაავადების გადაცემის გზები და სიჩქარე ცხოველებს შორის და, საჭიროების შემთხვევაში, ცხოველებსა და ადამიანებს შორის;

ა.ზ) დაავადების არარსებობა ან არსებობა და გავრცელება ქვეყანაში და, როდესაც დაავადება არ არის ქვეყანაში, მისი შემოჭრის რისკი;

ა.თ) დიაგნოსტიკური და დაავადების კონტროლის საშუალებების არსებობა;

ბ) დაავადების გავლენა:

ბ.ა) სასოფლო-სამეურნეო და აკვაკულტურის წარმოებაზე და ეკონომიკის სხვა ნაწილებზე, რაც შეეხება:

ბ.ა.ა) საქართველოში დაავადების არსებობის დონეს;

ბ.ა.ბ) დაავადების გამო წარმოების დანაკარგებს;

ბ.ა.გ) სხვა დანაკარგებს;

ბ.ბ) ადამიანის ჯანმრთელობაზე:

ბ.ბ.ა) ცხოველებსა და ადამიანებს შორის გადამდებ დაავადებებთან დაკავშირებით;

ბ.ბ.ბ) ადამიანთა შორის გადამდებ დაავადებებთან დაკავშირებით;

ბ.ბ.გ) ადამიანებში დაავადების ფორმების სიმძიმის შესაბამისად;

ბ.ბ.დ) ადამიანებში ეფექტური პრევენციის ან სამედიცინო მკურნალობის ხელმისაწვდომობის შესაბამისად;

ბ.გ) ცხოველთა კეთილდღეობაზე;

ბ.დ) ბიომრავალფეროვნებასა და გარემოზე;

გ) მისი პოტენციალი კრიზისული სიტუაციის წარმოქმნისა და მისი პოტენციური გამოყენება ბიოტერორიზმში;

დ) დაავადების პრევენციისა და კონტროლის შემდეგი ღონისძიებების მიზანშეწონილობა, ხელმისაწვდომობა და ეფექტურობა:

დ.ა) დიაგნოსტიკური საშუალებები და შესაძლებლობები;

დ.ბ) ვაქცინაცია;

დ.გ) სამედიცინო მკურნალობა;

დ.დ) ბიოუსაფრთხოების ღონისძიებები;

დ.ე) ცხოველებისა და პროდუქტების გადაადგილების შეზღუდვები;

დ.ვ) ცხოველების მოკვლა;

დ.ზ) ლეშისა და სხვა შესაბამისი ცხოველური ცწადპ-ის განკარგვა;

ე) დაავადების პრევენციისა და კონტროლის ღონისძიებების გავლენა:

ე.ა) პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯებზე ზეგავლენის ქვეშ მყოფი სექტორებისთვის და მთლიანად ეკონომიკისთვის;

ე.ბ) საზოგადოებრივ აღქმაზე;

ე.გ) შენახული და გარეული ცხოველების ზეგავლენის ქვეშ მყოფი ქვეპოპულაციების კეთილდღეობა;

ე.დ) გარემოსა და ბიომრავალფეროვნებაზე.

მუხლი 8. სიით განსაზღვრული სახეობები

1. სიით განსაზღვრულ სახეობებზე ვრცელდება ამ წესით გათვალისწინებული სპეციფიკური წესები და საქართველოს კანონმდებლობით სიით განსაზღვრული დაავადებებისთვის დადგენილი მოთხოვნები.

2. სია შეიცავს ცხოველთა იმ სახეობებს, ან ცხოველთა სახეობების ჯგუფებს, რომლებიც წარმოადგენენ მნიშვნელოვან რისკს სიით განსაზღვრული კონკრეტული დაავადებების გავრცელებისთვის, შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

ა) რისკის ქვეშ მყოფი ცხოველთა პოპულაციის ამთვისებლობა;

ბ) ინკუბაციური პერიოდის ხანგრძლივობა და შესაბამისი ცხოველებისათვის დაინფიცირების პერიოდი;

გ) ამ ცხოველების უნარი იყვნენ ამ კონკრეტული დაავადებების მტარებლები.

3. ცხოველთა სახეობები ან ცხოველთა სახეობების ჯგუფები დაემატება სიას, თუ მათზე ზეგავლენას ახდენს ან წარმოადგენენ სიით განსაზღვრული კონკრეტული დაავადების გავრცელების რისკს, რადგან:

ა) წარმოადგენენ სიით განსაზღვრული კონკრეტული დაავადების ამთვისებლებს ან მეცნიერული მტკიცებულება მიუთითებს სავარაუდო ამთვისებლობას; ან

ბ) ისინი წარმოადგენენ ამ დაავადების ვექტორულ სახეობებს ან რეზერვუარებს, ან სამეცნიერო მტკიცებულება მიუთითებს, რომ სავარაუდოა მათი ასეთი როლი.

4. სიიდან ცხოველთა სახეობების ან ცხოველთა სახეობათა ჯგუფების ამოღება ხდება, როდესაც:

ა) სიით განსაზღვრული შესაბამისი დაავადება, რომლის მიმართაც სიით განსაზღვრულია ცხოველის სახეობა ან ცხოველთა სახეობების ჯგუფი, ამოღებულ იქნა სიიდან; ან

ბ) სამეცნიერო მტკიცებულება მიუთითებს, რომ სახეობა ან სახეობათა ჯგუფი აღარ აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ კრიტერიუმებს.

მუხლი 9. სხვადასხვა კატეგორიის სიით განსაზღვრული დაავადებების საწინააღმდეგო პრევენციისა და კონტროლის წესები

1. დაავადების პრევენციისა და კონტროლის წესები ვრცელდება სიით განსაზღვრულ დაავადებებზე შემდეგი სახით:

ა) სიით განსაზღვრული **A კატეგორიის** დაავადებების შემთხვევაში, რომლებიც ჩვეულებრივ არ გვხვდება ქვეყანაში და რომელთა აღმოჩენისთანავე უნდა იქნას მიღებული დაუყოვნებელი აღმოფხვრის ზომები, გამოიყენება ამ წესის:

ა.ა) 35-ე-მე-40 მუხლებით გათვალისწინებულიმოთხოვნები დაავადების შესახებ ინფორმირებულობისა და მზადყოფნის შესახებ;

ა.ბ) 41-ე-58-ე მუხლებით გათვალისწინებული დაავადების კონტროლის ღონისძიებები; და

ა.გ) 31-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კომპარტმენტთან დაკავშირებული მოთხოვნები;

ბ) სიით განსაზღვრული **B კატეგორიის** დაავადებების შემთხვევაში, რომლებიც უნდა კონტროლდებოდეს მათი აღმოფხვრის მიზნით მთელი ქვეყნის მასშტაბით, გამოიყენება ამ წესის:

ბ.ა) 26-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სავალდებულო აღმოფხვრის პროგრამების მოთხოვნები;

ბ.ბ) 30-ე მუხლით გათვალისწინებული დაავადებებისგან თავისუფალი ქვეყანა და ზონასთან დაკავშირებული მოთხოვნები;

ბ.გ) 31-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კომპარტმენტთან დაკავშირებულიმოთხოვნები; და

ბ.დ) 59-ე-62-ე, 64-ე-66-ე, 68-ე და 70-ე მუხლებით გათვალისწინებული დაავადების კონტროლის ღონისძიებები;

ბ.ე) შესაბამისის შემთხვევაში, ასევე გამოიყენება ამ პუნქტის ,,დ" და ,,ე" ქვეპუნქტებით განსაზღვრული ზომები;

გ) სიით განსაზღვრული **C კატეგორიის** დაავადებების **შემთხვევაში**, რომლებიც აქტუალურია ქვეყნისთვის და რომლებისთვისაც საჭიროა ზომები, რათა თავიდან იქნას აცილებული მათი გავრცელება იმ ნაწილებში, რომლებიც ოფიციალურად მიჩნეულია დაავადებისგან თავისუფლად ან რომლებსაც აქვთ სიით განსაზღვრული დაავადების აღმოფხვრის პროგრამები, გამოიყენება ამ წესის:

გ.ა) 26-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები არასავალდებულო აღმოფხვრის შესახებ;

გ.ბ) 30-ე მუხლით გათვალისწინებული დაავადებებისგან თავისუფალი ქვეყნისა და ზონის წესები;

გ.გ) 31-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კომპარტმენტთან დაკავშირებული წესები; და

გ.დ) 63-ე-65-ე, 67-ე, 69-ე, 70-ე მუხლებით გათვალისწინებული დაავადების კონტროლის ღონისძიებები;

გ.ე) შესაბამისის შემთხვევაში, ასევე გამოიყენება ამ პუნქტის ,,დ" და ,,ე" ქვეპუნქტებით განსაზღვრული ზომები;

დ) სიით განსაზღვრული **D კატეგორიის** დაავადებების **შემთხვევაში**, რომლისთვისაც საჭიროა ზომების მიღება მათი ქვეყანაში შემოჭრის გავრცელების თავიდან ასაცილებლად, გამოიყენება:

დ.ა) ქვეყანაში გადაადგილების წესები ამ წესის 102-ე-121-ე, 138-ე-163-ე 179-ე-180-ე მუხლების შესაბამისად; და

დ.ბ) ამ წესის 165-ე-176-ე მუხლებით გათვალისწინებული ქვეყანაში შემოსვლისა და ექსპორტის წესები.

ე) სიით განსაზღვრული **E კატეგორიის** დაავადებების შემთხვევაში, რომლისთვისაც არსებობს ზედამხედველობის საჭიროება, გამოიყენება ამ წესის:

ე.ა) მე-18-მე-20 მუხლებით გათვალისწინებული შეტყობინებისა და ანგარიშგების წესები; და

ე.ბ) 21-ე-25-ე მუხლებით გათვალისწინებული ზედამხედველობის წესები.

2. სიით განსაზღვრული A კატეგორიის დაავადებების შემთხვევაში, რომლებიც ჩვეულებრივ არ გვხვდება ქვეყანაში და რომელთა აღმოჩენისთანავე უნდა იქნას მიღებული დაუყოვნებელი აღმოფხვრის ზომები, შესაბამის შემთხვევაში ასევე გამოიყენება ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“, ,,დ” და ,,ე” ქვეპუნქტებით განსაზღვრული ღონისძიებები;

3.ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“-,,გ“ ქვეპუნქტებში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადებები ასევე განიხილება, როგორც სიით განსაზღვრულ D ან/და E კატეგორიის დაავადებებად, თუ აღნიშნული დაავადება გამოწვეულია რისკით, რომელიც შეიძლება ეფექტურად და პროპორციულად შემცირდეს ცხოველებისა და პროდუქტების გადაადგილებასთან დაკავშირებული ზომებით.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადებები ასევე შეიძლება ჩაითვალოს სიით განსაზღვრულ E კატეგორიის დაავადებებად.

თავი III

პასუხისმგებლობა ცხოველთა ჯანმრთელობაზე

მუხლი 10. ცხოველთა ჯანმრთელობასა და ბიოუსაფრთხოების ზომებზე პასუხისმგებლობა

1. ბიზნესოპერატორი:

ა) მისი პასუხისმგებლობის ქვეშ შენახულ ცხოველებსა და პროდუქტებთან მიმართებით, პასუხისმგებელია:

ა.ა) შენახული ცხოველების ჯანმრთელობაზე;

ა.ბ) ვეტერინარული პრეპარატების გონივრულ და პასუხისმგებლიან გამოყენებაზე, ვეტერინარის როლისა და კომპეტენციის გათვალისწინებით;

ა.გ) დაავადების გავრცელების რისკის მინიმუმამდე შემცირებაზე;

ა.დ) მეცხოველეობის კარგ პრაქტიკაზე;

ბ) საჭიროების შემთხვევაში, ატარებს ისეთი ბიოუსაფრთხოების ზომებს შენახულ ცხოველებთან და მის პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფ პროდუქტებთან დაკავშირებით, რომელიც შესაბამისია:

ბ.ა) შენახული ცხოველებისა და პროდუქტების სახეობებისა და კატეგორიებისათვის;

ბ.ბ) წარმოების ტიპისთვის; და

ბ.გ) ჩართულ რისკებთან, შემდეგის გათვალისწინებით:

ბ.გ.ა) გეოგრაფიული მდებარეობა და კლიმატური პირობები; და

ბ.გ.ბ) ადგილობრივი გარემოებები და პრაქტიკა;

გ) საჭიროების შემთხვევაში, ატარებს ბიოუსაფრთხოების ზომებს გარეულ ცხოველებთან დაკავშირებით.

2. ცხოველთა სპეციალისტებმა ცხოველებთან და პროდუქტებთან მათი პროფესიული შეხებისას უნდა მიიღონ ზომები დაავადების გავრცელების რისკის შესამცირებლად.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტი ასევე ვრცელდება შინაური ბინადარი ცხოველების მომვლელებზე.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტში მითითებული ბიოუსაფრთხოების ღონისძიებები უნდა განხორციელდეს, საჭიროებისას:

ა) ფიზიკური დაცვის ზომებით, რომელიც შეიძლება მოიცავდეს:

ა.ა) შემოღობვას, გადახურვას, ბადეს, საჭიროებისამებრ;

ა.ბ) მწერებისა და მღრღნელებისაგან გათავისუფლებას, დეზინფექციას და კონტროლს;

ა.გ) წყლის ცხოველების შემთხვევაში, საჭიროებისას:

ა.გ.ა) წყალმომარაგებისა და წყლის ჩაშვების შესახებ ზომებს;

ა.გ.ბ) ბუნებრივ ან ხელოვნურ ბარიერებს მიმდებარე წყლის დინებაზე, რომლებიც ხელს უშლის წყლის ცხოველების შესაბამის საწარმოში შესვლას ან გასვლას, მათ შორის ღონისძიებები მიმდებარე წყლის დინებიდან წყლით დატბორვის ან შეღწევის წინააღმდეგ;

ბ) მართვის ღონისძიებებით, რომელიც შეიძლება მოიცავდეს:

ბ.ა) ცხოველების, პროდუქტების, სატრანსპორტო საშუალებებისა და პირებისთვის საწარმოში შესვლისა და გასვლის პროცედურებს;

ბ.ბ) აღჭურვილობის გამოყენების პროცედურებს;

ბ.გ) გადაადგილების პირობებს წარმოშობილი რისკებიდან გამომდინარე;

ბ.დ) საწარმოში ცხოველების ან პროდუქტების შეყვანის პირობებს;

ბ.ე) ახლად შემოყვანილი ან დაავადებული ცხოველების კარანტინს, იზოლაციასა ან განცალკევებას;

ბ.ვ) მკვდარი ცხოველებისა და სხვა ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტების უსაფრთხო განკარგვის სისტემას.

5. ბიზნესოპერატორმა, ცხოველთა სპეციალისტებმა და შინაური ბინადარი ცხოველების მფლობელმა უნდა ითანამშრომლონ სააგენტოსთან და ვეტერინარებთან ამ წესით გათვალისწინებული დაავადების პრევენციისა და კონტროლის ღონისძიებების გამოყენებისას.

მუხლი 11. ცოდნა ცხოველთა ჯანმრთელობის შესახებ

1. ბიზნესოპერატორს და ცხოველთა სპეციალისტს უნდა ჰქონდეთ ადეკვატური ცოდნა:

ა) ცხოველთა დაავადებების, მათ შორის ადამიანებზე გადამდები დაავადებების შესახებ;

ბ) ბიოუსაფრთხოების პრინციპების შესახებ;

გ) ცხოველთა ჯანმრთელობას, ცხოველთა კეთილდღეობასა და ადამიანის ჯანმრთელობას შორის ურთიერთქმედების შესახებ;

დ) მეცხოველეობის კარგ პრაქტიკაზე მათი ზრუნვის ქვეშ მყოფი ცხოველთა სახეობებისთვის;

ე) მკურნალობის რეზისტენტობის შესახებ, მათ შორის ანტიმიკრობული რეზისტენტობისა და მისი შედეგების შესახებ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საჭირო ცოდნის შინაარსი და დონე დამოკიდებულია:

ა) ბიზნესოპერატორისა და ცხოველთა სპეციალისტის პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფი შენახული ცხოველების ან პროდუქტების სახეობებზე და კატეგორიებზე და მათი პროფესიული ურთიერთობის ხასიათზე ამ ცხოველებთან ან პროდუქტებთან;

ბ) წარმოების სახეობაზე;

გ) შესრულებულ ამოცანებზე.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცოდნის მიიღება უნდა განხორციელდეს ერთ-ერთი შემდეგი გზით:

ა) პროფესიული გამოცდილება ან ტრენინგი;

ბ) სოფლის მეურნეობის ან აკვაკულტურის სექტორებში არსებული პროგრამები, რომლებიც რელევანტურია ცხოველთა ჯანმრთელობისთვის;

გ) ფორმალური განათლება;

დ) სხვა გამოცდილება ან სხვა ტრენინგი, რომლითაც მიიღწევა ცოდნის იგივე დონე, რაც გათვალისწინებულია ამ პუნქტის ,,ა“-,,გ“ ქვეპუნქტებში.

4. ბიზნესოპერატორი, რომელიც ყიდის ან სხვაგვარად გადასცემს მომავალ მფლობელს შინაურ ბინადარ ცხოველებს, უნდა მიაწოდოს შესაბამისი ძირითადი ინფორმაცია შინაური ბინადარი ცხოველის მომავალ მფლობელს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით.

მუხლი 12. ვეტერინარისა და წყლის ცხოველების ჯანმრთელობის სპეციალისტის ვალდებულება

1. ვეტერინარმა თავისი საქმიანობისას, რომლებიც განეკუთვნება ამ წესის მოქმედების სფეროს, უნდა:

ა) მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა, რათა თავიდან აიცილოს დაავადებათა შემოჭრა, განვითარება და გავრცელება;

ბ) მიიღოს ზომები დაავადების ადრეული გამოვლენის უზრუნველსაყოფად სათანადო დიაგნოსტიკისა და დიფერენციალური დიაგნოზის ჩატარებით დაავადების გამოსარიცხად ან დასადასტურებლად;

გ) აქტიური როლი ითამაშოს:

გ.ა) ცხოველთა ჯანმრთელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და ცხოველთა ჯანმრთელობას, ცხოველთა კეთილდღეობასა და ადამიანის ჯანმრთელობას შორის ურთიერთქმედების შესახებ ცნობიერების ამაღლებაში;

გ.ბ) დაავადების პრევენციაში;

გ.გ) დაავადების ადრეული გამოვლენასა და სწრაფ რეაგირებაში;

გ.დ) მკურნალობის რეზისტენტობის, მათ შორის ანტიმიკრობული რეზისტენტობისა და მისი შედეგების შესახებ ცნობიერების ამაღლებაში;

დ) ითანამშრომლოს კომპეტენტურ ორგანოსთან, ბიზნესოპერატორთან, ცხოველთა სპეციალისტთან და შინაური ბინადარი ცხოველების მფლობელთან ამ წესით გათვალისწინებული დაავადების პრევენციისა და კონტროლის ღონისძიებების გამოყენებაში.

2. წყლის ცხოველების ჯანმრთელობის სპეციალისტს შეუძლია განახორციელოს ამ წესის შესაბამისად ვეტერინარისთვის მინიჭებული აქტივობები წყლის ცხოველებთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში, ამ მუხლის პირველი პუნქტი ვრცელდება წყლის ცხოველების ჯანმრთელობის სპეციალისტზეც.

3. ვეტერინარმა და წყლის ცხოველთა ჯანმრთელობის სპეციალისტმა უნდა შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი პროფესიული შესაძლებლობები, რომლებიც დაკავშირებულია ამ წესით განსაზღვრულ მათ საქმიანობის სფეროებთან.

მუხლი 13. კომპეტენტური ორგანოებისა და ბიზნესოპერატორის ვალდებულებები

1. ცხოველთა ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად გატარებული უნდა იქნეს საჭირო და შესაბამისი ზომები ამ წესით განსაზღვრული აქტივობების განსახორციელებლად და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს:

ა) სააგენტო კვალიფიციური პერსონალით, საშუალებებით, აღჭურვილობით, ფინანსური რესურსებითა და ეფექტური სტრუქტურით;

ბ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია (შემდეგში - სახელმწიფო ლაბორატორია) ხელმისაწვდომი კვალიფიციური პერსონალით, საშუალებებით, აღჭურვილობით და ფინანსური რესურსებით, რომლებიც საჭიროა სიით განსაზღვრული დაავადებებისა და ახალაღმოცენებადი დაავადებების სწრაფი და ზუსტი დიაგნოსტიკისა და დიფერენციალური დიაგნოსტიკის უზრუნველსაყოფად;

გ) ამ წესის მე-12 მუხლით განსაზღვრულ საქმიანობაში დატრენინგებული ვეტერინარებით.

2. ბიზნესოპერატორმა და ცხოველთა სპეციალისტმა უნდა შეიძინონ, შეინარჩუნონ და განავითარონ ამ წესის მე-11 მუხლით გათვალისწინებული ადეკვატური ცოდნა ცხოველთა ჯანმრთელობის შესახებ სოფლის მეურნეობის ან აკვაკულტურის სექტორებში შესაბამისი პროგრამების მეშვეობით ან ფორმალური განათლების მეშვეობით.

მუხლი 14. სააგენტოს მიერ ოფიციალური საქმიანობის დელეგირება

1. სააგენტოს შეუძლია შემდეგი ოფიციალური საქმიანობის დელეგირება ვეტერინარზე (გარდა სახელმწიფო ვეტერინარისა):

ა) ამ წესის 27-ე მუხლით გათვალისწინებული აღმოფხვრის პროგრამების ფარგლებში პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელება;

ბ) ამ წესის 23-ე მუხლით გათვალისწინებული ზედამხედველობის განხორციელებაში ან ამ წესის 25-ე მუხლით გათვალისწინებული ზედამხედველობის პროგრამებთან დაკავშირებით სააგენტოს მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება;

გ) საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია:

გ.ა) ამ წესის 35-ე-70-ე მუხლებით გათვალისწინებულ დაავადების შესახებ ინფორმირებასთან, მზადყოფნასა და კონტროლთან, რომელიც ეხება:

გ.ა.ა) დაავადებაზე ეჭვის შემთხვევაში ნიმუშის აღების, გამოკვლევებისა და ეპიდემიოლოგიური გამოკითხვის განხორციელებას ამ წესის 42-ე, 43-ე მუხლის პირველი

პუნქტის ,,ბ“-,,ზ“ ქვეპუნქტების, 45-ე, მე-60, 61-ე, 66-ე და 67-ე მუხლებისა და ,,სიით განსაზღვრული ზოგიერთი დაავადების პრევენციის და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად;

გ.ა.ბ) დაავადების აფეთქების შემთხვევაში ამ წესის 49-ე მუხლის, 53-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“, ,,ბ“, ,,ე“, ,,ვ“ და ,,ი“ ქვეპუნქტებით, 57-ე მუხლის პირველი პუნქტის, 66-ე-69-ე მუხლებსა და ,,სიით განსაზღვრული ზოგიერთი დაავადების პრევენციის და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად განსაზღვრულ დაავადების კონტროლის ღონისძიებებთან დაკავშირებულ საქმიანობას;

გ.ა.გ) ამ წესის 56-ე მუხლის შესაბამისად გადაუდებელი ვაქცინაციის ჩატარებას;

გ.ბ) ამ წესის 71-ე-164-ე მუხლებით **გათვალისწინებულ** რეგისტრაცია, ავტორიზაცია, აღიარება, მიკვლევადობა და გადაადგილებასთან;

გ.გ) შინაური ბინადარი ცხოველებისთვის იდენტიფიკაციის დოკუმენტების გაცემასა და შევსებასთან;

გ.დ) შინაური ბინადარი ცხოველებისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული იდენტიფიკაციის საშუალებების მოხმარებასა და გამოყენებასთან.

2. სააგენტომ შეიძლება გასცეს ავტორიზაცია ფიზიკურ ან იურიდიულ პირებზე, რომელთაც აქვთ საკმარისი სპეციფიკური ცოდნა, რომ განახორციელონ ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ , ,,ბ“ და ,,გ.ა“, ,,გ.ბ“ და ,,გ.დ“ ქვეპუნქტებში განსაზღვრული საქმიანობები, კონკრეტულად განსაზღვრული ამოცანებისთვის. ამ შემთხვევაში ამ მუხლის პირველი პუნქტი და ამ წესის მე-12 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა ვრცელდება ამ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზეც.

მუხლი 15. საჯარო ინფორმაცია

თუ არსებობს გონივრული (საფუძველიანი) ეჭვი, რომ ცხოველმა ან პროდუქტმა, რომლებიც წარმოშობილია ქვეყანაში ან იმპორტირებულია და შეიძლება წარმოადგენდეს რისკს, სააგენტომ უნდა გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები საზოგადოების ინფორმირებისთვის რისკის ხასიათისა და მიღებული ან გასატარებელი ზომების შესახებ ამ რისკის თავიდან აცილების ან კონტროლის შესახებ, ამ რისკის ხასიათის, სერიოზულობის, მასშტაბის და საზოგადოების ინფორმირებულობის ინტერესის გათვალისწინებით.

თავი IV

ლაბორატორიები, ობიექტები და დაავადების გამომწვევ აგენტებთან, ვაქცინებთან და სხვა ბიოლოგიურ პროდუქტებთან შეხებაში მყოფი სხვა ფიზიკური და იურიდიული პირები

მუხლი 16. ლაბორატორიების, ობიექტების და დაავადების გამომწვევ აგენტებთან, ვაქცინებთან და სხვა ბიოლოგიურ პროდუქტებთან შეხებაში მყოფი სხვა ფიზიკური და იურიდიული პირების ვალდებულებები

ლაბორატორიებმა, ობიექტებმა და სხვა ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირებმა, რომლებსაც შეხება აქვთ დაავადების გამომწვევ აგენტებთან კვლევის, განათლების, დიაგნოსტიკის ან ვაქცინების და სხვა ბიოლოგიური პროდუქტების წარმოების მიზნით, შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით უნდა უზრუნველყონ:

ა) შესაბამისი ბიოუსაფრთხოების და ბიოშემაკავებელი ზომები გატარება, რათა თავიდან აიცილოს დაავადების გამომწვევი აგენტების გავრცელება და მათი შემდგომი კონტაქტი ცხოველებთან ლაბორატორიის გარეთ ან სხვა ობიექტში, სადაც ამ მიზნებისათვის შეხება აქვთ დაავადების აგენტებთან;

ბ) რომ დაავადების გამომწვევი აგენტების, ვაქცინების და სხვა ბიოლოგიური პროდუქტების გადაადგილება ლაბორატორიებს ან სხვა ობიექტებს შორის არ წარმოქმნის სიით განსაზღვრული და ახალაღმოცენებადი დაავადებების გავრცელების რისკს.

მუხლი 17. ცხოველთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ლაბორატორიები

1. ცხოველთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სახელმწიფო ლაბორატორია, თავისი ამოცანებისა და ვალდებულების შესრულებისას თანამშრომლობს ცხოველთა ჯანმრთელობის რეფერენს ლაბორატორიების ქსელთან.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული სახელმწიფო ლაბორატორია უზრუნველყოფს, რომ დაავადებათა ზედამხედველობა, შეტყობინება და ანგარიშგება, აღმოფხვრის პროგრამები, დაავადებისგან თავისუფალი სტატუსის განსაზღვრა, ცხოველებისა და პროდუქტების გადაადგილება, ქვეყანაში მათი შემოსვლა და ექსპორტი სხვა ქვეყნებში ან ტერიტორიებზე, რომლებიც გათვალისწინებულია ამ წესით, ეფუძნება თანამედროვე, მყარ და საიმედო ლაბორატორიულ გამოკვლევებს, ტესტებსა და დიაგნოსტიკას.

3. სახელმწიფო ლაბორატორიის მიერ მოწოდებული შედეგები და ანგარიშები ექვემდებარება პროფესიული საიდუმლოების და კონფიდენციალობის პრინციპებს და სააგენტოსთვის შეტყობინების ვალდებულებას, განურჩევლად ფიზიკური ან იურიდიული პირისა, რომელმაც მოითხოვა ლაბორატორიული გამოკვლევა, ტესტები ან დიაგნოსტიკა.

თავი V

დაავადების შესახებ შეტყობინება და ანგარიშგება, ზედამხედველობა, აღმოფხვრის პროგრამები, დაავადებებისგან თავისუფალი სტატუსი

მუხლი 18. შეტყობინება

ბიზნესოპერატორმა და სხვა შესაბამისმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა:

ა) დაუყოვნებლივ აცნობონ სააგენტოს, თუ არსებობს რაიმე ეჭვის საფუძველი სიით განსაზღვრული A კატეგორიის დაავადების არსებობაზე ცხოველებში ან როდესაც ასეთი დაავადების არსებობა გამოვლინდება ცხოველებში;

ბ) რაც შეიძლება მალე აცნობონ სააგენტოს, თუ ცხოველებში არსებობს რაიმე ეჭვის საფუძველი სიით განსაზღვრული E კატეგორიის დაავადების არსებობაზე, გარდა სიით განსაზღვრული A კატეგორიის დაავადებისა, ან როდესაც ასეთი დაავადების არსებობა გამოვლინდება ცხოველებში;

გ) აცნობონ ვეტერინარს/სააგენტოს უჩვეულო სიკვდილიანობისა და განსაკუთრებით საშიში დაავადების სხვა ნიშნების ან გაურკვეველი მიზეზით წარმოების მნიშვნელოვანი შემცირების შესახებ, შემდგომი მოკვლევისათვის, მათ შორის ლაბორატორიული გამოკვლევისთვის ნიმუშების ასაღებად, როცა ამას მოითხოვს მდგომარეობა.

მუხლი 19. სააგენტოს ვალდებულება შეტყობინებასთან დაკავშირებით

1. სააგენტო დაუყოვნებლივ აცნობებს სამინისტროს სიით განსაზღვრული A კატეგორიის დაავადების ნებისმიერი აფეთქების შესახებ, რისთვისაც საჭიროა მყისიერი შეტყობინების გაგზავნა, რათა უზრუნველყოფილ იქნას რისკის მართვის ზომების დროული განხორციელება, დაავადების პროფილის გათვალისწინებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას აფეთქების შესახებ:

ა) დაავადების გამომწვევი აგენტი და, საჭიროების შემთხვევაში, აგენტის ქვეტიპი;

ბ) შესაბამისი თარიღები, განსაკუთრებით, ეჭვის დადასტურების და აფეთქების თარიღები;

გ) აფეთქების ტიპი და ადგილმდებარეობა;

დ) ნებისმიერი სხვა დაკავშირებული აფეთქება;

ე) დაავადების აფეთქებაში ჩართული ცხოველები;

ვ) დაავადების აფეთქებასთან დაკავშირებული კონტროლის ნებისმიერი ზომა;

ზ) სიით განსაზღვრული დაავადების შესაძლო ან ცნობილი წარმოშობა;

თ) გამოყენებული დიაგნოსტიკური მეთოდები.

მუხლი 20. ანგარიშგება

1. სააგენტო სამინისტროს უგზავნის ანგარიშს ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტში მითითებული იმ სიით განსაზღვრული დაავადებების შესახებ, რომელზეც:

ა) ამ წესის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით არ არის საჭირო დაუყოვნებელი შეტყობინება აფეთქების შესახებ;

ბ) ამ წესის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით აფეთქების შესახებ დაუყოვნებელი შეტყობინების გაგზავნა სავალდებულოა, თუმცა სამინისტროს ანგარიშის სახით უნდა ეცნობოს დამატებითი ინფორმაცია:

ბ.ა) ზედახედველობის შესახებ;

ბ.ბ) დაავადების აღმოფხვრის პროგრამის შესახებ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ანგარიში უნდა შეიცავდეს ინფორმაციას:

ა) ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადებების გამოვლენის/აღმოჩენის შესახებ;

ბ) ამ წესის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ზედამხედველობის შედეგების შესახებ;

გ) ამ წესის 25-ე მუხლის მე-3-მე-5 პუნქტებით განსაზღვრული ზედამხედველობის პროგრამ(ებ)ის შედეგების შესახებ;

დ) ამ წესის 29-ე მუხლით განსაზღვრული აღმოფხვრის პროგრამების შესახებ.

თავი VI

ზედამხედველობა

მუხლი 21. ბიზნესოპერატორის ვალდებულება ზედამხედველობასთან დაკავშირებით

სიით განსაზღვრული დაავადებებისა და ახალაღმოცენებადი დაავადებების არსებობის გამოვლენის მიზნით, ბიზნესოპერატორი უნდა:

ა) დააკვირდეს მის პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფი ცხოველების ჯანმრთელობასა და ქცევას;

ბ) დააკვირდეს ნორმალური წარმოების პარამეტრებში არსებულ ნებისმიერ ცვლილებას მის პასუხისმგებლობაში მყოფ საწარმოში, ცხოველებში ან გენეტიკურ (გასამრავლებელ) მასალაში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სიით განსაზღვრულ დაავადებაზე ან ახალაღმოცენებად დაავადებაზე ეჭვი;

გ) ეძებოს გაზრდილი სიკვდილიანობა და განსაკუთრებით საშიში დაავადების სხვა ნიშნები მისი პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფ ცხოველებში.

მუხლი 22. ცხოველთა ჯანმრთელობის შემოწმება

1. ბიზნესოპერატორმა უნდა უზრუნველყოს, რომ საჭიროების შემთხვევაში, მის პასუხისმგებლობაში მყოფ საწარმოში განხორციელდეს ცხოველთა ჯანმრთელობის შემოწმება ვეტერინარის მიერ, აღნიშნული საწარმოს მიერ გამოწვეული რისკების გამო, შემდეგის გათვალისწინებით:

ა) საწარმოს ტიპი;

ბ) საწარმოში შენახული ცხოველების სახეობები და კატეგორიები;

გ) ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა ზონაში ან რეგიონში სიით განსაზღვრულ და ახალაღმოცენებად დაავადებებთან დაკავშირებით, რომლებზეც საწარმოში მყოფი ცხოველები ამთვისებელია;

დ) ნებისმიერი სხვა შესაბამისი ზედამხედველობა ან სახელმწიფო კონტროლის სხვა მექანიზმი, რომელსაც ექვემდებარება შენახული ცხოველები და საწარმოს ტიპი. ცხოველთა ჯანმრთელობის ასეთი შემოწმებები უნდა ჩატარდეს იმ სიხშირით, რომელიც პროპორციულია შესაბამისი საწარმოს მიერ წარმოქმნილ რისკებთან. ისინი შეიძლება გაერთიანდეს სხვა მიზნით განხორციელებულ შემოწმებასთან.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცხოველთა ჯანმრთელობის შემოწმება უნდა განხორციელდეს დაავადების პრევენციის მიზნით, კერძოდ:

ა) კონსულტაციის მიწოდება დაინტერესებული ბიზნესოპერატორისთვის ბიოუსაფრთხოების და ცხოველთა ჯანმრთელობის სხვა საკითხებთან დაკავშირებით, რაც შეესაბამება საწარმოის ტიპს და საწარმოში შენახული ცხოველების სახეობებსა და კატეგორიებს;

ბ) სიით განსაზღვრული ან ახალაღმოცენებადი დაავადებების მიმანიშნებელი ნიშნების შესახებ ინფორმაცია და გამოვლენა/აღმოჩენა;

მუხლი 23. სააგენტოს ვალდებულებები ზედამხედველობასთან დაკავშირებით

1. სააგენტო ზედამხედველობას ახორციელებს ახალაღმოცენებადი და ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად სიით განსაზღვრული დაავადებების გამოვლენისთვის.

2. ზედამხედველობა უნდა დაიგეგმოს ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად სიით განსაზღვრული და ახალადღმოცენებადი დაავადებების არსებობის დროული გამოვლენა, დაავადებასთან დაკავშირებული შესაბამისი ინფორმაციის შეგროვების, შეჯერების და ანალიზის საშუალებით.

3. სააგენტო, როდესაც ეს შესაძლებელია და მიზანშეწონილია, იყენებს ბიზნესოპერატორის მიერ ჩატარებულ ზედამხედველობის შედეგებს და ცხოველთა ჯანმრთელობის შემოწმების შედეგად მიღებულ ინფორმაციას ამ წესის 21-ე და 22-ე მუხლების შესაბამისად.

4. სააგენტო უზრუნველყოფს, რომ ზედამხედველობა აკმაყოფილებდეს ამ წესის 24-ე მუხლითა და 25-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

5. სააგენტო უზრუნველყოფს, რომ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული

ზედამხედველობის შედეგად მიღებული ინფორმაცია შეგროვდეს და გამოყენებულ იქნეს ეფექტიანად.

მუხლი 24. მეთოდოლოგია, სიხშირე და ზედამხედველობის ინტენსიურობა

ამ წესის 23-ე მუხლით განსაზღვრული ზედამხედველობის გეგმა, საშუალებები, დიაგნოსტიკის მეთოდები, სიხშირე, ინტენსივობა, სამიზნე ცხოველების პოპულაცია და ნიმუშების აღება უნდა იყოს ზედამხედველობის მიზნების შესაბამისი და პროპორციული, შემდეგის გათვალისწინებით:

ა) დაავადების პროფილი;

ბ) რისკის ფაქტორები;

გ) ჯანმრთელობის სტატუსი:

გ.ა) ქვეყნის, ზონისა ან მისი კომპარტმენტის, რომელიც ექვემდებარება ზედამხედველობას;

გ.ბ) საქართველოსა და სხვა ქვეყნების ან მათი ტერიტორიების, რომლებიც ესაზღვრებიან ან საიდანაც ცხოველები და პროდუქტები შემოდის საქართველოში, მის ზონაში ან კომპარტმენტში;

დ) ამ წესის 21-ე მუხლის შესაბამისად ბიზნესოპერატორის ან კომპეტენტური ორგანოების მიერ განხორციელებული ზედამხედველობა, მათ შორის ამ წესის 22-ე მუხლის შესაბამისად განხორციელებული ცხოველთა ჯანმრთელობის შემოწმებები.

მუხლი 25. ზედამხედველობის პროგრამები

1. სააგენტო ზედამხედველობას ახორციელებს ამ წესის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ზედამხედველობის პროგრამის ფარგლებში, როდესაც სიით განსაზღრული დაავადება რელევანტურია ქვეყნისათვის ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად;
2. სააგენტო, რომლიც ქმნის ზედამხედველობის პროგრამას ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წარუდგენს მას სამინისტროს.
3. სააგენტო, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობის პროგრამას ამ წესის პირველი პუნქტის შესაბამისად, რეგულარულ ანგარიშებს წარუდგენს სამინისტროს ამ პროგრამის განხორციელების შედეგების შესახებ.

4. ზოგიერთი დაავადების ზედამხედველობასთან, აღმოფხვრის პროგრამებთან და დაავადებაზე თავისუფალი სტატუსის მინიჭებისა და ახალაღმოცენებადი დაავადებების შესახებ მოთხოვნები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.

5. სააგენტო ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადებებიდან ადგენს ჩამონათვალს, პროგრამების გეოგრაფიული არეალის ჩათვლით, რომელიც ექვემდებარება ზედამხედველობის პროგრამებს ამ მუხლის შესაბამისად.

თავი VII

აღმოფხვრის პროგრამები

მუხლი 26. აღმოფხვრის სავალდებულო და არასავალდებულო პროგრამები

1. თუ ქვეყანა არ არის თავისუფალი ან არ არის დადგენილი არის თუ არა თავისუფალი ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ერთი ან ერთზე მეტი სიით განსაზღვრული დაავადებისგან, სააგენტო ქვეყნისთვის, ზონისთვის ან კომპარტმენტისთვის:

ა) შეიმუშავებს პროგრამას სიით განსაზღვრული დაავადების აღმოსაფხვრელად ან იმის საჩვენებლად, რომ მათი ქვეყანა, თავისუფალია სიით განსაზღვრული დაავადებისაგან. ეს პროგრამა განხორციელდება ამ დაავადების სამიზნე ცხოველების პოპულაციებში და მოიცავს ქვეყნის ტერიტორიის შესაბამის ნაწილებს ან შესაბამის ზონებს ან კომპარტამენტებს (დაავადების აღმოფხვრის სავალდებულო პროგრამა). პროგრამა იმოქმედებს ვიდრე ქვეყნის ტერიტორიისათვის ან ზონისათვის ამ წესის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და კომპარტამენტისათვის ამ წესის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დაავადებაზე თავისუფალი სტატუსის მინიჭების პირობები შესრულდება;

ბ) სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგენს აღმოფხვრის სავალდებულო პროგრამის პროექტს.

2. თუ ქვეყანა არ არის თავისუფალი ან არ არის ცნობილი არის თუ არა თავისუფალი ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად სიით განსაზღვრული ერთი ან მეტი დაავადებებისაგან და გადაწყდება, რომ უნდა შეიქმნას ამ დაავადების აღმოფხვრის პროგრამა და განახორციელოს ის ამ დაავადებასთან დაკავშირებულ ცხოველთა პოპულაციაში ქვეყანაში, ზონაში ან კომპარტმენტში (არასავალდებულო პროგრამა), პროგრამა

დასამტკიცებლად წარედგინება სამინისტროს. დაავადების აღმოფხვრის ამგვარი არასავალდებულო პროგრამა გამოიყენება მანამ, სანამ:

ა) ქვეყნის ან ზონის ტერიტორიაზე სიით განსაზღვრული დაავადებისგან თავისუფალი სტატუსის მინიჭების პირობები შესრულდება ამ წესის 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, ან შესაბამისი კომპარტმენტისათვის ამგვარი სტატუსის მინიჭების პირობები შესრულდება ამ წესის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტით;

ბ) დადგინდება, რომ დაავადებისგან თავისუფალი სტატუსის მინიჭების პირობების მიღწევა შეუძლებელია და პროგრამა ვეღარ ასრულებს თავის მიზანს; ან

გ) სააგენტო სამინისტროსთან შეთანხმებით გააუქმებს პროგრამას.

მუხლი 27. დაავადებების აღმოფხვრის სავალდებულო და არასავალდებულო პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები

1. დაავადებების აღმოფხვრის პროგრამები უნდა მოიცავდეს სულ მცირე შემდეგ ღონისძიებებს:

ა) დაავადების კონტროლის ღონისძიებებს დაავადების გამომწვევი აგენტის აღმოსაფხვრელად საწარმოდან, კომპარტამენტიდან და ზონიდან, სადაც დაავადება ჩნდება და ხელახალი ინფექციის თავიდან ასაცილებლად;

ბ) ზედამხედველობას, რომელიც უნდა განხორციელდეს ამ წესის 23-ე-25-ე მუხლებით განსაზღვრული წესების შესაბამისად, რათა დადასტურდეს:

ბ.ა) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაავადების კონტროლის ღონისძიებების ეფექტურობა;

ბ.ბ) სიით განსაზღვრული დაავადებისგან თავისუფლება;

გ) სიით განსაზღვრული დაავადების კონტროლის ღონისძიებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს ზედამხედველობის ღონისძიებებიდან დადებითი შედეგების მიღების შემთხვევაში;

2. აღმოფხვრის პროგრამებთან დაკავშირებული (ვაქცინაციის კრიტერიუმები, დაავადების კონტროლის ღონისძიებები, ზედამხედველობის გეგმები, დიაგნოსტიკის მეთოდები, სიხშირე, ინტენსივობა, სამიზნე პოპულაცია და ნიმუშების აღების მოდელები და სხვა)

მოთხოვნები განსაზღვრულია ამ წესის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტით.

მუხლი 28. სამინისტროში დასამტკიცებლად გასაგზავნი დაავადებათა აღმოფხვრის სავალდებულო და არასავალდებულო პროგრამის შინაარსი

სააგენტომ, ამ წესის 26-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, სამინისტროში აღმოფხვრის სავალდებულო და არასავალდებულო პროგრამების დამტკიცების შესახებ წარდგენილ განაცხადში უნდა შეიტანოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) სიით განსაზღვრული დაავადების ეპიდემიოლოგიური სიტუაციის აღწერა, რომელსაც ეხება სავალდებულო ან არასავალდებულო პროგრამა;

ბ) დაავადების აღმოფხვრის პროგრამით დაფარული გეოგრაფიული და ადმინისტრაციული ტერიტორიის ან კომპარტმენტის აღწერა და დემარკაცია;

გ) სიით განსაზღვრული დაავადებების აღმოფხვრის პროგრამის კონტროლის ღონისძიებების აღწერა ამ წესის 27-ე მუხლის შესაბამისად;

დ) აღმოფხვრის პროგრამაში ჩართული მხარეების ორგანიზების, ზედამხედველობისა და როლების აღწერა;

ე) აღმოფხვრის პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა;

ვ) აღმოფხვრის პროგრამის შუალედური მიზნები და სიით განსაზღვრული დაავადების კონტროლის სტრატეგია.

მუხლი 29. ანგარიშგება

თუ სააგენტო ახორციელებს სიით განსაზღვრული დაავადებების აღმოფხვრის პროგრამებს, სამინისტროს წარუდგენს:

ა) ანგარიშს, რომელიც სამინისტროს საშუალებას მისცემს მონიტორინგი გაუწიოს ამ წესის 28-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაავადებების აღმოფხვრის მიმდინარე პროგრამების შუალედური მიზნების მიღწევას;

ბ) საბოლოო ანგარიშს შესაბამისი აღმოფხვრის პროგრამის დასრულების შემდეგ.

თავი VIII

დაავადებაზე თავისუფალი სტატუსი

მუხლი 30. დაავადებაზე თავისუფალი ქვეყანა და ზონები

1. სააგენტოს შეუძლია ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში მითითებული ერთ ან მეტ სიით განსაზღვრულ დაავადებაზე თავისუფალი სტატუსის მინიჭება, ერთი ან მეტი შესაბამისი ცხოველის სახეობისათვის, მთლიანი ტერიტორიისთვის ან მისი ერთი ან მეტი ზონისთვის იმ პირობით, რომ შესრულებულია შემდეგი პირობებიდან ერთი ან რამდენიმე:

ა) მოცემული დაავადება არ ფიქსირდება არც ერთ სიით განსაზღვრულ სახეობაში ქვეყნის ტერიტორიაზე ან შესაბამის ზონაში ან ზონებში;

ბ) ცნობილია, რომ სიით განსაზღვრული დაავადების გამომწვევი აგენტი ლიკვიდირებულია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ან მითითებულ ზონაში ან ზონებში, ამ წესის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შესაბამისი კრიტერიუმების გატარების შედეგად;

გ) სიით განსაზღვრული დაავადებებიდან, რომელიც მხოლოდ ვექტორებით ვრცელდება, არც ერთი გამავრცელებელი ვექტორი არ ფიქსირდება, ან ცნობილია, რომ ისინი ვერ გადარჩნენ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, შესაბამის ზონაში ან ზონებში, ამ წესის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შესაბამისი კრიტერიუმების გატარების შემდეგ;

დ) სიით განსაზღვრული დაავადებაზე თავისუფალი სტატუსი დადასტურებულია:

დ.ა) სიით განსაზღვრული დაავადების აღმოფხვრის პროგრამით, რომელიც შეესაბამება ამ წესის 27-ე-მუხლს; ან

დ.ბ) ისტორიული და ზედამხედველობის მონაცემებით.

2. სიით განსაზღვრული დაავადებაზე თავისუფალი სტატუსის მისაღებად საჭიროა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს, რომ ამ მუხლის პირველი პუნქტით სიით განსაზღვრული დაავადებაზე თავისუფალი სტატუსის პირობები დაკმაყოფილებულია.

3. სააგენტოს შეუძლია რიგ კონკრეტულ შემთხვევებში სიით განსაზღვრული დაავადებისგან თავისუფალის სტატუსის მინიჭება ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ერთ ან მეტ სიით განსაზღვრულ დაავადებაზე და, ვაქცინაციის გარეშე

სტატუსის აღიარებისათვის მთლიან ტერიტორიაზე, ან მის ერთ ან რამდენიმე ზონაში, იმის გათვალისწინებით, რომ შესრულებული იქნება შემდეგი პირობები:

ა) სიით განსაზღვრული დაავადებისგან თავისუფლება დემონსტრირებულია:

ა.ა) სიით განსაზღვრული დაავადების აღმოფხვრის პროგრამით, რომელიც შეესაბამება ამ წესის 27-ე მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ა.ბ) ისტორიული და ზედამხედველობის მონაცემებით.

ბ) დადასტურებულია, რომ სიით განსაზღვრული დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინაცია გამოიწვევს ხარჯებს, რომლებიც აღემატება ვაქცინაციის გარეშე დაავადებაზე თავისუფალი სტატუსის შენარჩუნების ხარჯებს. .

მუხლი 31. კომპარტმენტი

1. სააგენტოს შეუძლია მიანიჭოს კომპარტმენტს ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ პუნქტში მითითებული სიით განსაზღვრულ დაავადებზე თავისუფალი სტატუსი და სიით განსაზღვრული დაავადებისგან თავისუფალი სტატუსის დასაცავად იმ შემთხვევაში, თუ მის ტერიტორიაზე ერთი ან მეტი სიით განსაზღვრული დაავადების აფეთქება იქნება, იმ პირობით, რომ:

ა) სიით განსაზღვრული ან სიით განსაზღვრული მოცემული დაავადების შემოჭრა შეიძლება ეფექტურად იქნეს აცილებული კომპარტამენტის დონეზე, დაავადების პროფილის გათვალისწინებით;

ბ) მოცემული კომპარტმენტი ექვემდებარება ბიოუსაფრთხოების მართვის ერთიან სისტემას, რომელიც შექმნილია მისი ყველა საწარმოსთვის სიით განსაზღვრული დაავადებისგან თავისუფალი სტატუსის უზრუნველსაყოფად;

გ) მოცემული კომპარტმენტი აღიარებულია სააგენტოს მიერ ცხოველების და მათი პროდუქტების გადაადგილების მიზნებისათვის შემდეგის გათვალისწინებით:

გ.ა) ხმელეთის ცხოველებისა და მათი პროდუქტების შემნახველი კომპარტმენტისთვის ამ წესის მე-80 და 81-ე მუხლების შესაბამისად;

გ.ბ) აკვაკულტურის ცხოველებისა და მათი პროდუქტების შემნახველი კომპარტმენტისათვის ამ წესის 132-ე და 133-ე მუხლების შესაბამისად.

2. სააგენტომ შეიძლება მიანიჭოს ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში მითითებულ ერთ ან მეტ სიით განსაზღვრულ დაავადებაზე კომპარტამენტს თავისუფალი სტატუსი იმ პირობით, რომ:

ა) სიით განსაზღვრული ან სიით განსაზღვრული მოცემული დაავადების გავრცელება შეიძლება ეფექტურად იქნეს აცილებული კომპარტმენტის დონეზე, დაავადების პროფილის გათვალისწინებით;

ბ) შესრულებულია ერთი ან რამდენიმე შემდეგი პირობა:

ბ.ა) ამ წესის 30-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირობები;

ბ.ბ) მოცემული კომპარტმენტის საწარმოებმა დაიწყეს ან განაახლეს თავიანთი საქმიანობა და ჩამოაყალიბეს ბიოუსაფრთხოების მართვის საერთო სისტემა, რომელიც შექმნილია სიით განსაზღვრული დაავადებებისგან ამ კომპარტმენტის თავისუფალი სტატუსის უზრუნველსაყოფად;

გ) მოცემული კომპარტმენტი ექვემდებარება ბიოუსაფრთხოების მართვის საერთო სისტემას, რომელიც შექმნილია მის შემადგენლობაში შემავალი ყველა საწარმოსათვის დაავადებისგან თავისუფალი სტატუსის უზრუნველსაყოფად;

დ) მოცემული კომპარტმენტი აღიარებულია სააგენტოს მიერ ცხოველების და მათი პროდუქტების გადაადგილების მიზნებისათვის შემდეგის გათვალისწინებით:

დ.ა) ხმელეთის ცხოველებისა და მათი პროდუქტების შემნახველი კომპარტმენტისთვის ამ წესის მე-80 და 81-ე მუხლების შესაბამისად;

გ.ბ) აკვაკულტურის ცხოველებისა და მათი პროდუქტების შემნახველი კომპარტმენტისათვის ამ წესის 132-ე და 133-ე მუხლების შესაბამისად.

3. კომპარტმენტების სიით განსაზღვრული დაავადებისგან თავისუფალი სტატუსის მინიჭებისთვის ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად უნდა დასტურდებოდეს მტკიცებულებებით, რომ ამ პუნქტებით განსაზღვრული პირობები შესრულებულია.

მუხლი 32. სიით განსაზღვრული დაავადებისგან თავისუფალი ქვეყნა, ზონა ან კომპარტმენტების ნუსხა

1. სააგენტო ადგენს ან განაახლებს ქვეყნის ტერიტორიის ან ზონების ნუსხას, რომლებსაც ამ წესის 30-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების შესაბამისად აქვთ დაავადებისგან თავისუფალი სტატუსი და კომპარტმენტების ნუსხას, რომლებსაც ამ წესის 31-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად აქვთ სიით განსაზღვრული დაავადებისგან თავისუფალი სტატუსი. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს ამ სიების ვებ-გვერდზე გნთავსებით საჯაროობა.
2. ზოგიერთი დაავადებისგან თავისუფალი სტატუსის მინიჭებისა და ახალაღმოცენებადი დაავადებების შესახებ მოთხოვნები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 33. დაავადებაზე თავისუფალი სტატუსის შენარჩუნება

1. ქვეყანა ინარჩუნებს დაავადებისგან თავისუფალ სტატუსს, ქვეყნის ტერიტორიაზე, ზონასა ან კომპარტმენტში, ვიდრე:

ა) ამ წესის 30-ე მუხლის პირველი პუნქტით და ამ წესის 31-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული დაავადებისგან თავისუფალი სტატუსის პირობები და ამ წესის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დადგენილი მოთხოვნები კვლავ სრულდება;

ბ) ამ წესის 24-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით, ხორციელდება ზედამხედველობა იმის შესამოწმებლად, რომ ქვეყანა, ზონა და კომპარტმენტი კვლავ თავისუფალია სიით განსაზღვრული იმ დაავადებისგან, რომელზეც მიიღო დაავადებისგან თავისუფალის სტატუსი;

გ) სიით განსაზღვრული სახეობის ცხოველების და სადაც რელევანტურია, მათგან მიღებული პროდუქტის გადაადგილებაზე გამოიყენება შეზღუდვები სიით განსაზღვრული დაავადებასთან დაკავშირებით, რომელზეც მიენიჭა დაავადებისგან თავისუფალი სტატუსი შესაბამის ტერიტორიაზე, ზონაში ან კომპარტმენტში ამ წესის 71-ე-176-ე მუხლებით განსაზღვრული წესების შესაბამისად;

დ) ბიოუსაფრთხოების სხვა ზომები გამოიყენება სიით განსაზღვრული იმ დაავადების შემოჭრის აღსაკვეთად, რომელზეც მიენიჭა თავისუფალი სტატუსი.

2. სააგენტო დაუყოვნებლივ აცნობებს სამინისტროს თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირობები აღარ არის დაცული სიით განსაზღვრულ დაავადებაზე თავისუფალი სტატუსის შესანარჩუნებლად.

3. სიით განსაზღვრული დაავადებისგან თავისუფალი სტატუსის შესანარჩუნებლად ზედამხედველობისა და ბიოუსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოთხოვნები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 34. სიით განსაზღვრული დაავადებაზე თავისუფალი სტატუსის შეჩერება, გაუქმება და აღდგენა

1. როდესაც, სააგენტოსთვის ცნობილი ხდება ან არსებობს ეჭვი, რომ დაირღვა მისი, როგორც სიით განსაზღვრული დაავადებაზე თავისუფალი ტერიტორიის, ზონის ან კომპარტმენტის სტატუსის შენარჩუნების რომელიმე პირობა, მან დაუყოვნებლივ:

ა) საჭიროებიდან და რისკიდან გამომდინარე, უნდა შეაჩეროს ან შეზღუდოს სიით განსაზღვრული სახეობების გადაადგილება, სიით განსაზღვრული იმ დაავადებების გამო, რომელზეც მას მიენიჭა დაავადებისგან თავისუფალი სტატუსი;

ბ) საჭიროების შემთხვევაში, სიით განსაზღვრული დაავადების გავრცელების პრევენციისთვის, რომლზეც მინიჭებულია დაავადებისგან თავისუფალი სტატუსი, გამოიყენოს ამ წესის 41-ე-70-ე მუხლებით განსაზღვრული დაავადების კონტროლის ზომები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ზომები მოიხსნება თუ დამატებითი მოკვლევა ადასტურებს, რომ:

ა) სავარაუდო დარღვევას ადგილი არ ჰქონია;

ბ) საეჭვო დარღვევას არ ჰქონდა მნიშვნელოვანი ზემოქმედება და, რომ სიით განსაზღვრულ დაავადებაზე თავისუფალის სტატუსის მოთხოვნები/პირობები კვლავ სრულდება.

3. თუ სააგენტოს მიერ, შემდგომი მოკვლევა დაადასტურებს, რომ ადგილი არ ჰქონია სიით განსაზღვრული დაავადების გავრცელებას, რომლისთვისაც მას მიენიჭა დაავადებისგან თავისუფალი სტატუსი, ან ამ წესის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად სიით

განსაზღვრული დაავადებისგან თავისუფალი სტატუსის შენარჩუნების პირობების სხვა მნიშვნელოვან დარღვევას, ან თუ არსებობს აღნიშნულის მოხდენის სერიოზული ალბათობა, სააგენტო დაუყოვნებლივ აცნობებს სამინისტროს ამის შესახებ.

4. სააგენტო დაუყოვნებლივ აუქმებს ქვეყნის და ზონის სიით განსაზღვრულ დაავადებაზე თავისუფალ სტატუსს, ან აჩერებს კომპარტმენტის სიით განსაზღვრულ დაავადებაზე თავისუფალ სტატუსს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, მას შემდეგ, რაც სააგენტოს აქვს ინფორმაცია, რომ დაავადებისგან თავისუფალი სტატუსის შენარჩუნების პირობები აღარ სრულდება.

5. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული დაავადებაზე თავისუფალის სტატუსის შეჩერების, გაუქმებისა და აღდგენის წესები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი IX

დაავადების შესახებ ცნობიერების ამაღლება, მზაობა და კონტროლი

მუხლი 35. საგანგებო გეგმები

1. სააგენტო მოწვეულ სპეციალისტებთან და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან შესაბამისი კონსულტაციის შემდეგ, ადგენს და აახლებს საგანგებო გეგმებს და, საჭიროების შემთხვევაში, დეტალურ ინსტრუქციებს, რომლებიც ასახავს შესაბამის გასატარებელ ზომებს იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული ან ახალაღმოცენებადი დაავადების შემთხვევას, რათა უზრუნველყოფილი იყოს დაავადების შესახებ ინფორმირებისა და მზადყოფნის მაღალი დონე და მყისიერი რეაგირების შესაძლებლობა.

2. საგანგებო გეგმები და, საჭიროების შემთხვევაში, დეტალური ინსტრუქციები უნდა მოიცავდეს სულ მცირე შემდეგ საკითხებს:

ა) სააგენტოში და სხვა საჯარო უწყებებში უფლებამოსილებების ჯაჭვის შექმნა, რაც უზრუნველყოფს სწრაფ გადაწყვეტილებების მიღების პროცესს ქვეყანაში, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე;

ბ) სააგენტოსა და სხვა საჯარო უწყებებს და დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობის ჩარჩოს, რათა უზრუნველყოფილ იქნას ღონისძიებების განხორციელება

თანმიმდევრული და კოორდინირებული ფორმით:

გ) წვდომას:

გ.ა) შენობებზე;

გ.ბ) ლაბორატორიებზე;

გ.გ) აღჭურვილობაზე;

გ.დ) პერსონალზე;

გ.ე) ფინანსებზე საგანგებო სიტუაციებისათვის;

გ.ვ) ყველა სხვა შესაბამის მასალასა და რესურსზე, რომელიც აუცილებელია ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული ან ახალაღმოცენებადი დაავადებების სწრაფად და ეფექტურად აღმოსაფხვრელად;

დ) შემდეგი ცენტრებისა და საჭირო ექსპერტიზის უნარის მქონე ჯგუფების ხელმისაწვდომობა სააგენტოს დასახმარებლად:

დ.ა) დაავადებათა კონტროლის ცენტრი;

დ.ბ) დაავადებათა კონტროლის რეგიონული და ადგილობრივი ცენტრები, ადმინისტრაციული და გეოგრაფიული მდებარეობის შესაბამისად;

დ.გ) ექსპერტთა საოპერაციო ჯგუფები;

ე) ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტში მითითებულ სიით განსაზღვრულ და ახალაღმოცენებად დაავადებებზე ამ წესის 43-ე-58-ე მუხლებით გათვალისწინებული დაავადებათა კონტროლის ღონისძიებების განხორციელება;

ვ) საჭიროების შემთხვევაში, გადაუდებელი ვაქცინაციის შესახებ მოთხოვნები;

ზ) ამ წესის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით შესაბამისად სააგენტოს მიერ დადგენილი შეზღუდული ზონების გეოგრაფიული დემარკაციის პრინციპები;

თ) კოორდინაცია მეზობელ ქვეყნებთან და ტერიტორიებთან, საჭიროების შემთხვევაში.

მუხლი 36. სიმულაციური სავარჯიშოები

1. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს, რომ სიმულაციური სავარჯიშოები ამ წესის 35-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საგანგებო გეგმებთან დაკავშირებით რეგულარულად ან სათანადო ინტერვალებით განხორციელდეს:

ა) რათა უზრუნველყოფილ იქნას ინფორმირებულობა დააავადების შესახებ და მზადყოფნის მაღალი დონე და სწრაფი რეაგირების დაწყების შესაძლებლობა;

ბ) საგანგებო გეგმების გადამოწმება ფუნქციურობაზე.

2. სადაც ეს შესაძლებელია და მიზანშეწონილია, სიმულაციური სავარჯიშოები უნდა განხორციელდეს მეზობელი ქვეყნებისა და ტერიტორიების კომპეტენტურ ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

თავი X

ვეტერინარული პრეპარატების გამოყენება დაავადებათა პრევენციისა და კონტროლისთვის

მუხლი 37. ვეტერინარული პრეპარატების გამოყენება დაავადებათა პრევენციისა და კონტროლისთვის

1. სააგენტოს შეუძლია მიიღოს ზომები სიით განსაზღვრული დაავადებებისათვის ვეტერინარული პრეპარატების გამოყენებასთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ამ დაავადებების ყველაზე ეფექტური პრევენცია ან კონტროლი, იმ პირობით, რომ ამგვარი ზომები იქნება შესაბამისი ან აუცილებელი. ეს ზომები შეიძლება მოიცავდეს:

ა) ვეტერინარული პრეპარატების გამოყენების აკრძალვებსა და შეზღუდვებს;

ბ) ვეტერინარული პრეპარატების სავალდებულო გამოყენებას.

2. სააგენტო იმის განსაზღვრისას გამოიყენონ თუ არა, და როგორ გამოიყენონ ვეტერინარული პრეპარატები, როგორც პრევენციისა და კონტროლის ზომები სიით განსაზღვრულიი დაავადებისთვის, ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) დაავადების პროფილს;

ბ) სიით განსაზღვრული დაავადებების გავრცელებას:

ბ.ა) ქვეყანაში;

ბ.ბ) საჭიროების შემთხვევაში, მეზობელ ქვეყნებსა და ტერიტორიებზე;

ბ.გ) სხვა ქვეყნებსა და ტერიტორიებზე, საიდანაც ცხოველები და პროდუქტები შემოდის საქართველოში;

გ) შესაბამისი ვეტერინარული პრეპარატების ხელმისაწვდომობას და ეფექტიანობას და მათთან დაკავშირებულ რისკებს;

დ) დიაგნოსტიკური ტესტების ხელმისაწვდომობას ინფექციების გამოსავლენად ცხოველებში, რომელზეც მკურნალობენ შესაბამისი ვეტერინარული პრეპარატებით;

ე) შესაბამისი ვეტერინარული პრეპარატების გამოყენების ეკონომიკურ, სოციალურ, ცხოველთა კეთილდღეობაზე და გარემოზე ზემოქმედებას დაავადების პრევენციისა და კონტროლის სხვა ხელმისაწვდომ სტრატეგიებთან შედარებით.

3. ცხოველთა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დასაცავად სააგენტო ახორციელებს შესაბამის პრევენციულ ზომებს ვეტერინარული პრეპარატების სამეცნიერო კვლევებში გამოყენებისას ან კონტროლს დაქვემდებარებულ პირობებში მათი შემუშავებისას/განვითარებისას და ტესტირებისას.

მუხლი 38. ანტიგენების, ვაქცინებისა და დიაგნოსტიკური რეაგენტების ბანკების შექმნა

1. ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრულ დაავადებებზე, რომელზეც ვაქცინაცია არ არის აკრძალული ,,სიით განსაზღვრული ზოგიერთი დაავადების პრევენციის და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად, სააგენტომ და ლაბორატორიამ, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შეიძლება შექმნას ანტიგენის, ვაქცინის და დიაგნოსტიკური რეაგენტების ბანკები ქვეყნის მასშტაბით და უზრუნველყოს მათი მართვა. ბანკის შექმნის მიზანია მარაგების შენახვა და ჩანაცვლება ერთ ან მეტ შემდეგ ბიოლოგიურ პროდუქტზე:

ა) ანტიგენები;

ბ) ვაქცინები;

გ) სავაქცინე დედო;

დ) დიაგნოსტიკური რეაგენტები.

2. სააგენტო და ლაბორატორია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს, რომ ქვეყნის მასშტაბით ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ანტიგენის, ვაქცინისა და დიაგნოსტიკური რეაგენტის ბანკებში:

ა) დაცული იყოს შესაბამისი ტიპის ანტიგენების, ვაქცინების, სავაქცინე დედოს მარაგები და სადიაგნოსტიკო რეაგენტების საკმარისი მარაგი სიით განსაზღვრული ზოგიერთი დაავადებისთვის, ქვეყნის საჭიროებების გათვალისწინებით, რომელიც განსაზღვრულია ამ წესის 35-ე მუხლში მითითებული საგანგებო გეგმების კონტექსტში;

ბ) რეგულარული მარაგების ქონას და ანტიგენების, ვაქცინების, სავაქცინე დედოს მარაგებისა და დიაგნოსტიკური რეაგენტების დროულ ჩანაცვლებას;

გ) ამ წესის 16-ე მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი ბიოუსაფრთხოებისა და ბიოშეკავების წესების დაცვით შენახვასა და გადაადგილებას.

მუხლი 39. წვდომა ანტიგენების, ვაქცინებისა და დიაგნოსტიკური რეაგენტების ბანკებზე

1. სააგენტო, მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოფს ამ წესის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტში მითითებული ბიოლოგიური პროდუქტების მიწოდებას ქვეყნის მასშტაბით ანტიგენის, ვაქცინებისა და დიაგნოსტიკური რეაგენტების ბანკებიდან, თუ მარაგი ხელმისაწვდომია:

ა) პირველ რიგში, ქვეყნისთვის;

ბ) სხვა ქვეყნებისა თუ ტერიტორიებისათვის, თუ ამგვარი მიწოდება უპირველეს ყოვლისა გამიზნულია ქვეყანაში დაავადების გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

2. მარაგების შეზღუდული ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, სააგენტო პრიორიტეტული წვდომის უფლებას მიანიჭებს მარაგებზე, რომელთა მიწოდებაც უნდა მოხდეს ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შემდეგის საფუძველზე:

ა) დაავადების გარემოებები, რომელთა საფუძველზე განხორციელდა მოთხოვნა;

ბ) ანტიგენის, ვაქცინისა და დიაგნოსტიკური რეაგენტის ბანკის არსებობა მოთხოვნის წარმომდგენ სხვა ქვეყანაში ან ტერიტორიაზე;

გ) ,,სიით განსაზღვრული ზოგიერთი დაავადების პრევენციის და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილებით დადგენილი სავალდებულო ვაქცინაციის ზომები ქვეყნის მასშტაბით.

მუხლი 40. ანტიგენების, ვაქცინებისა და დიაგნოსტიკური რეაგენტების ბანკების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა

ანტიგენების, ვაქცინებისა და დიაგნოსტიკური რეაგენტების ბანკებში დაცული ამ წესის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტში მითითებული ბიოლოგიური პროდუქტების რაოდენობებისა და ქვეტიპების შესახებ ინფორმაცია განიხილება, როგორც კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც არ ექვემდებარება გამოქვეყნებას.

თავი XI

დაავადების კონტროლის ღონისძიებები ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტში მითითებულ სიით განსაზღვრულ დაავადებებზე

მუხლი 41. ბიზნესოპერატორის და სხვა შესაბამისი ფიზიკური თუ იურიდიული პირების ვალდებულებები

შენახული ცხოველებში ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტში

მითითებული სიით განსაზღვრული დაავადებებზე ეჭვის არსებობისას, გარდა იმისა, რომ აუცილებელია ამ წესის მე-18 მუხლის თანახმად შეტყობინების ვალდებულების დაცვა და ამ წესის 42-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 43-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად დაავადების კონტროლის ღონისძიებების გატარება სააგენტოს მიერ, სააგენტო ასევე იღებს ზომებს, რათა უზრუნველყოს ბიზნესოპერატორის და სხვა შესაბამისი დაინტერესებული ფიზიკური თუ იურიდიული პირების მხრიდან ამ წესის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ"-,,ე" ქვეპუნქტებით განსაზღვრული სათანადო კონტროლის ზომების გატარება, რათა აღკვეთილი იქნას ზეგავლენის ქვეშ მყოფი ცხოველებისაგან, მათი პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფი საწარმოდან და ტერიტორიებიდან სიით განსაზღვრული დაავადებების გავრცელება სხვა დაუზიანებელ (ზეგავლენის ქვეშ არ მყოფ) ცხოველებსა თუ ადამიანებზე.

მუხლი 42. სიით განსაზღვრულ დაავადებაზე ეჭვისას სააგენტოს მიერ განსახორციელებელი მოკვლევა

1. შენახულ ცხოველებში, ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" პუნქტში მითითებული სიით განსაზღვრულ დაავადებაზე ეჭვის შემთხვევაში, სააგენტო დაუყოვნებლივ ახორციელებს მოკვლევას სიით განსაზღვრული მოცემული დაავადების არსებობის დადასტურების ან გამორიცხვის მიზნით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოკვლევის მიზნით, სააგენტო, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს, რომ:

ა) სახელმწიფო ვეტერინარმა განახორციელოს რეპრეზენტატიული რაოდენობის სიით განსაზღვრული სახეობის შენახული ცხოველების სიით განსაზღვრულ (არსებულ) დაავადებაზე კლინიკური შემოწმება;

ბ) სახელმწიფო ვეტერინარმა აიღოს სიით განსაზღვრული სახეობების ცხოველებში შესაბამისი ნიმუშები და სხვა ნიმუშები სააგენტოს მიერ სახელმწიფო ლაბორატორიაში გამოსაკვლევად;

გ) სახელმწიფო ლაბორატორია ატარებს გამოკვლევებს, რათა დაადასტუროს ან გამორიცხოს აღნიშნული დაავადების არსებობა.

3. სააგენტო ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოკვლევას ახორციელებს ,,სიით განსაზღვრული ზოგიერთი დაავადების პრევენციის და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ" - საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული

მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 43. სააგენტოს მიერ გასატარებელი დაავადების კონტროლის წინასწარი ღონისძიებები

1. სააგენტომ, შენახულ ცხოველებში ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებულ სიით განსაზღვრულ დაავადებაზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში, უნდა განახორციელოს დაავადების კონტროლის შემდეგი წინასწარი ღონისძიებები, რომელიც ექვემდებარება ამ წესის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოკვლევის შედეგების მიღებამდე და ამ წესის 49-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დაავადების კონტროლის ღონისძიებების გატარებამდე:

ა) საწარმოს, სურსათისა და ცხოველის საკვებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი საწარმოს, ცწადპ-ს საწარმოს ან დაავადების გავრცელების სავარაუდო ნებისმიერი სხვა ადგილმდებარეობის, მათ შორის, საეჭვო დაავადების წარმოშობის სავარაუდო ადგილის სახელმწიფო ზედამხედველობას;

ბ) ინვენტარიზაციას:

ბ.ა) შენახული ცხოველების საწარმოში, სურსათის და ცხოველის საკვებთან დაკავშირებულ ბიზნესში, ან ცწადპ-ს საწარმოში, ან ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე;

ბ.ბ) ამ საწარმოში, სურსათისა და ცხოველის საკვებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი საწარმოში, ან ცწადპ-ს საწარმოში ან სიით განსაზღვრული დაავადებების გავრცელებისთვის მნიშვნელოვან ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე არსებულ პროდუქტებზე;

გ) შესაბამისი ბიოუსაფრთხოების ზომების გამოყენებას სიით განსაზღვრული დაავადების გამომწვევი აგენტის გავრცელების აღსაკვეთად ცხოველებსა და ადამიანებში;

დ) სადაც შესაძლებელია, დაავადების აღმძვრელის დამატებითი გავრცელების თავიდან ასაცილებლად სიით განსაზღვრული სახეობის შენახული ცხოველების სიით განსაზღვრული დაავადებისგან იზოლირებას და ველურ ბუნებასთან კონტაქტის თავიდან აცილებას;

ე) შენახული ცხოველების, პროდუქტებისა და საჭიროების შემთხვევაში, ადამიანების, სატრანსპორტო საშუალებების, ნებისმიერი სხვა მასალისა თუ საშუალების გადაადგილების შეზღუდვას, რათა მათი საშუალებით არ მოხდეს დაავადების აგენტის გავრცელება საწარმოდან, სურსათისა და ცხოველის საკვებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი საწარმოდან ან ცწადპ-ის საწარმოდან ან ნებისმიერი იმ

ტერიტორიიდან, სადაც სიით განსაზღვრული დაავადებაზეა ეჭვი, რამდენადაც ეს საჭიროა დაავადების გავრცელების თავიდან ასაცილებლად;

ვ) ამ წესის 48-ე-56-ე მუხლებით განსაზღვრული დაავადების კონტროლის ღონისძიებების გათვალისწინებით დაავადების კონტროლის სხვა აუცილებელი შემდეგი ზომების მიღებას:

ვ.ა) სააგენტოს მიერ ამ წესის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოკვლევის გამოყენება და ამ პუნქტის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დაავადების კონტროლის ღონისძიებები სხვა საწარმოსთვის, სურსათისა და ცხოველის საკვებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელ საწარმოში ან ცწადპ-ს საწარმოში ან ნებისმიერ სხვა ადგილას;

ვ.ბ) დროებითი შეზღუდული ზონის შექმნა, შესაბამისი დაავადების პროფილის გათვალისწინებით;

ზ) ამ წესის 45-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეპიდემიოლოგიური გამოკითხვის დაწყება.

2. ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადების ამ მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებული დაავადების კონტროლის სპეციფიკურ და დეტალურ ზომებს სააგენტო ახორციელებს ,,სიით განსაზღვრული ზოგიერთი დაავადების პრევენციის და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად.

მუხლი 44. დაავადების კონტროლის წინასწარი ზომების მიმოხილვა და გაფართოება

ამ წესის 43-ე მუხლით განსაზღვრული დაავადებათა კონტროლის ღონისძიებები უნდა:

ა) გადაიხედოს სააგენტოს მიერ, როგორც ეს შესაძლებელია, მას შემდეგ რაც დაიდება:

ა.ა)ამ წესის 42-ე მუხლის პირველი პუნქტში გათვალისწინებული მოკვლევის შედეგები;

ა.ბ) ამ წესის 45-ე მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებული ეპიდემიოლოგიური გამოკითხვის შედეგები;

ბ) საჭიროების მიხედვით, დამატებით გაფართოვდეს სხვა ტერიტორიაზე ამ წესის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

მუხლი 45. ეპიდემიოლოგიური გამოკითხვა

1. სააგენტო ახორციელებს ეპიდემიოლოგიურ გამოკითხვას, თუ დადასტურდება ამ წესის მე-9 მუხლის პირველ პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული

დაავადება ცხოველებში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეპიდემიოლოგიური გამოკითხვა მიზნად ისახავს:

ა) დაავადების სავარაუდო წარმოშობისა და მისი გავრცელების გზების დადგენას;

ბ) სიით განსაზღვრული დაავადების არსებობის სავარაუდო პერიოდის გამოთვლას;

გ) საწარმოსა და საწარმოში არსებული ეპიდემიოლოგიური ერთეულების, სურსათისა და ცხოველის საკვებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი საწარმოს ან ცწადპ-ის საწარმოს ან სხვა ადგილების იდენტიფიცირებას, სადაც სიით განსაზღვრული სახეობის ცხოველები სიით განსაზღვრულ საეჭვო დაავადებით შესაძლოა დაინფიცირდნენ, დაინვაზირდა ან განხორციელდა კონტამინაცია;

დ) ინფორმაციის მოპოვებას შენახული ცხოველების, ადამიანების, პროდუქტების, სატრანსპორტო საშუალებების, ნებისმიერი მასალის ან სხვა საშუალებების გადაადგილების შესახებ, რომლითაც დაავადების გამომწვევი აგენტი შეიძლება გავრცელებულიყო სიით განსაზღვრული დაავადების შესახებ ეჭვის ან დადასტურების შეტყობინების მიღების წინა პერიოდში;

ე) მიმდებარე გარემოში სიით განსაზღვრული დაავადებების სავარაუდო გავრცელების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას, მათ შორის დაავადების ვექტორების არსებობისა და გავრცელების შესახებ.

მუხლი 46. სააგენტოს მიერ ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადების ოფიციალური დადასტურება

1.სააგენტოს მიერ ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადების ოფიციალური დადასტურება ეფუძნება:

ა) ამ წესის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგებს;

ბ) ამ წესის 45-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეპიდემიოლოგიური გამოკითხვის წინასწარ ან საბოლოო შედეგებს;

გ) სხვა ხელმისაწვდომ ეპიდემიოლოგიურ მონაცემებს.

2. სიით განსაზღვრული დაავადების ოფიციალური დადასტურებას სააგენტო ახორციელებს „სიით განსაზღვრული ზოგიერთი დაავადების პრევენციის და კონტროლის წესის

დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად.

მუხლი 47. დაავადების კონტროლის წინასწარი ღონისძიებების მოხსნა, თუ სიით განსაზღვრული დაავადების არსებობა გამოირიცხება

სააგენტო განაგრძობს ამ წესის 43-ე მუხლის პირველი და 44-ე მუხლით გათვალისწინებული დაავადების კონტროლის წინასწარი ღონისძიებების გამოყენებას მანამ, სანამ ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაავადების არსებობა არ გამოირიცხება ამ წესის 46-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 48. სააგენტოს მიერ მისაღები დაავადების კონტროლის მყისიერი ზომები

იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდა ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული დაავადების აფეთქება შენახულ ცხოველებში, სააგენტო დაუყოვნებლივ:

ა) აცხადებს ზეგავლენის ქვეშ მყოფი საწარმოს, სურსათისა და ცხოველის საკვებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი საწარმოს, ცწადპ-ის საწარმოს ან სხვა ტერიტორიას სიით განსაზღვრული ამ დაავადებით, როგორც ოფიციალურად დაინფიცირებულ ადგილს;

ბ) ქმნის შეზღუდულ ზონას, სიით განსაზღვრული დაავადების შესაბამისად;

გ) ახორციელებს ამ წესის 35-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ საგანგებო გეგმას, რათა უზრუნველყოს დაავადების კონტროლის ღონისძიებების სრული კოორდინაცია.

მუხლი 49. დაავადებასთან ზეგავლენის ქვეშ მყოფი საწარმოები და სხვა ტერიტორიები

1. შენახულ ცხოველებში ამ წესის მე-9 მუხლის პირველ პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადების აფთქების შემთხვევაში, სააგენტო დაუყოვნებლივ გაატარებს ამ პუნქტით განსაზღვრულ დაავადების კონტროლის ერთ ან მეტ ღონისძიებას, რათა აღკვეთოს ამ სიით განსაზღვრული დაავადების შემდგომი გავრცელება, კერძოდ:

ა) ადამიანების, ცხოველების, პროდუქტების, სატრანსპორტო საშუალებების ან ნებისმიერი სხვა მასალის ან ნივთიერების გადაადგილებაზე შეზღუდვების დაწესება, რომელიც შეიძლება იყოს დაბინძურებული (კონტამინაცია) და ხელს უწყობდეს სიით განსაზღვრული დაავადების გავრცელებას;

ბ) ცხოველების მოკვლა და განკარგვა ან დაკვლა, თუ ისინი შესაძლებელია იყოს

დაბინძურებული (კონტამინაცია) ან ხელს უწყობს სიით განსაზღვრული დაავადების გავრცელებას;

გ) პროდუქტების, ცხოველის საკვების ან სხვა ნივთიერებების განადგურება, გადამუშავება, ტრანსფორმაცია ან დამუშავება ან აღჭურვილობის, სატრანსპორტო საშუალებების, მცენარეების ან მცენარეული პროდუქტების ან წყლის, რომელიც შეიძლება იყოს დაბინძურებული (კონტამინირებული), დამუშავება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ნებისმიერი დაავადების გამომწვევისა თუ ვექტორის განადგურება;

დ) შენახული ცხოველების ვაქცინაცია ან სხვა ვეტერინარული პრეპარატებით მკურნალობა ამ წესის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამ წესის 56-ე მუხლისა და ,,სიით განსაზღვრული ზოგიერთი დაავადების პრევენციის და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად;

ე) ცხოველებისა და პროდუქტების იზოლაცია, კარანტინი ან მკურნალობა, რომლებიც სავარაუდოდ დაბინძურებულია (კონტამინირებულია) და ხელს უწყობს სიით განსაზღვრული დაავადებების გავრცელებას;

ვ) დასუფთავება, დეზინფექცია, მწერების და მღრღნელების კონტროლი ან სხვა აუცილებელი ბიოუსაფრთხოების ზომები, რომლებიც უნდა გატარდეს ზეგავლენის ქვეშ მყოფ საწარმოში, სურსათისა და ცხოველის საკვებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელ საწარმოში, ცწადპ-ს საწარმოში ან სხვა ტერიტორიებზე, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი აღნიშნული დაავადების გავრცელების რისკი;

ზ) ამ წესის 45-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეპიდემიოლოგიური გამოკითხვის დასასრულებლად საჭირო საკმარისი რაოდენობის შესაბამისი ნიმუშების აღება;

თ) ნიმუშების ლაბორატორიული გამოკვლევა;

ი) ნებისმიერი სხვა შესაბამისი ზომა.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებული დაავადების კონტროლის ზომების შერჩევისას, სააგენტო ითვალისწინებს შემდეგს:

ა) დაავადების პროფილი;

ბ) წარმოების ტიპი და ეპიდემიოლოგიური ერთეულებს დაავადების ზეგავლენის ქვეშ მყოფ საწარმოში, სურსათისა და ცხოველის საკვებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელ საწარმოში, ცწადპ-ს საწარმოში და სხვა ტერიტორიაზე.

3. სააგენტომ უნდა გასცეს ავტორიზაცია შესაბამისი საწარმოს ან სხვა ტერიტორიის

რეპოპულაციის შესახებ მხოლოდ მაშინ, როდესაც:

ა) ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დაავადების კონტროლის ყველა შესაბამისი ღონისძიება და ლაბორატორიული გამოკვლევა წარმატებით დასრულდა;

ბ) გასულია საკმარისი დრო რათა თავიდან იქნას აცილებული ზეგავლენის ქვეშ მყოფი საწარმოს, სურსათისა და ცხოველის საკვებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი საწარმოს, ცწადპ-ს საწარმოს ან სხვა ადგილის ხელახალი დაბინძურება (რეკონტამინაცია) იმ სიით განსაზღვრული დაავადებით, რამაც გამოიწვია ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული აფეთქება.

მუხლი 50. ეპიდემიოლოგიურად დაკავშირებული საწარმოები და ტერიტორიები

სააგენტო, ამ წესის 49-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დაავადების კონტროლის ღონისძიებების განხორციელებას განავრცობს სხვა საწარმოებზე, ეპიდემიოლოგიურ ერთეულებზე, სურსათისა და ცხოველის საკვებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელ საწარმოზე ან ცწადპ-ს საწარმოებზე ან სხვა ტერიტორიებზე, სატრანსპორტო საშუალებებზე, თუ ამ წესის 45-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ეპიდემიოლოგიური გამოკითხვა ან კლინიკური თუ ლაბორატორიული გამოკვლევები ან სხვა ეპიდემიოლოგიური მონაცემები ადასტურებენ, რომ არსებობს ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაავადების გავრცელების ალბათობა მათგან ან მათი საშუალებით, რისთვისაც აუცილებელია ამგვარი ზომების მიღება.

მუხლი 51. დაავადების კონტროლის ზომები ზეგავლენის ქვეშ მყოფი და ეპიდემიოლოგიურად დაკავშირებულ საწარმოებსა და სხვა ტერიტორიებზე

ამ წესის 49-ე და 50-ე მუხლების შესაბამისად ზეგავლენის ქვეშ მყოფი და ეპიდემიოლოგიურად დაკავშირებულ საწარმოებში, სურსათისა და ცხოველის საკვებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელ საწარმოში ან ცწადპ-ს საწარმოში და სხვა ტერიტორიებზე ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სიით განსაზღვრულ დაავადებასთან მიმართებაში სააგენტომ უნდა განახორციელოს ,,სიით განსაზღვრული ზოგიერთი დაავადების პრევენციის და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად განსაზღვრული დაავადების კონტროლის ზომები.

მუხლი 52. სააგენტოს მიერ შეზღუდული ზონების შექმნა

1. სააგენტომ უნდა შექმნას შეზღუდული ზონა, ამ წესის 48-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შეხებაში მყოფი საწარმოს, სურსათისა და ცხოველის საკვებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი საწარმოს, ცწადპ-ს საწარმოსა თუ სხვა ტერიტორიის ირგვლივ, როცა ადგილი აქვს ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად სიით განსაზღვრული დაავადების აფეთქებას შენახულ ცხოველებში და საჭიროებისას გაითვალისწინოს შემდეგი:

ა) დაავადების პროფილი;

ბ) შეზღუდული ზონის გეოგრაფიული მდგომარეობა;

გ) შეზღუდული ზონის ეკოლოგიური და ჰიდროლოგიური ფაქტორები;

დ) მეტეოროლოგიური პირობები;

ე) შეზღუდულ ზონაში ვექტორების არსებობა, განაწილება და ტიპი;

ვ) ამ წესის 45-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ეპიდემიოლოგიური მოკვლევის შედეგები და სხვა ჩატარებული კვლევები და ეპიდემიოლოგიური მონაცემები;

ზ) ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგები;

თ) გამოყენებული დაავადების კონტროლის ღონისძიებები;

ი) სხვა შესაბამისი ეპიდემიოლოგიური ფაქტორები.

2. შეზღუდულმა ზონამ, სადაც შესაძლებელია, უნდა მოიცვას განსაზღვრული ზომისა და კონფიგურაციის დამცავი და საზედამხედველო ზონა;

3. სააგენტომ მუდმივად უნდა შეაფასოს და გადახედოს ვითარებას და სადაც საჭიროა, ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადების გავრცელების აღსაკვეთად, უნდა:

ა) მოახდინოს შეზღუდული ზონის საზღვრების ადაპტირება;

ბ) შექმნას დამატებითი შეზღუდული ზონები.

მუხლი 53. დაავადების კონტროლის ზომები შეზღუდულ ზონებში

1. სააგენტომ უნდა უზრუნველყოს, რომ განხორციელდეს დაავადების კონტროლის ერთი ან მეტი ღონისძიება შესაბამის შეზღუდულ ზონაში ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადების შემდგომი გავრცელების თავიდან აცილების მიზნით:

ა) საწარმოს, სურსათისა და ცხოველის საკვებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი საწარმოს, ცწადპ-ს საწარმოს ან შენახული ცხოველის სხვა ადგილმდებარეობის იდენტიფიკაცია ამ სიით განსაზღვრული დაავადებისთვის სიით განსაზღვრული სახეობების ცხოველებისთვის;

ბ) შემოწმებები (ვიზიტები) საწარმოებში, სურსათისა და ცხოველის საკვებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელ საწარმოში, ცწადპ-ს საწარმოებში ან სხვა ტერიტორიებზე, სადაც ჰყავთ ამ სიით განსაზღვრული სახეობების ცხოველები, და საჭიროების შემთხვევაში, გამოკვლევები, ნიმუშების აღება და მათი ლაბორატორიული გამოკვლევა;

გ) პირობების დაწესება ადამიანების, ცხოველების, პროდუქტების, ცხოველის საკვების, სატრანსპორტო საშუალებების და ნებისმიერი სხვა მასალის ან ნივთიერების გადაადგილებისთვის, რომელიც შეიძლება იყოს დაბინძურებული ან ხელი შეუწყოს ამ სიით განსაზღვრული დაავადების გავრცელებას შეზღუდულ ზონაში და მის გარეთ;

დ) ბიოუსაფრთხოების მოთხოვნები:

დ.ა) ცხოველური წარმოშობის პროდუქტების წარმოება, გადამუშავება და დისტრიბუციასთან დაკავშირებით;

დ.ბ) ცწადპ-ის შეგროვებასა და განკარგვასთან დაკავშირებით;

დ.გ) გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალების შეგროვება, შენახვასა და ჰენდლიგთან დაკავშირებით;

ე) შენახული ცხოველების ვაქცინაცია და სხვა ვეტერინარული პრეპარატებით მკურნალობა ამ წესის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის და ,,სიით განსაზღვრული ზოგიერთი დაავადების პრევენციის და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად;

ვ) დასუფთავება, დეზინფექცია, მწერების და მღრღნელების კონტროლი ან სხვა აუცილებელი ბიოუსაფრთხოების ღონისძიებები;

ზ) სურსათის საწარმოს გამოყოფა ან საჭიროების შემთხვევაში აღიარება ცხოველების დაკვლის ან შეზღუდული ზონიდან წარმოშობილი ცხოველური პროდუქტების დამუშავების მიზნით;

თ) იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის მოთხოვნები ცხოველების, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალების ან ცხოველური წარმოშობის პროდუქტების გადაადგილებისთვის;

ი) სხვა აუცილებელი ბიოუსაფრთხოების და რისკის შემამცირებელი ზომები ამ სიით

განსაზღვრული დაავადების გავრცელების რისკის შესამცირებლად.

2. სააგენტო ვალდებულია:

ა) მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა ინფორმაცია მიაწოდოს შეზღუდულ ზონაში მყოფ პირებს მოქმედი შეზღუდვების და დაავადების კონტროლის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ;

ბ) შესაბამისი ვალდებულებები დააკისროს ბიზნესოპერატორებს, რათა აღკვეთოს სიით განსაზღვრული დაავადების დამატებითი გავრცელება.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დაავადების კონტროლის ღონისძიების დადგენისას, სააგენტომ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

ა) დაავადების პროფილი;

ბ) წარმოების ტიპი;

გ) დაავადების კონტროლის ღონისძიებების მიზანშეწონილობა, ხელმისაწვდომობა და ეფექტიანობა.

მუხლი 54. ბიზნესოპერატორის ვალდებულებები შეზღუდულ ზონებში გადაადგილებასთან დაკავშირებით

1. ამ წესის 52 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ შეზღუდულ ზონებში ბიზნესოპერატორის მიერ შენახული ცხოველები და პროდუქტები გადაადგილდება მხოლოდ სააგენტოს ნებართვით და მის მიერ მიცემული ინსტრუქციების შესაბამისად.

2. ბიზნესოპერატორი, რომელსაც ჰყავს ცხოველები და პროდუქტები ამ წესის 52-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით განსაზღვრულ შეზღუდულ ზონაში, სააგენტოს აცნობებს შენახული ცხოველებისა და პროდუქტების დაგეგმილი გადაადგილების შესახებ შეზღუდულ ზონაში ან მის გარეთ. გამომდინარე იქიდან, რომ სააგენტოს დაწესებული აქვს შეტყობინების ვალდებულება ამ წესის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შესაბამისი ბიზნესოპერატორი ვალდებულია დაიცვას ეს მოთხოვნა.

3. ამ წესის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შეზღუდულ ზონაში ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტში მითითებული თითოეული სიით განსაზღვრული დაავადებისთვის დაავადების კონტროლის დეტალური ღონისძიებები განსაზღვრულია ,,სიით განსაზღვრული ზოგიერთი დაავადების პრევენციის და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 55. დაავადების კონტროლის ზომების შენარჩუნება შეზღუდულ ზონებში

სააგენტომ უნდა გააგრძელოს ამ წესის 48-ე-56-ე მუხლებით გათვალისწინებული დაავადების კონტროლის ზომები შემდეგი პირობების დაკმაყოფილებამდე:

ა) დაავადების კონტროლის ღონისძიებები შეესაბამება ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ კონკრეტულ დაავადებას, რისთვისაც ეს ღონისძიებები გატარდა;

ბ) მწერებისაგან და მღრღნელებისაგან საბოლოო დასუფთავების, დეზინფექციის და კონტროლის ზომები, ან სხვა აუცილებელი ბიუსაფრთხოების ღონისძიებები სათანადოდ ჩატარდა:

ბ.ა) ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა” ქვეპუნატში მითითებულ სიით განსაზღვრულ დაავადებასთან დაკავშირებით, რისთვისაც მოხდა კონტროლის ღონისძიების განხორციელება;

ბ.ბ) შენახულ ცხოველებში დაინფიცირებული სახეობების შესაბამისად;

ბ.გ) წარმოების ტიპის შესაბამისად;

გ) შეზღუდულ ზონაში განხორციელდა სათანადო ზედამხედველობა, რომელიც შეესაბამება ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრულ დაავადებას, რომლისთვისაც ჩატარდა დაავადების კონტროლის ღონისძიებები და დადასტურებულია სიით განსაზღვრული ამ დაავადების აღმოფხვრის ფაქტი კონკრეტულ საწარმოსა თუ ტერიტორიაზე.

2. დაავადებისგან თავისუფალი სტატუსის აღდგენისთვის აუცილებელი დაავადების კონტროლის სხვა ზომები განსაზღვრულია ,,სიით განსაზღვრული ზოგიერთი დაავადების პრევენციის და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 56. გადაუდებელი ვაქცინაცია

1. ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადების ეფექტური კონტროლის საჭიროების შემთხვევაში, რომლის მიმართაც გამოიყენება დაავადების კონტროლის ზომები, სააგენტომ შესაძლებელია:

ა) შეიმუშაოს ვაქცინაციის გეგმა;

ბ) შექმნას ვაქცინაციის ზონები.

2. ვაქცინაციის გეგმის შედგენისა და ვაქცინაციის ზონების შექმნისას ამ მუხლის პირველი

პუნქტის შესაბამისად, სააგენტომ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

ა) ამ წესის 35-ე მუხლით დადგენილი საგანგებო გეგმებში განსაზღვრული გადაუდებელი ვაქცინაციის მოთხოვნები;

ბ) ამ წესის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვაქცინების გამოყენების მოთხოვნები და ,,სიით განსაზღვრული ზოგიერთი დაავადების პრევენციის და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნები.

მუხლი 57. გარეული ცხოველები

1. თუ სააგენტო ეჭვს შეიტანს ან ოფიციალურად დაადასტურებს ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადების არსებობას გარეულ ცხოველებში, იგი ვალდებულია:

ა) განახორციელოს გარეული ცხოველების პოპულაციაზე სიით განსაზღვრულ კონკრეტულ დაავადებაზე ზედამხედველობა;

ბ) მიიღოს დაავადების პრევენციისა და კონტროლის აუცილებელი ზომები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაავადების კონტროლის ზომები შეიძლება მოიცავდეს ამ წესის 41-ე-56-ე მუხლებით განსაზღვრულ ერთ ან მეტ ზომას და ითვალისწინებდეს დაავადების პროფილს, ზეგავლენის ქვეშ მყოფ გარეულ ცხოველებს და დაავადების ცხოველებზე და ადამიანებზე გადაცემის რისკს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულის შესაბამის ზედამხედველობის კრიტერიუმებსა და პროცედურებს, ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პრევენციისა და კონტროლის ზომებს ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადების ოფიციალური დადასტურების შემთხვევაში გამოიყენება ,,სიით განსაზღვრული ზოგიერთი დაავადების პრევენციის და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნები.

მუხლი 58. სიით განსაზღვრული დაავადების კონტროლის დამატებითი ზომები და დროებითი, სპეციალური წესები ამ წესის 41-ე-57-ე მუხლებისთვის

1. სააგენტოს შეუძლია მიიღოს სიით განსაზღვრული დაავადებების კონტროლის დამატებითი ზომები, გარდა იმ ზომებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამ წესის 43-ე მუხლით, 49-ე მუხლის პირველი პუნქტით, 50-ე მუხლით, 53-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით და 55-ე მუხლის პირველი პუნქტით და ,,სიით განსაზღვრული ზოგიერთი დაავადების პრევენციის და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესების შესაბამისად და აუცილებელია და პროპორციულია ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადებების გავრცელების გასაკონტროლებლად, ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული:

ა) კონკრეტული ეპიდემიოლოგიური გარემოებები;

ბ) საწარმოს ტიპი, სხვა ტერიტორიები და წარმოება;

გ) ჩართული ცხოველების სახეობები და კატეგორიები;

დ) ეკონომიკური ან სოციალური მდგომარეობა.

2. სააგენტო დაუყოვნებლივ აცნობებს სამინისტროს:

ა) სააგენტოს მიერ განხორციელებული სიით განსაზღვრული დაავადების ამ წესის 46-ე, 47-ე, 49-ე, 50-ე, 52-ე, 53-ე მუხლებით, 55-ე მუხლის პირველი პუნქტით, 56-ე მუხლითა და 57-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით და ,,სიით განსაზღვრული ზოგიერთი დაავადების პრევენციის და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად განსაზღვრული დაავადების კონტროლის ღონისძიებებთან დაკავშირებით;

ბ) სააგენტოს მიერ განხორციელებულ ნებისმიერ დამატებით ღონისძიებებთან დაკავშირებით.

3. სამინისტრო შეაფასებს სიით განსაზღვრულ დაავადებაზე არსებულ ვითარებას და სააგენტოს მიერ ამ წესის 41-ე-59-ე მუხლების შესაბამისად გატარებულ ზომებს, ასევე, სააგენტოს მიერ გატარებულ ნებისმიერ დამატებით ღონისძიებებს და შეფასების შედეგებზე საფუძველზე შესაძლებელია განსაზღვროს ნორმატიული აქტით დაავადების კონტროლის

რაიმე სპეციალური ზომა გარკვეული პერიოდით, ეპიდემიოლოგიური ვითარების შესაბამისი პირობებით, სადაც:

ა) აღმოჩნდა, რომ დაავადების კონტროლზე გატარებული ზომები არ შეესაბამება ეპიდემიოლოგიურ ვითარებას;

ბ) ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით მითითებული სიით განსაზღვრული დაავადება კვლავ აგრძელებს გავრცელებას, მიუხედავად იმისა, რომ დაავადების კონტროლის ზომები ხორციელდება ამ წესის 41-ე-59-ე მუხლების შესაბამისად.

თავი XII

ამ წესის მე- 9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადებების კონტროლის ღონისძიებები

მუხლი 59. ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრულ დაავადებებზე ბიზნესოპერატორისა და სხვა შესაბამისი ფიზიკური და იურიდიული პირების ვალდებულებები

1. შენახულ ცხოველებში, ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრულ დაავადებებზე ეჭვის შემთხვევაში, გარდა ამ წესის მე-18 მუხლით განსაზღვრული შეტყობინების ვალდებულების დაცვისა და დაავადების კონტროლის ნებისმიერი ღონისძიებისა, რომელსაც სააგენტო ახორციელებს ამ წესის 61-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სააგენტო იღებს ზომებს, რათა უზრუნველყოს, რომ ბიზნესოპერატორმა და სხვა შესაბამისმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა განახორციელოს სიით განსაზღვრული დაავადების კონტროლის ღონისძიებები, როგორც ეს მითითებულია ამ წესის 61-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში და ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, რათა თავიდან იქნას აცილებული სიით განსაზღვრული დაავადების გავრცელება დაავადებული ცხოველებიდან, საწარმოდან და მათი პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფი ადგილებიდან, სხვა ჯანმრთელ ცხოველებსა და ადამიანებზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტში მითითებული დეტალური კონტროლის წესები განსაზღვრულია ,,სიით განსაზღვრული ზოგიერთი დაავადების პრევენციის და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 60. ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრულ დაავადებაზე ეჭვის შემთხვევაში მოკვლევასთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. შენახულ ცხოველებში ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადებაზე ეჭვის შემთხვევაში, სააგენტო დაუყოვნებლივ ახორციელებს მოკვლევას, სიით განსაზღვრული დაავადების დადასტურების ან გამორიცხვის მიზნით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოკვლევის მიზნით, სააგენტო, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს, რომ:

ა) სახელმწიფო ვეტერინარმა ჩაატაროს სიით განსაზღვრული სახეობის შენახული ცხოველების რეპრეზენტატიული რაოდეობის კლინიკური შემოწმება სიით განსაზღვრული მოცემული დაავადების მოკვლევისათვის;

ბ) სახელმწიფო ვეტერინარი იღებს შესაბამის ნიმუშებს სიით განსაზღვრული სახეობების შენახულ ცხოველებში გამოსაკვლევად და სხვა ნიმუშებს სახელმწიფო ლაბორატორიაში გამოსაკვლევად;

გ) ამ პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ლაბორატორია ატარებს გამოკვლევებს, რათა დაადასტუროს ან გამორიცხოს აღნიშნული დაავადების არსებობა.

მუხლი 61. სააგენტოს მიერ დაავადების კონტროლის წინასწარი ზომების განხორციელება ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებულ სიით განსაზღვრულ დაავადებებზე

1. შენახულ ცხოველებში, ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრულ დაავადებაზე ეჭვის შემთხვევაში, სააგენტომ უნდა განახორციელოს დაავადების კონტროლის წინასწარი ღონისძიებები, ამ წესის მე-60 მუხლის

პირველ პუნქტში გათვალისწინებული მოკვლევის შედეგების მიღებამდე და ამ წესის 66-ე მუხლით განსაზღვრული დაავადების კონტროლის ღონისძიებების გატარებამდე, კერძოდ:

ა) სიით განსაზღვრული დაავადების კონტროლის ღონისძიებების განხორციელება სიით განსაზღვრული დაავადებასთან შეხებაში მყოფი ტერიტორიიდან, საწარმოდან, სურსათისა და ცხოველის საკვებთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი საწარმოდან, ცწადპ-ის საწარმოდან ან სხვა ტერიტორიიდან გავრცელების შესაზღუდად;

ბ) საჭიროების შემთხვევაში, ამ წესის 45-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად ეპიდემიოლოგიური გამოკითხვის ინიცირება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ზომების გარდა, სააგენტო, ამავე პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში, ატარებს დაავადებათა კონტროლის დამატებით წინასწარ ღონისძიებებს, იმის გათვალისწინებით, რომ ამ წესის მოთხოვნები იქნება დაცული და ეს ზომები შესაბამისობაში იქნება საქართველოს კანონმდებლობასთან.

3. სიით განსაზღვრული დაავადებებების კონტროლის წინასწარი ზომები, რომლებიც განსაზღვრულია ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით უნდა იყოს სათანადო და პროპორციული, სიით განსაზღვრული დაავადების მიერ შექმნილი რისკისა, შემდეგის გათვალისწინებით:

ა) დაავადების პროფილი;

ბ) ზეგავლენის ქვეშ მყოფი შენახული ცხოველები;

გ) იმ ქვეყნის, ზონის, კომპარტმენტის ან საწარმოს ჯანმრთელობის სტატუსი, რომელიც საეჭვოა სიით განსაზღვრული დაავადების არსებობაზე;

დ) ამ წესის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და 44-ე მუხლში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადებების კონტროლის წინასწარი ზომები, ასევე ,,სიით განსაზღვრული ზოგიერთი დაავადების პრევენციის და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნები.

4. ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადებების მიმართ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები განსაზღვრულია ,,სიით განსაზღვრული ზოგიერთი

დაავადების პრევენციის და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილებით;

მუხლი 62. ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადებების კონტროლის წინასწარი ზომების მიმოხილვა და გაფართოება

ამ წესის 61-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული, სიით განსაზღვრული დაავადებების კონტროლის ზომები:

ა) უნდა გადაიხედოს სააგენტოს მიერ, საჭიროების მიხედვით, ამ წესის მე-60 მუხლში გათვალისწინებული მოკვლევის შედეგების მიღების შემდეგ და სადაც შესაბამისია - ამ წესის 61-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტში გათვალისწინებული ეპიდემიოლოგიური გამოკითხვის შედეგების შემდეგ;

ბ) ,,სიით განსაზღვრული ზოგიერთი დაავადების პრევენციის და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად დამატებით გაფართოვდეს, საჭიროების შემთხვევაში, სხვა ტერიტორიებზე.

მუხლი 63. ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მითითებულ სიით განსაზღვრულ დაავადებებზე ეჭვის შემთხვევაში ბიზნესოპერატორის და სხვა შესაბამისი ფიზიკური თუ იურიდიული პირების ვალდებულებები და სააგენტოს მიერ გასატარებული ზომები

1. ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრულ დაავადებაზე ეჭვის შემთხვევაში სააგენტომ უნდა განახორციელოს დაავადების აღმოფხვრის პროგრამა მისი ტერიტორიის, ზონის ან კომპარტმენტის ზოგიერთ ნაწილში, ვალდებულია მიიღოს ზომები, რათა უზრუნველყოს ბიზნესოპერატორის და სხვა შესაბამისი დაინტერესებული ფიზიკური თუ იურიდიული პირების მხრიდან სათანადო კონტროლის ზომების გატარება ამ წესის 59-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ვიდრე სააგენტო განახორციელებს დაავადებათა კონტროლის ღონისძიებებს ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

2. სააგენტო, რომელიც ახორციელებს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადების აღმოფხვრის პროგრამას, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ეჭვი შენახულ ცხოველებში კონკრეტული დაავადების გავრცელებაზე:

ა) მყისიერად ატარებს მოკვლევას, რომ დაადასტუროს ან გამორიცხოს სიით განსაზღვრული დაავადების არსებობა ამ წესის მე-60 მუხლის შესაბამისად;

ბ) ამ პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით განხორციელებს ამ წესის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაავადებათა კონტროლის ზომებს, ამ წესის 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრულ დაავადებათა კონტროლის წინასწარ ღონისძიებებს.

3. ამ წესის 62-ე მუხლის შესაბამისად სააგენტო განიხილავს და აფართოებს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებულ სიით განსაზღვრული დაავადების კონტროლის წინასწარ ზომებს.

4. სტატუსის შენარჩუნებისთვის ამ მუხლის პირველი-მე-3 პუნქტები ასევე ვრცელდება დაავადებისგან თავისუფალი სტატუსის მქონე ქვეყნის ტერიტორიაზე ან ზონებზე ამ წესის 30-ე მუხლის შესაბამისად, ან კომპარტმენტზე ამ წესის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სიით განსაზღვრული დაავადების კონტროლის ღონისძიებები, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოკვლევა და ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადების კონტროლის წინასწარი ზომები, რომლებიც უნდა განხორციელდეს სიით განსაზღვრული დაავადების გავრცელების თავიდან ასაცილებლად განსაზღვრულია ,,სიით განსაზღვრული ზოგიერთი დაავადების პრევენციის და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 64. სააგენტოს მიერ დაავადების ოფიციალური დადასტურება შენახულ ცხოველებში

1. სააგენტო ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადების ოფიციალურ დადასტურებას ახორციელებს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

ა) ამ წესის მე-60 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგებით;

ბ) საჭიროების შემთხვევაში, ამ წესის 61-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ეპიდემიოლოგიური გამოკითხვით;

გ) სხვა ხელმისაწვდომი ეპიდემიოლოგიური მონაცემებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ოფიციალური დადასტურებისათვის სააგენტო ხელმძღვანელობს ,,სიით განსაზღვრული ზოგიერთი დაავადების პრევენციის და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 65. დაავადებების წინასწარი კონტროლის ზომების გაუქმება, როცა დაავადების არსებობა უკვე გამოირიცხა

სააგენტო განაგრძობს სიით განსაზღვრული დაავადების ამ წესის 61-ე მუხლის პირველი პუნქტით, 62-ე მუხლის და 63-ე მუხლის მე-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში გათვალისწინებული კონტროლის წინასწარი ზომების გამოყენებას ვიდრე არ გამოირიცხება აღნიშნული დაავადების არსებობა ამ წესის 64-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 66. ამ წესის 9-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადების შემთხვევაში სააგენტოს მიერ გასატარებელი კონტროლის ზომები

თუ ამ წესის 64-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ოფიციალურად დადასტურდა სიით განსაზღვრული დაავადების აფეთქება შენახულ ცხოველებში, სააგენტომ ქვეყნის ტერიტორიაზე, ზონაში ან კომპარტმენტში, რომელიც რელევანტურია ამ აფეთქებისთვის, დაუყოვნებლივ:

ა) უნდა გამოიყენოს სიით განსაზღვრული დაავადებისთვის ამ წესის 26-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სავალდებულო აღმოფხვრის პროგრამის კონტროლის ღონისძიებები;

ბ) თუ ქვეყანას, ზონას ან კომპარტმენტს მოპოვებული აქვს სიით განსაზღვრული დაავადებაზე თავისუფალი სტატუსი ამ წესის 30-ე ან 31-ე მუხლების შესაბამისად:

ბ.ა) განახორციელებს ამ წესის 41-ე-56-ე მუხლებით განსაზღვრულ ერთ ან მეტ ზომას, რომელიც პროპორციულია შესაბამისი, სიით განსაზღვრული დაავადებით წარმოშობილი რისკისა;

ბ.ბ) საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს დაავადების აღმოფხვრის სავალდებულო პროგრამის ინიცირებას სიით განსაზღვრული კონკრეტული დაავადებისათვის.

მუხლი 67. ამ წესის მე-9-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადებების შემთხვევაში სააგენტოს მიერ გასატარებელი დაავადების კონტროლის ღონისძიებები

1. თუ ამ წესის 64-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ოფიციალურად დადასტურდა ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადების აფეთქება შენახულ ცხოველებში ქვეყნის ტერიტორიაზე და ხორციელდება აღმოფხვრის პროგრამა, რომელიც მოიცავს ქვეყნის ტერიტორიის, ზონის ან კომპარტმენტის შესაბამის ნაწილებს ამ წესის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სიით განსაზღვრული შესაბამისი დაავადების და ამ აფეთქების გათვალისწინებით, სააგენტომ უნდა გამოიყენოს დაავადების კონტროლის ზომები, რომელიც გათვალისწინებულია ამ დაავადების აღმოფხვრის არასავალდებულო პროგრამაში.

2. სააგენტოს შეუძლია განახორციელოს სიით განსაზღვრული დაავადების კონტროლის დამატებითი ზომები ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ზომებთან ერთად, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ამ წესის 41-ე-56-ე მუხლებით განსაზღვრულ ერთ ან მეტ ზომას, რომელიც პროპორციული უნდა იყოს სიით განსაზღვრული დაავადებით გამოწვეული რისკისა და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული:

ა) დაავადების პროფილი;

ბ) შეხებაში მყოფი შენახული ცხოველები;

გ) ეკონომიკური და სოციალური ზეგავლენა.

3. თუ ამ წესის 64-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ოფიციალურად დადასტურდა ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადების აფეთქება შენახულ ცხოველებში ქვეყანაში, ზონაში ან კომპარტმენტში, რომელსაც ამ წესის 30-ე ან 31-ე მუხლების შესაბამისად მინიჭებული აქვს სიით განსაზღვრული დაავადებაზე თავისუფალი სტატუსი, ამ სტატუსის შესანარჩუნებლად, სააგენტომ უნდა განახორციელოს ამ წესის 41-ე-56-ე მუხლებით განსაზღვრული ერთი ან მეტი ღონისძიება. ეს ღონისძიებები უნდა იყოს პროპორციული სიით განსაზღვრული დაავადებით გამოწვეული რისკისა და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული:

ა) დაავადების პროფილი;

ბ) შეხებაში მყოფი შენახული ცხოველები;

გ) ეკონომიკური და სოციალური ზეგავლენა.

მუხლი 68. ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადებების კონტროლის ღონისძიებები გარეულ ცხოველებში

თუ სააგენტო ეჭვს შეიტანს ან ოფიციალურად დაადასტურებს ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადების აფეთქებას გარეულ ცხოველებში, ის ვალდებულია ქვეყანაში, ან შესაბამის ზონაში, კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით:

ა) გამოიყენოს ამ წესის 26-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სიით განსაზღვრული დაავადების აღმოფხვრის სავალდებულო პროგრამა;

ბ) ინიცირება გაუკეთოს დაავადების აღმოფხვრის სავალდებულო პროგრამას, სადაც სიით განსაზღვრული დაავადებისთვის ამ წესის 26-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აღმოფხვრის პროგრამა ჯერ არ არის გამოყენებული, რადგან ეს დაავადება ადრე არ დაფიქსირებულა ან ამ დაავადებაზე თავისუფალი სტატუსი აქვს და აუცილებელია ზომების გატარება გარეულ ცხოველებში ამ დაავადების გავრცელების კონტროლისა და პრევენციისთვის.

მუხლი 69. გარეულ ცხოველებში დაავადების კონტროლის ღონისძიებები ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მითითებულ სიით განსაზღვრულ დაავადებებზე

1. თუ სააგენტოს ეჭვი აქვს ან ოფიციალურად ადასტურებს ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში სიით განსაზღვრული დაავადების არსებობას გარეულ ცხოველებში და ქვეყანა ახორციელებს აღნიშნული დაავადების აღმოფხვრის პროგრამას, და გარეულ ცხოველებთან დაკავშირებით განსაზღვრული ზომები გათვალისწინებულია ამ სიით განსაზღვრული დაავადების აღმოფხვრის არასავალდებულო პროგრამაში ამ წესის 26-ემუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სააგენტომ უნდა გამოიყენოს არასავალდებულო პროგრამით სიით განსაზღვრული დაავადების კონტროლის ზომები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შესაბამის არეალში ან ზონაში, იმის მიხედვით ეს ეჭვია თუ ოფიციალურად დადასტურებული.

2. სააგენტომ შეიძლება განახორციელოს დაავადების კონტროლის დამატებითი ზომები ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ზომებთან ერთად, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ამ წესის 41-ე-56-ე მუხლებით განსაზღვრულ ერთ ან მეტ ზომას, რომელიც პროპორციული უნდა იყოს სიით განსაზღვრული დაავადებით გამოწვეული რისკისა და მხედველობაში იქნეს მიღებული:

ა) დაავადების პროფილი;

ბ) შეხებაში მყოფი გარეული ცხოველები და დაავადების გადადების რისკი სხვა ცხოველებსა და ადამიანებზე;

გ) ეკონომიკური, სოციალური და გარემოზე ზემოქმედება.

3. თუ ოფიციალურად დადასტურდა ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადების აფეთქება გარეულ ცხოველებში ქვეყანაში, ზონაში ან კომპარტმენტში, რომელსაც მინიჭებული აქვს ამ წესის 30-ე ან 31-ე მუხლების შესაბამისად სიით განსაზღვრული დაავადებაზე თავისუფალი სტატუსი, ამ სტატუსის შესანარჩუნებლად, სააგენტომ უნდა განახორციელოს ერთი ან მეტი ღონისძიება, რომელიც განსაზღვრულია ამ წესის 41-ე-56-ე მუხლებში. ეს ღონისძიებები უნდა იყოს სიით განსაზღვრული დაავადებით გამოწვეული რისკის პროპორციული და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული:

ა) დაავადების პროფილი;

ბ) შეხებაში მყოფი გარეული ცხოველები და დაავადების გადადების რისკი სხვა ცხოველებსა და ადამიანებზე;

გ) გარეულ ცხოველებში დაავადების არსებობის რელევანტურობა შენახული ცხოველების ჯანმრთელობის სტატუსთან მიმართებით; და

დ) ეკონომიკური, სოციალური და გარემოზე ზემოქმედება.

მუხლი 70. ღონისძიებების კოორდინაცია და დროებითი სპეციალური წესები, რომლებიც შეეხება ამ წესის 41-ე-69-ე მუხლებს

1. სააგენტო სამინისტროს აწვდის ინფორმაციას:

ა) სააგენტოს მიერ განხორციელებული ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადების ამ წესის 64-ე-66-ე მუხლების და ამ წესის 68-ე მუხლით განსაზღვრული კონტროლის ღონისძიებებთან დაკავშირებით;

ბ) სააგენტოს მიერ განხორციელებული ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადების ამ წესის 64-ე, 65-ე, და 67-ე მუხლის პირველი პუნქტის და 69-ე მუხლით განსაზღვრული კონტროლის ღონისძიებებთან დაკავშირებით.

2. სამინისტრო შეაფასებს დაავადების მიმართ არსებულ ვითარებას და სააგენტოს მიერ ამ წესის 59-ე-70-ე მუხლების შესაბამისად გატარებულ ზომებს და შეიძლება შეფასების შედეგების საფუძველზე ნორმატიული აქტებით განსაზღვროს დაავადების კონტროლის რაიმე სპეციალური ზომა ლიმიტირებული პერიოდით ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტებში მითითებულ სიით განსაზღვრული დაავადებებთან დაკავშირებით, ეპიდემიოლოგიური ვითარების შესაბამისი პირობებით, იმ შემთხვევაში, თუ:

ა) სააგენტოს მიერ გატარებული, სიით განსაზღვრული დაავადების კონტროლის ზომები აღმოჩნდა, რომ არ შეესაბამება ეპიდემიოლოგიურ ვითარებას;

ბ) სიით განსაზღვრული დაავადება კვლავ აგრძელებს გავრცელებას, მიუხედავად იმისა, რომ დაავადების კონტროლის ზომები ხორციელდება ამ წესის 59-ე-70-ე მუხლების შესაბამისად.

თავი XIV

რეგისტრაცია, ავტორიზაცია, აღიარება, მიკვლევადობა და გადაადგილება

მუხლი 71. ბიზნესოპერატორის ვალდებულება საწარმოს რეგისტრაციასთან/ავტორიზაციასთან დაკავშირებით

1. ბიზნესოპერატორი, რომელიც ინახავს ხმელეთის ცხოველს ან ახორციელებს გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის შეგროვებას, წარმოებას, გადამუშავებას ან შენახვას, აღნიშნული საქმიანობის დაწყებამდე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ, სსიპ - საჯარო რეესტრში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრაციის შემდეგ, ექვემდებარება ავტორიზაციას ამ წესის 75-ე მუხლის შესაბამისად, რისთვისაც უნდა:

ა) მიაწოდოს ინფორმაცია სააგენტოს, მის პასუხისმგებლობაში მყოფ ნებისმიერ ასეთ საწარმოზე;

ბ) წარადგინოს სააგენტოში შემდეგი ინფორმაცია:

ბ.ა) ბიზნესოპერატორის დასახელება და მისამართი;

ბ.ბ) საწარმოს ადგილმდებარეობა და მისი სათავსოების აღწერა;

ბ.გ) საწარმოში შენახვისთვის განსაზღვრული კატეგორიის, სახეობისა და შენახული ხმელეთის ცხოველის ან გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალისა და საწარმოს წარმადობის შესახებ;

ბ.დ) საწარმოს ტიპი;

ბ.ე) საწარმოს სხვა ასპექტები, რომლებიც მნიშვნელოვანია მის მიერ გამოწვეული რისკის დასადგენად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულმა საწარმოს ბიზნესოპერატორმა უნდა მიაწოდოს ინფორმაცია სააგენტოს:

ა) მოცემულ საწარმოში ნებისმიერი ცვლილების შესახებ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით;

ბ) მოცემული ბიზნესოპერატორის ან საწარმოს მიერ განხორციელებული ნებისმიერი საქმიანობის შეწყვეტის შესახებ.

3. საწარმოს, რომელიც ექვემდებარება ამ წესის 76-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ აღიარებას. არ მოეთხოვება ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის წარდგენა.

მუხლი 72. გამონაკლისები ბიზნესოპერატორის მიერ საწარმოს ავტორიზაციის ვალდებულებიდან

სააგენტოში ავტორიზაციას არ ექვემდებარება უმნიშვნელო რისკის მქონე ხმელეთის ცხოველების შემნახველი საწარმო, თუ დაცულია შემდეგი კრიტერიუმები:

ა) საწარმოში არ ინახება ჩლიქოსნები;

ბ) საწარმოში არ ინახება ძაღლები, კატები ან ქრცვინები სანაშენედ;

გ) საწარმო არ არის ჩართული ხმელეთის ცხოველების, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის ან ცხოველური წარმოშობის პროდუქტების გადაადგილების პროცესში სხვა ქვეყნიდან ან სხვა ქვეყანაში;

დ) საწარმოში მყოფი ხმელეთის ცხოველები, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალა ან ცხოველური წარმოშობის პროდუქტები არ არის განკუთვნილი საწარმოს გარეთ გადასაადგილებლად.

მუხლი 73. შენახული ჩლიქოსნების გადამზიდავი ბიზნესოპერატორის ავტორიზაცია

1. შენახული ჩლიქოსნების გადამზიდავი, რომელიც ეწევა ამ ცხოველების გადაყვანას საქართველოდან სხვა ქვეყანაში, ამ საქმიანობის დაწყებამდე, ვალდებულია საჯარო რეესტრში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრაციის შემდეგ, გაიაროს ავტორიზაცია ამ წესის 75-ე მუხლის შესაბამისად, კერძოდ:

ა) მიაწოდს ინფორმაცია სააგენტოს მისი საქმიანობის შესახებ;

ბ) წარუდგინოს სააგენტოს შემდეგი ინფორმაცია:

ბ.ა) გადამზიდავის სახელი და მისამართი;

ბ.ბ) იმ შენახული ჩლიქოსნების კატეგორიის, სახეობის და რაოდენობის შესახებ, რომელთა ტრანსპორტირებაც იგეგმება;

ბ.გ) ტრანსპორტის ტიპი;

ბ.დ) სატრანსპორტო საშუალება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულმა გადამზიდავმა უნდა მიაწოდოს ინფორმაცია სააგენტოს:

ა) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საკითხებზე ნებისმიერი ცვლილების შესახებ;

ბ) ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული საქმიანობის ნებისმიერი შეწყვეტის შესახებ.

მუხლი 74. საწარმოსგან დამოუკიდებლად, შემკრები ოპერაციის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორის ავტორიზაციის ვალდებულება

1. ბიზნესოპერატორი, რომელიც ახორციელებს შენახული ჩლიქოსნების და შინაური ფრინველის შემკრებ ოპერაციებს, საწარმოსგან დამოუკიდებლად, მათ შორის ისინიც, რომლებიც ყიდულობენ და ყიდიან ცხოველებს, საჯარო რეესტრში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრაციის შემდეგ, ამ წესის 75-ე მუხლის შესაბამისად ავტორიზაციის მისაღებად, საქმიანობის დაწყებამდე, სააგენტოს უნდა წარუდგინოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) ბიზნესოპერატორის სახელი და მისამართი;

ბ) შენახული ფრინველისა და ჩლიქოსნების სახეობები და კატეგორიები, რომლებზეც ვრცელდება მისი საქმიანობა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულმა ბიზნესოპერატორმა უნდა მიაწოდოს ინფორმაცია სააგენტოს:

ა) ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ საკითხებზე ნებისმიერი ცვლილების შესახებ;

ბ) ბიზნესოპერატორის საქმიანობის ნებისმიერი შეწყვეტის შესახებ.

მუხლი 75. სააგენტოს ვალდებულება ავტორიზაციასთან დაკავშირებით

1. სააგენტომ უნდა შეიტანოს ამ წესის 84-ე მუხლის პირველი პუნქტით ავტორიზებულ საწარმოთა განსაზღვრულ რეესტრში:

ა) საწარმოები, რომელზეც ბიზნესოპერატორს წარდგენილი აქვს ინფორმაცია ამ წესის 71-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად;

ბ) გადამზიდავები, სადაც გადამზიდავს წარდგენილი აქვს ინფორმაცია ამ წესის 73-ე მუხლის შესაბამისად;

გ) საწარმოსგან დამოუკიდებლად შემკრები ოპერაციის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორები, სადაც, ბიზნესოპერატორს ამ წესის 74-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად წარდგენილი აქვს ინფორმაცია.

2. სააგენტომ უნდა მიანიჭოს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ თითოეულ საწარმოს, გადამზიდავსა და ბიზნესოპერატორს ავტორიზაციის უნიკალური ნომერი.

მუხლი 76. ზოგიერთი საწარმოს აღიარება

1. ამ წესის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ამ პუნქტით განსაზღვრული საწარმოს ბიზნესოპერატორმა უნდა მიმართოს სააგენტოს აღიარების თხოვნით და არ უნდა დაიწყოს ფუნქციონირება ამ წესის 78-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად აღიარებამდე:

ა) საკონტროლო პუნქტი/საწარმო;

ბ) საკარანტინო სადგომი/საწარმო.

2. ბიზნესოპერატორმა უნდა შეწყვიტოს საქმიანობა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ საწარმოში, სადაც:

ა) სააგენტო შეწყვეტს ან შეაჩერებს აღიარებას ამ წესის 81-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად; ან

ბ) ამ წესის მე-80 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გაცემული პირობითი აღიარების შემთხვევაში, საწარმო ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ იღებს სრულ აღიარებას ამ წესის 78-ე მუხლის შესაბამისად.

3. ბიზნესოპერატორს, რომელსაც სურვილი აქვს მიიღოს შემოფარგლული საწარმოს სტატუსი უნდა:

ა) მიმართოს სააგენტოს აღიარებისათვის ამ წესის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად;

ბ) გადააადგილოს შენახული ცხოველები საწარმოში და საწარმოდან ამ წესის 113-ე მუხლის შესაბამისად მხოლოდ მას შემდეგ, რაც მის საწარმოზე გაიცემა შემოფარგლული საწარმოს სტატუსზე აღიარება ამ წესის 78-ე და მე-80 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 77. ბიზნესოპერატორის ვალდებულება აღიარების მიზნით ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით

1. ბიზნესოპერატორმა ამ წესის 76-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საწარმოების აღიარების მოპოვებისთვის, სააგენტოს უნდა მიმართოს განაცხადით და მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) შესაბამისი ბიზნესოპერატორის სახელი და მისამართი;

ბ) შესაბამისი საწარმოს მდებარეობა და მისი სათავსოების აღწერა;

გ) საწარმოში შენახული ხმელეთის ცხოველების კატეგორიების, სახეობებისა და რაოდენობის შესახებ;

დ) საწარმოს ტიპი;

ე) საწარმოს სხვა ასპექტები, რომლებიც დაკავშირებულია მის სპეციფიკასთან, რომლებიც რელევანტურია მის მიერ წარმოქმნილი რისკის დადგენაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტით განსაზღვრული საწარმოს ბიზნესოპერატორმა უნდა მიაწოდოს ინფორმაცია სააგენტოს:

ა) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით ნებისმიერი ცვლილების შესახებ;

ბ) შესაბამისი ბიზნესოპერატორის ან საწარმოს საქმიანობის შეწყვეტის შესახებ.

მუხლი 78. საწარმოების აღიარების პირობები

სააგენტომ ამ წესის 76-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების შესაბამისად განსაზღვრულ საწარმოებს უნდა მიანიჭოს აღიარება მხოლოდ მაშინ თუ:

ა) ასეთი საწარმო, სადაც საჭიროა, აკმაყოფილებს:

ა.ა) კარანტინის, იზოლაციისა და ბიოუსაფრთხოების სხვა ზომებსა და ამ წესის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ა.ბ) ამ წესის 21-ე და 22-ე მუხლებით განსაზღვრულ ზედამხედველობის მოთხოვნებს, მოცემული საწარმოს ტიპისა და რისკების გათვალისწინებით;

ა.გ) ამ წესის 85-ე და 86-ე მუხლების შესაბამისად განსაზღვრულ ჩანაწერებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და ამ წესის 89-ე მუხლის შესაბამისად;

ბ) ასეთ საწარმოს აქვს სათავსოები და აღჭურვილობა, რომლებიც:

ბ.ა) ადეკვატურად ამცირებს მისაღებ დონემდე რისკის არსებობასა და გავრცელებას, მოცემული საწარმოს ტიპის გათვალისწინებით;

ბ.ბ) შეესაბამება ადეკვატური წარმოების წარმადობას, მოცემული შენახული ხმელეთის ცხოველებთან მიმართებაში;

გ) საწარმო არ წარმოადგენს მიუღებელ/დაუშვებელ რისკს, დაავადების გავრცელებასთან დაკავშირებით, ადგილზე რისკის შემამცირებელი ზომების გათვალისწინებით;

დ) საწარმოს ჰყავს ადეკვატურად დატრენინგებული პერსონალი, მოცემული საწარმოს საქმიანობისთვის;

ე) საწარმოს ადგილზე აქვს სისტემა, რომლითაც მოცემულ ბიზნესოპერატორს შესაძლებლობას აქვს სააგენტოს წარმოუდგინოს ამ პუნქტის „ა“-„დ“ პუნქტებთან შესაბამისობა.

მუხლი 79. საწარმოს აღიარების ფარგლები

სააგენტომ აღიარების გაცემისას უნდა მიუთითოს, რომ საწარმოს აღიარება მინიჭებული აქვს ამ წესის 78-ე მუხლის შესაბამისად და დააზუსტოს:

ა) ამ წესის 76-ე მუხლის პირველი ან მე-3 პუნქტების შესაბამისად საწარმოს ტიპი; და

ბ) რომელი სახეობისა და კატეგორიის შენახულ ხმელეთის ცხოველს ეხება ეს აღიარება.

მუხლი 80. სააგენტოს მიერ აღიარების მინიჭების პროცედურები

1. ბიზნესოპერატორი აღიარებისთვის განცხადებით მიმართავს სააგენტოს.

2. განცხადების მიღებიდან ერთი თვის ვადაში სააგენტომ ადგილზე უნდა განახორციელოს ბიზნესოპერატორის ინსპექტირება.

3. ინსპექტირების შედეგების მიხედვით, სააგენტო ახორციელებს ბიზნესოპერატორის აღიარებას, პირობით აღიარებას ან უარს აცხადებს ბიზნესოპერატორის აღიარებაზე ინსპექტირების დასრულებიდან 10 დღის განმავლობაში.

4. ამ წესის 78-ე მუხლითა და ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში, სააგენტო გასცემს აღიარებას.

5. თუ ბიზნესოპერატორი არ აკმაყოფილებს ამ წესის 78-ე მუხლის შესაბამისად აღიარებისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, სააგენტოს შეუძლია მიანიჭოს პირობითი აღიარება თუ კი მოცემული ბიზნესოპერატორის განაცხადისა და შემდგომი, ადგილზე ვიზიტის შემდეგ, საწარმო შესაბამისობაშია ყველა იმ ძირითად მოთხოვნასთან, რომელიც წარმოადგენს საკმარის გარანტიას იმაზე, რომ საწარმო არ წარმოადგენს მნიშვნელოვან რისკს.

6. თუ სააგენტოს მიერ მინიჭებულია პირობითი აღიარება ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, მან უნდა მიანიჭოს სრული აღიარება მხოლოდ საწარმოს ადგილზე ინსპექტირების შემდეგ, რომელიც ჩატარდა პირობითი აღიარების მინიჭებიდან ექვს თვეში ბიზნესოპერატორის მიერ ამ თარიღიდან ექვს თვეში მიწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე, რომ საწარმო აკმაყოფილებს აღიარებისთვის საჭირო ყველა მოთხოვნას ამ წესის 78-ე მუხლისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. თუ ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად ადგილზე განხორციელებული ინსპექტირებით ნათელია, რომ საწარმოს ჰქონდა პროგრესი, თუმცა არ აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, სააგენტომ უნდა გაუხანგრძლივოს პირობითი აღიარება. თუმცა, პირობითი აღიარება არ უდნა მიენიჭოს არა უმეტეს 12 თვეზე მეტი ვადით.

მუხლი 81. სააგენტოს მიერ აღიარების გადახედვა, შეჩერება და გაუქმება

1. სააგენტო ინარჩუნებს ამ წესის 78-ე და მე-80 მუხლების შესაბამისად გაცემული საწარმოს აღიარების გადახედვის უფლებას არსებული რისკებიდან გამომდინარე.

2. თუ სააგენტო განახორციელებს საწარმოს ამ წესის 78-ე მუხლითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შეუსაბამობის იდენტიფიცირებას, და საწარმოს ბიზნესოპერატორს არ შეუძლია ადეკვატური გარანტიების წარმოდგენა, დარღვევების აღმოფხვრის შესახებ, სააგენტომ ახდენს საწარმოს აღიარების ჩამორთმევისთვის საჭირო პროცედურების ინიცირებას. თუმცა, სააგენტოს შეუძლია მხოლოდ შეუჩეროს აღიარება, ჩამორთმევის ნაცვლად, თუ კი ბიზნესოპერატორი წარუდგენს გარანტიებს შეცდომების აღმოფხვრის შესახებ გონივრული ვადის განმავლობაში.

3. აღიარება უნდა გაიცეს გაუქმების შემდეგ, ან უნდა აღუდგინოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად, როდესაც საწარმოს მიერ კონკრეტული ტიპის საწარმოსთვის განსაზღვრული მოთხოვნები სრულყოფილად შესრულებულია.

მუხლი 82. საკონტროლო პუნქტის/საწარმოს აღიარებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. საკონტროლო პუნქტის/საწარმოს იზოლაციასთან და ბიოუსაფრთხოების სხვა ზომებთან დაკავშირებული მოთხოვნებია:

ა) საკონტროლო პუნქტი/საწარმო უნდა იყოს განლაგებული, დაპროექტებული, აშენებული და ფუნქციონირებადი ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს სიით განსაზღვრული ან ახალაღმოცენებადი დაავადებების შესაბამისი ბიოუსაფრთხოება, სხვა საწარმოში და მის შენობებში გამავალი ცხოველების თანმიმდევრულ პარტიებს შორის, დაავადებების გავრცელების თავიდან ასაცილებლად;

ბ) საკონტროლო პუნქტი/საწარმო უნდა იყოს აშენებული, აღჭურვილი და ფუნქციონირებადი ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს დასუფთავებისა და დეზინფექციის პროცედურების

მარტივად განხორციელება; ადგილზე უნდა იყოს უზრუნველყოფილი სატრანსპორტო საშუალების რეცხვა;

გ) საკონტროლო პუნქტს/საწარმოს უნდა ჰქონდეს შესაბამისი სათავსოები ცხოველთა დაავადებით დაინფიცირების საეჭვო ცხოველების ცალკე იზოლაციისთვის;

დ) ცხოველების ორ თანმიმდევრულ პარტიას შორის უნდა იყოს უზრუნველყოფილი შესაბამისი სანიტარიული შესვენებები და საჭიროების შემთხვევაში, ადაპტირებული იქნეს იმის მიხედვით, არიან თუ არა ცხოველები ერთი და იგივე ჯანმრთელობის სტატუსის მქონე მსგავსი რეგიონიდან, ზონიდან ან კომპარტმენტიდან; კერძოდ, საკონტროლო პუნქტში/საწარმოში არ უნდა იმყოფებოდეს ცხოველები სულ მცირე 24 საათის განმავლობაში არაუმეტეს 6 დღიანი გამოყენების შემდეგ და დასუფთავებისა და დეზინფექციის ოპერაციების დასრულების შემდეგ, ასევე ცხოველების ნებისმიერი ახალი პარტიის მოსვლამდე;

ე) ცხოველების მიღებამდე, საკონტროლო პუნქტის/საწარმოს ბიზნესოპერატორის ვალდებულება:

ე.ა) დაიწყოს დასუფთავებისა და დეზინფექციის ოპერაციები იქ ადრე მყოფი ყველა ცხოველის გამგზავრებიდან 24 საათის განმავლობაში;

ე.ბ) უზრუნველყოს, რომ საკონტროლო პუნქტში/საწარმოში არ შევიდნენ ცხოველები მანამ, სანამ დასუფთავებისა და დეზინფექციის ოპერაციები არ დასრულდება და არ ჩათვლის დამაკმაყოფილებლად სახელმწიფო ვეტერინარი.

2. საკონტროლო პუნქტის/საწარმოს სათავსოებთან და აღჭურვილობასთან დაკავშირებული მოთხოვნებია:

ა) დასუფთავება და დეზინფექცია ყოველი გამოყენების წინ და შემდეგ, სახელმწიფო ვეტერინარის მოთხოვნის შესაბამისად;

ბ) აღჭურვილობა, რომელიც შეხებაშია საკონტროლო პუნქტზე/საწარმოში არსებულ ცხოველებთან, იყოს განკუთვნილი მხოლოდ შესაბამისი ტერიტორიისთვის, გარდა იმ შემთხვევისა თუ ის დაექვემდებარა დასუფთავებისა და დეზინფექციის პროცედურას ცხოველებთან, მათ განავალთან ან შარდთან კონტაქტის შემდეგ; განსაკუთრებით, საკონტროლო პუნქტის/საწარმოს ბიზნესოპერატორმა უნდა უზრუნველყოს სუფთა აღჭურვილობა და დამცავი ტანსაცმელი, რომელიც უნდა იყოს მხოლოდ საკონტროლო პუნქტში/საწარმოში შემსვლელი ნებისმიერი პირის გამოსაყენებლად და უნდა იყოს ხელმისაწვდომი შესაბამისი აღჭურვილობა ამ ნივთების დასასუფთავებლად და დეზინფექციისთვის;

გ) ქვეშსაგები მოიხსნას ცხოველების პარტიის ვოლიერიდან გაყვანისას და დასუფთავებისა და დეზინფექციის ოპერაციების შემდეგ და შეიცვალოს ახალი ქვეშსაგებით;

დ) საკვები (ანარჩენი), ქვეშსაგები, განავალი და შარდი არ შეგროვდეს ტერიტორიიდან, თუ ისინი არ დაექვემდებარა შესაბამის დამუშავებას ცხოველთა დაავადებების გავრცელების თავიდან ასაცილებლად;

ე) ჰქონდეთ შესაბამისი საშუალებები ცხოველების შესანახად, შესამოწმებლად და საჭიროების შემთხვევაში მათი გასინჯვისთვის;

ვ) იყოს ხელმისაწვდომი შესაბამისი შესანახი ადგილი ქვეშსაგებისთვის, საკვებისთვის, საკვების ანარჩენებისთვისა და ნაკელისთვის;

ზ) არსებობდეს შესაბამისი სისტემა ჩამდინარე წყლების შეგროვების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 83. ხმელეთის ცხოველებისთვის, გარდა პრიმატებისა, საკარანტინო სადგომის/საწარმოს აღიარების მოთხოვნები

1. ხმელეთის ცხოველებისთვის, გარდა პრიმატებისა, საკარანტინო საწარმოს კარანტინის, იზოლაციის და სხვა ბიოუსაფრთხოების ზომების მოთხოვნებია:

ა) საკარანტინო სადგომის/საწარმოს:

ა.ა) თითოეული ერთეული განლაგებული იყოს მიმდებარე საწარმოდან ან სხვა ადგილებიდან, სადაც ცხოველები ინახება, უსაფრთხო მანძილზე, რათა თავიდან იქნას აცილებული ცხოველთა გადამდები დაავადებების გადაცემა ბინადარ და კარანტინში მყოფ ცხოველებს შორის;

ა.ბ) თითოეულ ერთეულისთვის საჭირო საკარანტინო პერიოდი დაიწყოს მაშინ, როდესაც პარტიის ბოლო ცხოველი შეიყვანება საკარანტინო სადგომში/საწარმოში;)

ა.გ) თითოეული ერთეული დაიცალოს ცხოველებისგან, დასუფთავდეს და დეზინფიცირდეს ბოლო პარტიის საკარანტინო პერიოდის დასრულების შემდეგ და თავისუფალი დარჩეს ცარიელი ცხოველებისგან არანაკლებ შვიდი დღის განმავლობაში, ვიდრე სხვა ქვეყნიდან და ტერიტორიიდან საქართველოში შემოსული ცხოველების პარტია შეიყვანება საკარანტინო სადგომში/საწარმოში;

ბ) ქვეშსაფენი მოიხსნას, როდესაც ცხოველების პარტია გადაადგილდება ვოლიერიდან და ის უნდა შეიცვალოს ახალი ქვეშსაფენით დასუფთავებისა და დეზინფექციის ოპერაციების დასრულების შემდეგ;

გ) ცხოველის საკვები, ქვეშსაფენი, ნაკელი და შარდი არ შეგროვდეს შენობიდან, თუ ისინი არ დაექვემდებარა შესაბამის დამუშავებას ცხოველთა დაავადებების გავრცელების თავიდან ასაცილებლად;

დ) იქნას მიღებული ზომები ცხოველების შემომავალ და გამავალ პარტიებს შორის ჯვარედინი დაბინძურების თავიდან ასაცილებლად;

ე) საკარანტინო სადგომიდან/საწარმოდან გათავისუფლებული ცხოველები აკმაყოფილებდეს გადაადგილებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

2. ხმელეთის შენახული ცხოველების, გარდა პრომატებისა, საკარანტინო სადგომის/საწარმოს ზედამხედველობისა და კონტროლის ზომების მოთხოვნებია:

ა) დაავადებათა ზედამხედველობის გეგმა მოიცავდეს ცხოველების შესაბამის ზოონოზურ კონტროლს და განხორციელდეს და განახლდეს საწარმოში არსებული ცხოველების რაოდენობისა და სახეობების, ასევე საწარმოში და მის გარშემო არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის შესაბამისად, სიით განსაზღვრული და ახალაღმოცენებადი დაავადებების მხრივ;

ბ) სიით განსაზღვრული ან ახალაღმოცენებადი დაავადებების აგენტებით დაინფიცირებაზე ან დაბინძურებაზე (კონტამინაციაზე) საეჭვო ცხოველები დაექვემდებარონ კლინიკურ, ლაბორატორიულ ან სიკვდილის შემდგომ გამოკვლევებს;

გ) ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგოდ განხორციელდეს ამთვისებელი ცხოველების შესაბამისი ვაქცინაცია და მკურნალობა;

დ) სააგენტოს გადაწყვეტილების შემთხვევაში, დაავადების შესაძლო ადრეული გამოვლენისთვის გამოყენებული იქნას საკონტროლო/სენტინელ ცხოველები.

3. ხმელეთის ცხოველების, გარდა პრიმატებისა, საკარანტინო სადგომის/საწარმოს სათავსოებთან და აღჭურვილობასთან დაკავშირებული მოთხოვნებია:

ა) საწარმო იყოს მკაფიოდ გამოყოფილი (დემარკირებული) და ცხოველებისა და ადამიანების ცხოველთა სათავსოებში შესვლა იყოს კონტროლირებადი;

ბ) ვეტერინარული შემოწმების ჩატარებაზე პასუხისმგებელი პერსონალის განკარგულებაში იყოს საკმარისად დიდი შენობა-ნაგებობები, მათ შორის გასახდელი ოთახები, საშხაპეები და ტუალეტები;

გ) ხელმისაწვდომი იყოს ცხოველების დაჭერის, გადაადგილების შეზღუდვის, საჭიროების შემთხვევაში, ფიქსაციისა და იზოლაციის ადეკვატური საშუალებები;

დ) ხელმისაწვდომი იყოს დასუფთავებისა და დეზინფექციის აღჭურვილობა და საშუალებები;

ე) საწარმოს ის ნაწილი, სადაც ცხოველები ინახება:

ე.ა) ცხოველთა ჯანმრთელობის სპეციფიკური რისკების გადასაჭრელად, სააგენტოს გადაწყვეტილების შემთხვევაში, მწერებისგან დასაცავად აღჭურვილი იქნეს ჰაერის შემოსვლისა და გასვლის ადგილები HEPA ფილტრით, შიდა ვექტორული კონტროლით, ორმაგი კარით და სტანდარტული სამუშაო პროცედურებით;

ე.ბ) ჩაკეტილ სივრცეში მყოფი ფრინველების შემთხვევაში დაცული იქნეს ფრინველებისგან, ბუზებისა და მავნებლებისგან;

ე.გ) იყოს ჰერმეტული, რომ შესაძლებელი იყოს ფუმიგაცია;

ე.დ) იყოს შესაბამისი სტანდარტის და ისე აგებული, რომ თავიდან იქნას აცილებული გარე ცხოველებთან კონტაქტი და შესაძლებელი იყოს ინსპექტირებისა და ნებისმიერი საჭირო დამუშავების მარტივად ჩატარება;

ე.ე) იყოს ისე აგებული, რომ იატაკის, კედლების და ყველა სხვა მასალის ან აღჭურვილობის დასუფთავება და დეზინფექცია ადვილად იყოს შესაძლებელი.

მუხლი 84. სააგენტოს მიერ წარმოებული რეესტრი

1. სააგენტომ უნდა შეადგინოს:

ა) ამ წესის 75-ე მუხლის შესაბამისად ავტორიზებული ყველა საწარმოსა და ბიზნესოპერატორის განახლებული რეესტრი;

ბ) ამ წესის 78-ე და მე-80 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად აღიარებული საწარმოების სია, რომელიც საჯაროა.

2. თუ საჭიროა და შესაბამისი, სააგენტომ უნდა მოახდინოს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ავტორიზებული და „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად აღიარებული რეგისტრაციების კომბინირება.

თავი XV

ჩანაწერების წარმოება და შენახვა

მუხლი 85. ჩანაწერების წარმოების ვალდებულება საწარმოს ბიზნესოპერატორისთვის, გარდა გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის საწარმოს ბიზნესოპერატორისა

1. იმ საწარმოს ბიზნესოპერატორმა, რომელიც ექვემდებარება ამ წესის 75-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად ავტორიზაციას, ან ამ წესის 78-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად აღიარებას, უნდა აწარმოოს და შეინახოს ჩანაწერები არანაკლებ შემდეგი ინფორმაციით:

ა) საწარმოს, ხმელეთის შენახული ცხოველების სახეობების, კატეგორიების, რაოდენობის და საჭიროებისამებრ იდენტიფიკაციის შესახებ;

ბ) ხმელეთის შენახული ცხოველის გადაადგილების შესახებ საწარმოში ან მის გარეთ, შემდეგი ინფორმაციის მითითებით:

ბ.ა) მათი წარმოშობის ადგილი და დანიშნულება;

ბ.ბ) ასეთი გადაადგილების თარიღი;

გ) ხმელეთის შენახულ ცხოველს საწარმოში შეყვანისა და დატოვების შემდეგ ამ წესის 94-ე მუხლის „ბ“ პუნქტის, 95-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 96-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 97-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და კანონმდებლობით განსაზღვრული თანმხლები დოკუმენტაციის შესახებ;

დ) საწარმოში ხმელეთის შენახული ცხოველის სიკვდილიანობის შესახებ;

ე) ბიოუსაფრთხოების ზომების, ზედამხედველობის, მკურნალობის, გამოკვლევის პასუხებისა და სხვა შესაბამისი ინფორმაციის შესახებ, რომელიც საჭიროა:

ე.ა) საწარმოში შენახული ხმელეთის ცხოველის სახეობისა და კატეგორიისთვის;

ე.ბ) წარმოების ტიპისთვის;

ე.გ) საწარმოს ტიპისა და ზომისთვის;

ვ) ამ წესის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად კონკრეტული ცხოველის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შემოწმების შედეგების შესახებ.

2. ჩანაწერები შენახული და შენარჩუნებული უნდა იქნეს მატერიალურ ან ელექტრონულ ფორმატში.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის შესახებ ჩანაწერების შენახვის ვალდებულება არ ვრცელდება სიით განსაზღვრულ ან ახალაღმოცენებადი დაავადებების გავრცელების დაბალი რისკის მქონე საწარმოებზე.

4. საწარმოს ბიზნესოპერატორმა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ჩანაწერები უნდა შეინახოს საწარმოში და:

ა) გახადოს ხელმისაწვდომი სააგენტოს მოთხოვნისთანავე;

ბ) შეინახოს არანაკლებ 3 წელი.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების გაუთვალისწინებლად, ბიზნესოპერატორი თავისუფლდება ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ზოგიერთი ან ყველა საჭირო დოკუმენტის წარმოდგენისგან, თუ ბიზნესოპერატორს:

ა) წვდომა აქვს ამ წესის 91-ე მუხლით განსაზღვრულ კომპიუტერიზებულ მონაცემთა ერთიან ბაზასთან კონკრეტული სახეობებისთვის და მონაცემთა ბაზა უკვე შეიცავს ჩანაწერებში შესაყვან ინფორმაციას;

ბ) შეყვანილი აქვს განახლებული ინფორმაცია პირდაპირ კომპიუტერიზებულ მონაცემთა ერთიან ბაზაში.

მუხლი 86. გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის საწარმოს ვალდებულება ჩანაწერების შენახვაზე

1. გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის საწარმომ უნდა აწარმოოს და შეინახოს არანაკლებ შემდეგი ინფორმაციის შემცველი მონაცემები:

ა) გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის წარმოებისთვის გამოყენებული დონორი ცხოველი ჯიშის, ასაკის, იდენტიფიკაციისა და ჯანმრთელობის შესახებ;

ბ) შეგროვებული, წარმოებული ან გადამუშავებული გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის, შეგროვების, გადამუშავებისა და შენახვის დროისა და ადგილის შესახებ;

გ) გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის იდენტიფიკაციისა და თუ ცნობილია, მათი დანიშნულების ადგილის შესახებ;

დ) გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის საწარმოში შეტანის ან დატოვების დროს თანმხლები (მოთხოვნილი) დოკუმენტაციის შესახებ;

ე) საჭიროებისამებრ, კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების შესახებ;

ვ) გამოყენებული ლაბორატორიული მეთოდების შესახებ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის შესახებ ჩანაწერების შენახვის ვალდებულება არ ვრცელდება სიით განსაზღვრულ ან ახალაღმოცენებადი დაავადებების გავრცელების დაბალი რისკის მქონე საწარმოზე.

3. გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის საწარმომ უნდა შეინახოს ჩანაწერები ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად და:

ა) სააგენტოს მოთხოვნისას გახადოს ხელმისაწვდომი;

ბ) შეინახოს არანაკლებ 3 წლის განმავლობაში.

მუხლი 87. ჩანაწერების შენახვის ვალდებულება გადამზიდავისთვის

1. გადამზიდავმა უნდა აწარმოოს და შეინახოს არანაკლებ შემდეგი ინფორმაციის შემცველი ჩანაწერები:

ა) საწარმოების სია, სადაც იმყოფებოდნენ;

ბ) მათ მიერ ტრანსპორტირებული შენახული ხმელეთის ცხოველების კატეგორიები, სახეობები და რაოდენობა;

გ) გამოყენებული სატრანსპორტო საშუალების დასუფთავების, დეზინფექციისა და დეზინსექციის შესახებ;

დ) თანმხლები დოკუმენტების დეტალები, მათ შორის დოკუმენტის ნომრები.

2. ჩანაწერები წარმოებული და შენახული უნდა იყოს ქაღალდის ან ელექტრონული ფორმით.

3. გადამზიდავს, რომელიც წარმოადგენს სიით განსაზღვრული ან ახალაღმოცენებადი დაავადების გავრცელების დაბალ რისკს, არ მოეთხოვოს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის წარმოება.

4. გადამზიდავმა უნდა შეინახოს ჩანაწერები ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

ა) ისე, რომ სააგენტოს მოთხოვნისას იყოს ხელმისაწვდომი;

ბ) არანაკლებ 3 წელი.

მუხლი 88. ჩანაწერების შენახვის ვალდებულებები შემკრები ოპერაციის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორისთვის

1. ამ წესის 75-ე მუხლის შესაბამისად ავტორიზებული და რეგისტრირებული შემკრები ოპერაციის განმახორციელებელმა ბიზნესოპერატორმა უნდა აწარმოოს და შეინახოს არანაკლებ შემდეგი ინფორმაციის შემცველი ჩანაწერები:

ა) მის პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფი ხმელეთის შენახული ცხოველის სახეობების, კატეგორიების, რაოდენობისა და იდენტიფიკაციის შესახებ;

ბ) მის პასუხისმგებლობაში მყოფი ხმელეთის შენახული ცხოველის გადაადგილების შესახებ შემდეგი ინფორმაციის მითითებით:

ბ.ა) მისი წარმოშობისა და დანიშნულების ადგილი;

ბ.ბ) გადაადგილების თარიღი.

გ) ამ წესის 94-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით, 95-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, 96-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, 97-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით, 99-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად მათი პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფი ხმელეთის შენახული ცხოველის გადაადგილების დროს თანმხლები დოკუმენტაციის შესახებ;

დ) მათი პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფი ხმელეთის ცხოველის სიკვდილიანობის შესახებ;

ე) ბიოუსაფრთხოების ზომების, ზედამხედველობის, მკურნალობის, გამოკვლევის პასუხებისა და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის შესახებ, რომელიც შესაბამისია მისი

პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფი ხმელეთის შენახული ცხოველის სახეობისა და კატეგორიისთვის.

2. ჩანაწერები წარმოებული და შენახული უნდა იქნეს მატერიალური ან ელექტრონული ფორმით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის შესახებ ჩანაწერების შენახვის ვალდებულება არ ვრცელდება ბიზნესოპერატორზე, რომლის საქმიანობა წარმოადგენს სიით განსაზღვრული ან ახალაღმოცენებადი დაავადებების გავრცელების დაბალ რისკს.

4. ბიზნესოპერატორმა ჩანაწერები უნდა:

ა) გახადოს ხელმისაწვდომი სააგენტოს მოთხოვნისას;

ბ) შეინახოს არანაკლებ 3 წელი.

მუხლი 89. ჩანაწერების შენახვასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები

1. გარდა ამ წესით ჩანაწერების წარმოება-შენახვისათვის განსაზღვრული მოთხოვნებისა, ჩანაწერების წარმოება-შენახვისთვასთან დაკავშირებით:

ა) ხმელეთის ცხოველების შემნახველი ყველა საწარმოს ბიზნესოპერატორმა უნდა აღრიცხოს შემდეგი ინფორმაცია:

ა.ა) თითოეული იდენტიფიცირებული ცხოველის საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელიც მითითებულია იდენტიფიკაციის საშუალებაზე, სადაც გამოიყენება;

ა.ბ) ცხოველების წარმოშობის საწარმოს რეგისტრაციის/ავტორიზაციის ან აღიარების უნიკალური ნომერი, თუ ისინი სხვა საწარმოში წარმოიშვნენ;

ა.გ) ცხოველების დანიშნულების საწარმოს რეგისტრაციის/ავტორიზაციის ან აღიარების უნიკალური ნომერი, თუ ისინი სხვა საწარმოსთვის არის განკუთვნილი.

ბ) ცხენების შემნახველი საწარმოს ბიზნესოპერატორმა, თითოეული შენახული ცხენისთვის უნდა აღრიცხოს შემდეგი ინფორმაცია:

ბ.ა) უნიკალური ნომერი;

ბ.ბ) საწარმოში დაბადების თარიღი;

ბ.გ) საწარმოში ბუნებრივი სიკვდილის, დაკარგვის ან დაკვლის თარიღი;

გ) ფრინველის შემნახველი საწარმოს ბიზნესოპერატორმა და ჩაკეტილ სივრცეში მყოფი ფრინველის შემნახველი საწარმოს ბიზნესოპერატორმა უნდა აღრიცხონ შემდეგი ინფორმაცია:
გ.ა) ფრინველის პროდუქტიულობის მაჩვენებლები;
გ.ბ) საწარმოში მყოფი ფრინველისა და ჩაკეტილ სივრცეში მყოფი ფრინველის ავადობის მაჩვენებელი, მიზეზის შესახებ ინფორმაციასთან ერთად.

დ) ძაღლების, კატებისა და ქრცვინის შემნახველი საწარმოს ბიზნესოპერატორმა თითოეული ასეთი ცხოველის შესახებ უნდა აღრიცხოს შემდეგი ინფორმაცია:

დ.ა) დაბადების თარიღი;

დ.ბ) საწარმოში სიკვდილის ან დაკარგვის თარიღი.

ე) თითოეული საფუტკრისთვის ბიზნესოპერატორმა უნდა აღრიცხოს შენახული ფუტკრების სკების დროებითი გადაყვანის დეტალები, თუ ასეთი არსებობს, მათ შორის ინფორმაცია, რომელიც მოიცავს სულ მცირე თითოეული გადაადგილების ადგილს, მისი დაწყებისა და დასრულების თარიღს და გადაადგილებული ფუტკრის სკების რაოდენობას;

ვ) მოგზაური ცირკებისა და ცხოველთა წარმოდგენების ბიზნესოპერატორმა თითოეული ცხოველისთვის უნდა აღრიცხოს შემდეგი ინფორმაცია:

ვ.ა) ცხოველის სიკვდილის ან დაკარგვის თარიღი;

ვ.ბ) ცხოველებზე პასუხისმგებელი პირის ან შინაური ბინადარი ცხოველის მფლობელის სახელი და მისამართი;

ვ.გ) მოგზაური ცირკებისა და ცხოველთა წარმოდგენების გადაადგილების დეტალები.

ზ) აღიარებული საკონტროლო პუნქტის ბიზნესოპერატორმა უნდა აღრიცხოს ცხოველების გადმომტვირთი სატრანსპორტო საშუალების სანომრე ნიშნის ნომერი ან რეგისტრაციის ნომერი და, თუ ეს შესაძლებელია, გადამზიდავის უნიკალური რეგისტრაციის ნომერი;

თ) ხმელეთის ცხოველებისთვის, გარდა პრიმატებისა, აღიარებული საკარანტინო სადგომის/საწარმოს ბიზნესოპერატორმა უნდა აღრიცხოს შემდეგი ინფორმაცია:

თ.ა) საწარმოში განთავსებული ცხოველების სავარაუდო ასაკი და სქესი;

თ.ბ) ცხოველების გადმოტვირთვისა და ჩატვირთვის სატრანსპორტო საშუალების სანომრე ნიშნის ნომერი ან რეგისტრაციის ნომერი და, თუ ეს შესაძლებელია, გადამზიდავის უნიკალური რეგისტრაციის ნომერი;

თ.გ) ზოონოზური დაავადებათა ზედამხედველობის გეგმის განხორციელებისა და შედეგების დეტალები;

თ.დ) კლინიკური, ლაბორატორიული ტესტების და სიკვდილის შემდგომი გამოკვლევის შედეგები;

თ.ე) ამთვისებელი ცხოველების ვაქცინაციისა და მკურნალობის დეტალები;

თ.ვ) სააგენტოს ინსტრუქციები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, იზოლაციის ან კარანტინის პერიოდში განხორციელებულ დაკვირვებებთან დაკავშირებით.

ი) აღიარებული შემოფარგლული საწარმოს ბიზნესოპერატორმა უნდა აღრიცხოს შემდეგი დამატებითი ინფორმაცია:

ი.ა) საწარმოში განთავსებული ცხოველების სავარაუდო ასაკი და სქესი;

ი.ბ) ცხოველების გადმოტვირთვისა და ჩატვირთვის სატრანსპორტო საშუალების სანომრე ნიშნის ნომერი ან რეგისტრაციის ნომერი და გადამზიდავის უნიკალური რეგისტრაციის ნომერი, თუ ეს შესაძლებელია;

ი.გ) ზოონოზური დაავადებათა ზედამხედველობის გეგმის განხორციელებისა და შედეგების დეტალები;

ი.დ) კლინიკური, ლაბორატორიული ტესტებისა და სიკვდილის შემდგომი გამოკვლევის შედეგები;

ი.ე) ამთვისებელი ცხოველების ვაქცინაციისა და მკურნალობის დეტალები;

ი.ვ) შემოსული ცხოველების იზოლაციის ან კარანტინის დეტალები, სააგენტოს ინსტრუქციები, თუ არსებობს, იზოლაციისა და კარანტინის შესახებ და ნებისმიერი იზოლაციის ან კარანტინის პერიოდის განმავლობაში გაკეთებული დაკვირვებები.

კ) ინკუბატორის ბიზნესოპერატორმა თითოეული გუნდისთვის უნდა აღრიცხოს შემდეგი ინფორმაცია:

კ.ა) ინკუბატორში შენახული ერთდღიანი წიწილების ან სხვა სახეობის ფრინველის ან საინკუბაციო კვერცხების სახეობა და რაოდენობა;

კ.ბ) ერთდღიანი წიწილების, სხვა სახეობის ფრინველის და საინკუბაციო კვერცხის გადაადგილება მათ საწარმოში და მის გარეთ, და, საჭიროების შემთხვევაში მიეთითება:

კ.ბ.ა) მათი წარმოშობის ადგილი ან დანიშნულების ადგილი, საწარმოს რეგისტრაციის უნიკალური ნომრის ჩათვლით, საჭიროების შემთხვევაში;

კ.ბ.ბ) ასეთი გადაადგილების თარიღები;

კ.გ) საინკუბაციო კვერცხის რაოდენობა, რომელიც არ გამოიჩეკნენ და მათი დანიშნულების ადგილი, საწარმოს რეგისტრაციის/ავტორიზაციის უნიკალური ნომრის ჩათვლით, საჭიროების შემთხვევაში;

კ.დ) ინკუბაციის გამოსავლიანობა;

კ.ე) ვაქცინაციის ნებისმიერი პროგრამის დეტალები;

ლ) რეგისტრირებულმა გადამზიდავმა უნდა აღრიცხოს შემდეგი დამატებითი ინფორმაცია თითოეული სატრანსპორტო საშუალების შესახებ, რომელიც გამოიყენება ხმელეთის ცხოველების ტრანსპორტირებისთვის:

ლ.ა) სანომრე ნიშნის ნომერი ან რეგისტრაციის ნომერი;

ლ.ბ) ცხოველების წარმოშობის საწარმოში ჩატვირთვის თარიღები და დრო;

ლ.გ) თითოეული მონახულებული საწარმოს დასახელება, მისამართი და რეგისტრაციის/ავტორიზაციის ან აღიარების უნიკალური ნომერი;

ლ.დ) ცხოველების დანიშნულების საწარმოში გადმოტვირთვის თარიღები და დრო;

ლ.ე) სატრანსპორტო საშუალების დასუფთავების, დეზინფექციისა და დეზინსექციის თარიღები და ადგილები;

ლ.ვ) ცხოველებთან ერთად თანმხლები დოკუმენტების საცნობარო ნომრები.

მ) ჩლიქოსნებისა და ფრინველების შემკრები ოპერაციებისთვის რეგისტრირებული ან ავტორიზებული საწარმოს ბიზნესოპერატორმა უნდა აღრიცხოს შემდეგი ინფორმაცია:

მ.ა) საწარმოში ცხოველების სიკვდილისა და დაკარგვის თარიღი;

მ.ბ) ცხოველების ჩატვირთვის ან გადმოტვირთვის სატრანსპორტო საშუალების სანომრე ნიშნის ნომერი ან რეგისტრაციის ნომერი და ამ ცხოველების გადამზიდავის რეგისტრაციის უნიკალური ნომერი, თუ ეს შესაძლებელია;

მ.გ) ცხოველების თანმხლები დოკუმენტების საცნობარო ნომრები;

ნ) რეგისტრირებულმა/ავტორიზებულმა ბიზნესოპერატორმა, რომელიც ახორციელებს ჩლიქოსნებისა და ფრინველის შემკრებ ოპერაციებს საწარმოსგან დამოუკიდებლად, უნდა აღრიცხოს შემდეგი ინფორმაცია შესყიდულ თითოეული ცხოველისთვის:

ნ.ა) შემკრები საწარმოს აღიარების ან რეგისტრაციის/ავტორიზაციის უნიკალური ნომერი, რომელიც გაიარა ცხოველმა წარმოშობის საწარმოს დატოვების შემდეგ და შეძენამდე, თუ ეს შესაძლებელია;

ნ.ბ) შეძენის თარიღი;

ნ.გ) ცხოველის მყიდველის სახელი და მისამართი;

ნ.დ) ცხოველების ჩატვირთვის ან გადმოტვირთვის სატრანსპორტო საშუალების სანომრე ნიშანი ან რეგისტრაციის ნომერი და გადამზიდავის უნიკალური რეგისტრაციის ნომერი, თუ ეს შესაძლებელია;

ნ.ე) ცხოველებთან ერთად საჭირო დოკუმენტების საცნობარო ნომრები.

ო) საწარმოს ბიზნესოპერატორმა, რომელიც მსხვილფეხა საქონლის, ცხვრის, თხისა და ღორის ცხოველებს ინახავენ, უნდა აღრიცხონ შემდეგი ინფორმაცია ამ ცხოველების შესახებ:

ო.ა) საწარმოში შენახული თითოეული ცხოველის დაბადების თარიღი;

ო.ბ) საწარმოში თითოეული ცხოველის ბუნებრივი სიკვდილის, დაკვლის ან დაკარგვის თარიღი;

ო.გ) ელექტრონული იდენტიფიკატორის ან ტატუს ტიპი და მისი ადგილმდებარეობა, თუ ცხოველზეა გამოყენებული;

ო.დ) თითოეული იდენტიფიცირებული ცხოველის საწყისი/თავდაპირველი საიდენტიფიკაციო ნომერი, თუ ასეთი ნომერი შეიცვალა და ამ ცვლილების მიზეზი.

2. ცხვრისა და თხის ცხოველთა საწარმოს ბიზნესოპერატორმა უნდა აღრიცხოს საწარმოში შენახული თითოეული ცხოველის ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ო.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია დაბადების წლის შესახებ.

3. ღორის საწარმოს ბიზნესოპერატორმა უნდა აღრიცხოს ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ო.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია.

4. თუ საწარმოში განთავსებული ცხვარი, თხა ან ღორი იდენტიფიცირებულია მხოლოდ მათი დაბადების საწარმოს უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომრით, საწარმოს ბიზნესოპერატორმა უნდა აღრიცხოს ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტში მითითებული ინფორმაცია ცხოველთა თითოეული ჯგუფისთვის, რომელსაც აქვს მათი დაბადების საწარმოს ერთი და იგივე უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი და ამ ჯგუფში შემავალი ცხოველების საერთო რაოდენობა.

5. თუ საწარმოში განთავსებული თითოეული ღორი არ არის იდენტიფიცირებული, საწარმოს ბიზნესოპერატორი არ არის ვალდებული, აღრიცხოს:

ა) ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია;

ბ) მისი საწარმოდან გადაადგილებული ცხოველების თითოეული ჯგუფისთვის, ამ წესის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია და ამ ჯგუფში შემავალი ცხოველების საერთო რაოდენობა.

თავი XVI

მიკვლევადობის მოთხოვნები ხმელეთის შენახული ცხოველებისა და გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის მიმართ

თავი XVI

მიკვლევადობის მოთხოვნები ხმელეთის შენახული ცხოველებისა და გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის მიმართ

მუხლი 90. სააგენტოს პასუხისმგებლობა ხმელეთის შენახული ცხოველის იდენტიფიკაციის ან რეგისტრაციის სისტემის შექმნისას

1. სააგენტოს უნდა ჰქონდეს სისტემა ხმელეთის ცხოველების იმ სახეობების იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციისთვის, რომლებისთვისაც ასეთი სისტემა მოითხოვება ამ წესით და საქართველოს კანონმდებლობით. ასეთი სისტემა, საჭიროების შემთხვევაში, ითვალისწინებს ამ ცხოველების გადაადგილების აღრიცხვას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სისტემის შექმნისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს:

ა) ხმელეთის შენახული ცხოველის სახეობები და კატეგორიები;

ბ) ამ კატეგორიებისა ან სახეობების მიერ შექმნილი რისკი.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სისტემა მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

ა) ხმელეთის ცხოველების ინდივიდუალურად ან ჯგუფურად იდენტიფიცირების საშუალებას;

ბ) ხმელეთის შენახული ცხოველების იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობისთვის ამ წესის 92-ე მუხლით განსაზღვრული იდენტიფიკაციის, გადაადგილების და სხვა დოკუმენტაციას;

გ) ამ წესის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად განსაზღვრულ განახლებულ ჩანაწერებს საწარმოებში;

დ) ამ წესის 91-ე მუხლით განსაზღვრულ მონაცემთა ერთიან ბაზას ხმელეთის შენახული ცხოველისთვის.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სისტემა უნდა იყოს შექმნილი ისე, რომ:

ა) უზრუნველყოს ამ წესით გათვალისწინებული სიით განსაზღვრული დაავადების პრევენციისა და კონტროლის ღონისძიებების ეფექტური გამოყენება;

ბ) ხელი შეუწყოს ხმელეთის შენახული ცხოველების მიკვლევადობას და მათ გადაადგილებას ქვეყნის ტერიტორიაზე და ქვეყანაში შემოსვლას;

გ) უზრუნველყოს ამ სისტემის ელემენტების ეფექტური ინტეგრაცია და თავსებადობა;

დ) უზრუნველყოს თანმიმდევრული/შეთანხმებული მიდგომა სისტემით დაფარულ ცხოველთა სხვადასხვა სახეობებთან მიმართებაში.

5. სააგენტოს საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია:

ა) გამოიყენოს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სისტემა მთლიანად ან ნაწილობრივ სხვა მიზნებისთვის, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულისა;

ბ) ამ წესის 92-ე მუხლით განსაზღვრული იდენტიფიკაციის დოკუმენტების, გადაადგილების დოკუმენტების და სხვა დოკუმენტების ინტეგრირება ცხოველთა ჯანმრთელობის სერტიფიკატებთან ან დეკლარაციის დოკუმენტთან;

გ) დანიშნოს ან მისცეს ავტორიზაცია სხვა ორგანოს ან ფიზიკურ პირს რათა უზრუნველყოფილი იქნეს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის სისტემის პრაქტიკული გამოყენება, მათ შორის, იდენტიფიკაციის დოკუმენტების გაცემა.

მუხლი 91. სააგენტოს ვალდებულება ხმელეთის შენახული ცხოველების მონაცემთა ელექტრონული ერთიანი ბაზის შესაქმნელად

სააგენტომ უნდა შექმნას და განაახლოს მონაცემთა ელექტრონული ბაზა, რომელშიც აისახება:

ა) ხმელეთის შენახული მსხვილფეხა საქონლის შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

ა.ა) ამ წესის 94-ე მუხლით შესაბამისად ინდივიდუალური იდენტიფიკაციის შესახებ;

ა.ბ) მათი შემნახველი საწარმოს შესახებ;

ა.გ) მათი საწარმოში შესვლის და საწარმოს გარეთ გადაადგილების შესახებ;

ბ) ხმელეთის შენახული ცხვრისებრი და თხისებრი ცხოველის შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

ბ.ა) ამ წესის 95-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია იდენტიფიკაციისა და შემნახველ საწარმოში მათი რაოდენობის შესახებ;

ბ.ბ) მათი შემნახველი საწარმოს შესახებ;

ბ.გ) მათი საწარმოში შესვლის და საწარმოს გარეთ გადაადგილების შესახებ;

გ) ხმელეთის შენახული ღორისებრი ცხოველის შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

გ.ა) ამ წესის 97-ე მუხლით განსაზღვრული წესის შესაბამისად ინფორმაცია იდენტიფიკაციისა და მათ შემნახველ საწარმოში რაოდენობის შესახებ;

გ.ბ) მათი შემნახველი საწარმოს შესახებ;

გ.გ) მათი საწარმოში და საწარმოს გარეთ გადაადგილების შესახებ;

დ) ხმელეთის შენახული ცხენისებრი ცხოველის შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

დ.ა) ამ წესის 96-ე მუხლით განსაზღვრული უნიკალური ნომერი;

დ.ბ) ამ წესის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული იდენტიფიკაციის მეთოდი, რომელიც ცხოველს აკავშირებს ამ წესის 96-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ იდენტიფიკაციის დოკუმენტთან;

დ.გ) იდენტიფიკაციის შესაბამისი დეტალები ამ წესის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული იდენტიფიკაციის დოკუმენტიდან;

დ.დ) საწარმო, სადაც ეს ცხოველები ინახებიან;

ე) ინფორმაცია ხმელეთის შენახული ცხოველების სახეობებთან დაკავშირებით, გარდა ამ მუხლის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულისა, როდესაც ეს განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 92. ხმელეთის შენახული ცხოველების იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის მიზნით სააგენტოს ვალდებულება იდენტიფიკაციის, გადაადგილებასთან და სხვა დოკუმენტებთან დაკავშირებით

სააგენტომ უნდა:

ა) გასცეს იდენტიფიკაციის დოკუმენტები ხმელეთის შენახულ ცხოველებთან დაკავშირებით, ამ წესის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტითა და 99-ე მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევევებში;

ბ) გასცეს ამ წესის 94-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ შემთხვევებში მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაციის დოკუმენტები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლებელია ელექტრონული სახით შენახული მონაცემების ელექტრონული გაცვლა სრულყოფილად ფუნქციონირებად სისტემის ფარგლებში;

გ) ამ წესის 95-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, ამ წესის 97-ე მუხლის „ბ“ პუნქტით, 99-ე მუხლის „ბ“ პუნქტის გ

მუხლი 93. იდენტიფიკაციის საშუალებებთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობა

სააგენტომ უნდა გახადოს საჯარო შემდეგი ინფორმაცია:

ა) ამ წესის 91-ე მუხლით განსაზღვრული მონაცემთა ელექტრონული ბაზის მონაცემების საკონტაქტო პირის შესახებ;

ბ) ამ წესის 92-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, იდენტიფიკაციის, გადაადგილების და სხვა დოკუმენტის გაცემაზე პასუხისმგებელი უწყების/ორგანიზაციის/პირის შესახებ;

გ) იმ იდენტიფიკაციის საშუალებების შესახებ, რომლებიც გამოყენებულია თითოეული სახეობისა და კატეგორიის ხმელეთის შენახული ცხოველის ამ წესის 94-ე მუხლის “ა” ქვეპუნქტით, 95-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, 96-ე მუხლის პირველი პუნქტით, 97-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 99-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით შესაბამისად;

დ) ამ წესის 92-ე მუხლით განსაზღვრული იდენტიფიკაციის დოკუმენტებისა და სხვა დოკუმენტების დადგენილი ფორმატის შესახებ.

მუხლი 94. ბიზნესოპერატორის ვალდებულება შენახული მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით

ბიზნესოპერატორმა, რომელიც ინახავს მსხვილფეხა საქონელს, უნდა:

ა) უზრუნველყოს შენახული ცხოველის იდენტიფიკაცია ინდივიდუალური იდენტიფიკაციის საშუალებით;

ბ) უზრუნველყოს, გადაადგილებამდე, შენახული ცხოველებისათვის სააგენტოსაგან იდენტიფიკაციის დოკუმენტის აღება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ წესის 92-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი დაკმაყოფილებულია;

გ) უზრუნველყოს, რომ იდენტიფიკაციის დოკუმენტი:

გ.ა) ინახება, სწორად არის შევსებული და განახლებულია;

გ.ბ) თან ახლავს იმ ხმელეთის ცხოველს გადაადგილების დროს, როდესაც ასეთი დოკუმენტი მოთხოვნილია ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულის შესაბამისად;

დ) ამ წესის 91-ე მუხლით განსაზღვრულ მონაცემთა მონაცემთა ელექტრონულ ბაზას გადასცეს ინფორმაცია შესაბამის საწარმოში და საწარმოდან ცხოველის გადაადგილების შესახებ, ასევე ამ საწარმოში ყველა ცხოველის დაბადებისა და სიკვდილის შესახებ.

მუხლი 95. ბიზნესოპერატორის ვალდებულებები ცხვრისებრი და თხისებრი სახეობის შენახული ცხოველის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით

1. ბიზნესოპერატორმა, რომელიც ინახავს ცხვრისებრ და თხისებრ სახეობებს, უნდა:

ა) უზრუნველყოს, თითოეული შენახული ცხოველის იდენტიფიკაცია იდენტიფიკაციის საშუალებით;

ბ) უზრუნველყოს, რომ შენახულ ცხოველებს გადაადგილებისას თან ახლდეს სააგენტოს მიერ განსაზღვრული მოდელის, სწორად შევსებული გადაადგილების დოკუმენტი ამ წესის 92-ე მუხლის შესაბამისად;

გ) ამ წესის 91-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ მონაცემთა ელექტრონული ბაზაში გადასცეს ინფორმაცია ამ საწარმოში შესული და საწარმოდან გასული შენახული ცხოველის გადაადგილების შესახებ.

2. ცხვრისებრი და თხისებრი სახეობების შენახულ ცხოველებს დასაშვებია, თან არ ახლდეს გადაადგილების დოკუმენტები საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილებისას, იმ პირობით, რომ:

ა) შესაბამისი გადაადგილების დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია შედის ამ წესის 91-ე მუხლით განსაზღვრულ მონაცემთა ელექტრონული ბაზაში;

ბ) ცხვრისებრი და თხისებრი სახეობის შენახული ცხოველების იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის სისტემა უზრუნველყოფს იმავე მიკვლევადობის ხარისხს, რასაც გადაადგილების დოკუმენტები.

მუხლი 96. ბიზნესოპერატორის ვალდებულებები ცხენისებრი სახეობის შენახული ცხოველის იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებით

1. ბიზნესოპერატორმა, რომელიც ინახავს ცხენისებრ ცხოველებს, უნდა უზრუნველყოს თითოეული ცხოველის ინდივიდუალური იდენტიფიკაცია:

ა) უნიკალური ნომერით, რომელიც ამ წესის 91-ე მუხლით განსაზღვრულ მონაცემთა ელექტრონული ბაზაში იქნება შეტანილი;

ბ) იდენტიფიკაციის საშუალებით ან სხვა მეთოდით, რომელიც გარკვევით აკავშირებს შენახულ ცხოველს ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ იდენტიფიკაციის დოკუმენტთან და გაცემულია სააგენტოს მიერ ამ წესის 92-ე მუხლის შესაბამისად;

გ) სწორად შევსებული იდენტიფიკაციის დოკუმენტი.

2. ცხენისებრი სახეობის შენახული ცხოველის ბიზნესოპერატორმა უნდა უზრუნველყოს, ამ წესის 91-ე მუხლით განსაზღვრულ მონაცემთა ერთიან ბაზაში ამ ცხოველის შესახებ ინფორმაციის შეტანა.

მუხლი 97. ბიზნესოპერატორის ვალდებულებები ღორისებრი სახეობის შენახული ცხოველების იდენტიფიკაციასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებით

ბიზნესოპერატორმა, რომელიც ინახავს ღორისებრი სახეობის ცხოველებს, უნდა:

ა) უზრუნველყოს, რომ თითოეული შენახული ცხოველი იდენტიფიცირებული იქნეს იდენტიფიკაციის საშუალებებით;

ბ) უზრუნველყოს, რომ შენახულ ცხოველებს თან ახლდეს სააგენტოს მიერ სააგენტოს მიერ განსაზღვრული მოდელის, სწორად შევსებული გადაადგილების დოკუმენტი, ამ წესის 92-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, როდესაც ისინი გადაადგილდებიან საქართველოს ტერიტორიაზე იმ საწარმოდან, სადაც ეს ცხოველები ინახება;

გ) გადასცეს ამ წესის 91-ე მუხლით განსაზღვრულ მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ამ ცხოველების შემნახველი საწარმოს შესახებ ინფორმაცია.

მუხლი 98. გამონაკლისები ღორისებრი სახეობის შენახული ცხოველის გადაადგილებასთან დაკავშირებით

ამ წესის 97-ე მუხლის ,,ბ“ ქვეპუნქტის გაუთვალისწინებლად, ბიზნესოპერატორზე არ ვრცელდება მოთხოვნა, რომ ღორისებრი სახეობის ცხოველებს თან ახლდეს გადაადგილების დოკუმენტები იმ პირობით, რომ:

ა) ასეთ გადაადგილების დოკუმენტებში შემავალი ინფორმაცია შედის ამ წესის 91-ე მუხლის შესაბამისად შექმნილ მონაცემთა ელეტრონულ ბაზაში;

ბ) ღორისებრთა სახეობის ცხოველების იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის სისტემა უზრუნველყოფს მიკვლევადობის ისეთ დონეს, რომელიც ექვივალენტურია ასეთი გადაადგილების დოკუმენტებით უზრუნველყოფილი დონისა.

მუხლი 99. ბიზნესოპერატორის ვალდებულებები ხმელეთის შენახული ცხოველის მიმართ, გარდა მსხვილფეხა, ცხვრისებრი, თხისებრი, ღორისებრი და ცხენისებრი სახეობებისა

ბიზნესოპერატორმა უნდა უზრუნველყოს, ხმელეთის შენახული ცხოველის სახეობებისთვის, გარდა მსხვილფეხა საქონლის, ცხვრისებრი, თხისებრი, ღორისებრი და ცხენისებრი სახეობებისა, შემდეგი მოთხოვნების დაკმაყოფილება:

ა) ისინი იდენტიფიცირებულია ინდივიდუალურად ან ჯგუფურად;

ბ) მათ ახლავს სწორად შევსებული და განახლებული იდენტიფიკაციის დოკუმენტები, გადაადგილების დოკუმენტები ან სხვა დოკუმენტები, რომელიც საჭიროა ცხოველთა იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობისთვის შესაბამისი ცხოველის სახეობებისთვის.

მუხლი 100. მიკვლევადობასთან დაკავშირებული მოთხოვნები მსხვილფეხა საქონლის, ცხვრისებრი, თხისებრი, ღორისებრი და ცხენისებრი შენახული ცხოველის გასამრავლებელ (გენეტიკური) მასალის მიმართ

1. ბიზნესოპერატორმა, რომელიც აწარმოებს, გადაამუშავებს ან ინახავს მსხვილფეხა, თხისებრი, ცხვრისებრი, ღორისებრი და ცხენისებრი შენახული ცხოველის გასამრავლებელ (გენეტიკურ) მასალას უნდა მოახდინოს ნიშანდება ისე, რომ იყოს მკაფიოდ მიკვლევადი:

ა) დონორი ცხოველი;

ბ) შეგროვების თარიღი;

გ) იმ გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის საწარმო, სადაც მოხდა მათი შეგროვება, წარმოება, გადამუშავება და შენახვა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ნიშანდება დაგეგმილი უნდა იყოს ისე, რომ უზრუნველყოს:

ა) ამ წესით განსაზღვრული დაავადების პრევენციის და კონტროლის ზომების ეფექტური გამოყენება;

ბ) გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის მიკვლევადობა ქვეყანაში მათი გადაადგილებისას და შემოტანისას.

მუხლი 101. მსხვილფეხა საქონლის, ღორის, ცხვრის, თხისა და ცხენისებრის შენახული ცხოველის გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის ნიშანდების ტექნიკური მოთხოვნები და სპეციფიკაციები და მიკვლევადობის მოთხოვნები

1. ბიზნესოპერატორმა, რომელიც ახდენს მსხვილფეხა საქონლის, ღორისებრი, ცხვრისებრი, თხისებრი და ცხენისებრის გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის ნიშანდებას ამ წესის მე-100 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, უნდა უზრუნველყოს:

ა) რომ თითოეული პაიეტი ან სხვა შეფუთვა, რომელშიც მოთავსებულია, ინახება და ტრანსპორტირდება სპერმა, ოოციტი ან ემბრიონი, მიუხედავად იმისა დაყოფილია თუ არა ცალკეულ დოზებად, ნიშანდებული იქნეს ამ მუხლის მე-2-მე-13 პუნქტებში მითითებული ნიშანდების ტექნიკური მოთხოვნებისა და სპეციფიკაციების შესაბამისად;

ბ) ამ მუხლის მე-14-მე-17 პუნქტებში მითითებული გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის მიკვლევადობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაცვა.

2. ბიზნესოპერატორმა, რომელიც აგროვებს, აწარმოებს, გადაამუშავებს ან ინახავს მსხვილფეხა საქონლის, ღორის, ცხვრის, თხის ან ცხენისებრის გასამრავლებელ (გენეტიკურ) მასალას, უნდა განახორციელოს თითოეული პაიეტის ან სხვა შეფუთვის ნიშანდება, რომელშიც მოთავსებულია, ინახება და ტრანსპორტირდება სპერმა, ოოციტი ან ემბრიონი, მიუხედავად იმისა დაყოფილია თუ არა ცალკეულ დოზებად, ისე, რომ შესაძლებელი იყოს შემდეგი ინფორმაციის ადვილად დადგენა:

ა) შეგროვების ან წარმოების თარიღი;

ბ) დონორი ცხოველ(ებ)ის სახეობა და იდენტიფიკაცია;

გ) ამ გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის შეგროვების ან წარმოების, გადამუშავებისა და გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის შემნახველი საწარმოს უნიკალური ნომერი;

დ) ნებისმიერი სხვა შესაბამისი ინფორმაცია.

3. თუ გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალა გადამუშავებულია გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის საწარმოში, გარდა გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის შემგროვებელი საწარმოსი, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის გადამამუშავებელი საწარმოს ბიზნესოპერატორი ვალდებულია, ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ინფორმაცია საშუალებას იძლეოდეს გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის გადამამუშავებელი საწარმოს უნიკალური ნომრის იდენტიფიცირებისას.

4. თუ ერთი პაიეტი ან სხვა შეფუთვა შეიცავს ერთზე მეტი დონორი ცხოველისგან შეგროვებულ მსხვილფეხა საქონლის, ღორის, ცხვრის ან თხის სპერმას, ბიზნესოპერატორმა უნდა უზრუნველყოს, რომ ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ინფორმაცია საშუალებას იძლეოდეს იდენტიფიცირდეს ყველა დონორი ცხოველი, რომლებიც მონაწილეობდნენ განაყოფიერებისთვის გამოყენებული სპერმის დოზაში.

5. გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, იმ შემთხვევაში, თუ ცხვრის ან თხის სპერმა:

ა) გაყინულია პალეტში, ბიზნესოპერატორს შეუძლია განახორციელოს ნიშანდება ერთი დონორის სპერმის შემცველი ჭიქის, თითოეული ცალკეული პალეტის ჭიქის ნიშანდების ნაცვლად;

ბ) ახალი ან გაცივებულია, ბიზნესოპერატორს შეუძლია განახორციელოს ნიშანდება ერთი დონორის სპერმის სინჯარის (tube) ან პაიეტების, ამ ჭიქაში თითოეული ინდივიდუალური პაიეტის ან სინჯარის ნიშანდების ნაცვლად.

6. გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, ბიზნესოპერატორმა უნდა უზრუნველყოს, რომ თითოეული პაიეტის ან სხვა შეფუთვის ნიშანდება, რომელშიც მოთავსებულია, ინახება და ტრანსპორტირდება სპერმა, ოოციტი ან ემბრიონი, განხორციელდეს ისე, რომ შესაძლებელი იყოს იდენტიფიცირება:

ა) ცხვრისა და თხის სპერმის შემთხვევაში, რომელიც შეგროვდა დონორი ცხოველების შემნახველ საწარმოში - ამ საწარმოს ავტორიზაციის უნიკალური ნომერი; ან

ბ) მსხვილი საქონლის, ღორის, ცხვრის, თხის ან ცხენის გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის შემთხვევაში, რომლებიც შეგროვდა ან წარმოებული იქნა შემოფარგლულ საწარმოში - ამ შემოფარგლული საწარმოს აღიარების უნიკალური ნომერი.

7. პაიეტსა და სხვა შეფუთვებზე არსებული ნიშანდება უნდა იყოს მკაფიოდ წაკითხვადი და ნიშანდებისთვის განსაზღვრული ყველა ინფორმაცია უნდა იყოს მკაფიოდ დაბეჭდილი ან დაწერილი.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტში მითითებულ პაიეტსსა და სხვა შეფუთვებზე არსებული ნიშანდება, მიუხედავად იმისა მოცემულია კოდის სახით თუ არა, უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სპერმის, ოოციტის ან ემბრიონის შეგროვების ან წარმოების თარიღი, გამოხატული შემდეგი ფორმატებიდან სულ მცირე ერთ-ერთით: დღე/თვე/წელი, წელი/თვე/დღე;

ბ) დონორი ცხოველ(ებ)ის სახეობა;

გ) დონორი ცხოველ(ებ)ის საიდენტიფიკაციო ნომრები ან, ღორის შემთხვევაში, სულ მცირე, დონორი ცხოველ(ებ)ის დაბადების საწარმოს ავტორიზაციის უნიკალური ნომერი ან ცხენის შემთხვევაში - იდენტიფიკაციის უნიკალური ნომერი;

დ) სპერმის, კვერცხუჯრედის ან ემბრიონის შეგროვების ან წარმოების, გადამუშავებისა და შემნახველი საწარმოს უნიკალური ავტორიზაციის ნომერი ან აღიარების ნომერი, რომელიც უნდა შეიცავდეს წარმოშობის ქვეყნის სახელწოდებას ან ISO 3166-1 alpha-2 კოდს.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დონორი ცხოველ(ებ)ის სახეობების შესახებ ინფორმაცია შეიძლება გამოტოვებული იყოს ამ მუხლის მე-7 პუნქტში მითითებულ ნიშანდებაში, სადაც დონორი ცხოველ(ებ)ის სახეობა შეიძლება დადგინდეს პაიეტზე ან სხვა შეფუთვაზე დაბეჭდილი ან დაწერილი ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც დაკავშირებულია:

ა) გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის საწარმოს (შემგროვებელი, მწარმოებელი ან შემნახველი) შეგროვების, გადამუშავებისა და შენახვის უნიკალურ ავტორიზაციის ნომერთან, ან

ბ) დონორი ცხოველ(ებ)ის ჯიშთან.

10. იმ შემთხვევაში, თუ ერთი პაიეტი ან სხვა შეფუთვა შეიცავს ერთზე მეტი დონორი ცხოველისგან შეგროვებულ სპერმას ან ემბრიონს და პაიეტზე ან სხვა შეფუთვაზე არ არის საკმარისი ადგილი თითოეული დონორი ცხოველის იდენტიფიკაციის დასაბეჭდად ან ჩასაწერად, ამ მუხლის მე-8 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტში მითითებული ნომერი შეიძლება წარმოდგენილი იყოს რიცხვითი კოდის სახით.

11. ამ მუხლის მე-7 პუნქტში მითითებულ პაიეტზე და სხვა შეფუთვებზე ნიშანდება შეიძლება მოიცავდეს ნებისმიერ სხვა შესაბამის ინფორმაციას (მაგალითად, დონორი ცხოველ(ებ)ის დასახელებას, ჯიშს, სქესის მიხედვით დახარისხებული სპერმის სქესის მითითებას ან დონორი ღორ(ებ)ის ინდივიდუალურ საიდენტიფიკაციო ნომერს).

12. სქესის მიხედვით გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის გადამამუშავებელ საწარმოში დახარისხებული სპერმის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-7 პუნქტში მითითებულ პაიეტსა და სხვა შეფუთვებზე ნიშანდება უნდა მოიცავდეს იმ გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის გადამამუშავებელი საწარმოს უნიკალურ ნომერს, სადაც ის სქესის მიხედვით დახარისხდა. თუ პაიეტზე ან სხვა შეფუთვაზე არ არის საკმარისი ადგილი გასამრავლებელი (გენეტიკური)

მასალის გადამამუშავებელი საწარმოს უნიკალური ნომრის დასაბეჭდად ან ჩასაწერად, ეს უნიკალური ნომერი შეიძლება წარმოდგენილი იყოს რიცხვითი კოდის სახით.

13. დასაშვებია ამ მუხლის მე-7-მე-12 პუნქტებში მითითებული მთლიანი ან ნაწილობრივი ინფორმაციის ელექტრონულად კოდირება პაიეტზე ან სხვა შეფუთვებზე.

14. გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის თითოეულ ტვირთს უნდა ახლდეს სპეციფიკაციები, რომლებიც განმარტავს პაიეტსა და სხვა შეფუთვებზე, რომლებშიც მოთავსებულია სპერმა, ოოციტი ან ემბრიონი, დაბეჭდილ ან დაწერილ ნიშანდებას.

15. ამ მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტში მითითებული სპერმის, ოოციტის ან ემბრიონის შეგროვების ან წარმოების თარიღი უნდა იყოს მითითებული ამ მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრულ სპეციფიკაციებში.

16. თუ პაიეტზე ან სხვა შეფუთვაზე ნიშანდება მოიცავს ამ მუხლის მე-10 პუნქტის ან მე-12 პუნქტით განსაზღვრულ ნებისმიერ ციფრულ კოდს, ამ მუხლის მე-14 პუნქტში მითითებული სპეციფიკაციები უნდა განმარტავდეს, თუ რომელი ინფორმაციაა კოდირებული.

17. თუ პაიეტზე ან სხვა შეფუთვაზე ნიშანდება მოიცავს ამ მუხლის მე-13 პუნქტში მითითებულ ნებისმიერ ელექტრონულ კოდს, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის ტვირთზე პასუხისმგებელი ბიზნესოპერატორი უნდა უზრუნველყოფდეს წამკითხველს, რომელიც საშუალებას იძლევა ამ ელექტრონული კოდის გაშიფვრისას.

თავი XVII

ხმელეთის შენახული ცხოველის ქვეყანაში გადაადგილება

მუხლი 102. ხმელეთის შენახული ცხოველის გადაადგილებასთან დაკავშირებული ზოგადი მოთხოვნები

1. ბიზნესოპერატორმა უნდა მიიღოს შესაბამისი პრევენციული ზომები ისე, რომ ხმელეთის შენახული ცხოველების გადაადგილებამ საფრთხე არ შეუქმნას დანიშნულების ადგილის ჯანმრთელობის სტატუსს:

ა) ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადებებით;

ბ) ახალაღმოცენებადი დაავადებებით.

2. ბიზნესოპერატორმა ხმელეთის შენახული ცხოველები მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გაიყვანოს საწარმოდან და მიიღოს მიიღოს, თუ ცხოველები:

ა) წარმოშობილია იმ საწარმოდან, რომელიც:

ა.ა) ავტორიზებულია სააგენტოს მიერ ამ წესის 75-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად; ან

ა.ბ) აღიარებულია სააგენტოს მიერ ამ წესის 78-ე და 79-ე მუხლებით განსაზღვრული მოთხოვნების და საჭიროებისამებრ ამ წესის 76-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად; ან

ა.გ) განთავისუფლებულია ავტორიზაციის მოთხოვნებისგან ამ წესის 72-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) აკმაყოფილებს ამ წესის 94-ე-97-ე და 99-ე მუხლებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის მოთხოვნებს.

მუხლი 103. ტრანსპორტირების დროს სიით განსაზღვრული დაავადების პრევენციის ზომები

ბიზნესოპერატორმა უნდა მიიღოს შესაბამისი და საჭირო პრევენციული ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ:

ა) ტრანსპორტირებისას საფრთხე არ შეექმნას ხმელეთის შენახული ცხოველების ჯანმრთელობის მდგომარეობას;

ბ) ხმელეთის შენახული ცხოველების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ოპერაციებმა არ შექმნას ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად სიით განსაზღვრული დაავადებების ადამიანებსა და ცხოველებზე გავრცელების პოტენციური საშიშროება;

გ) შესაბამის სატრანსპორტო ოპერაციებთან დაკავშირებული რისკების შესაბამისად აღჭურვილობა და სატრანსპორტო საშუალებები ექვემდებარება დასუფთავებასა და დეზინფექციას, ხორციელდება მწერებისა და მღრღნელების კონტროლი და სხვა შესაბამისი ბიოუსაფრთხოების ზომები.

მუხლი 104. შენახული ხმელეთის ცხოველების გადაადგილების ზოგადი მოთხოვნები

1. შენახული ცხოველების გადაადგილება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

ა) ცხოველებს არ აღენიშნებათ დაავადების რაიმე სიმპტომი;

ბ) ცხოველები მოდიან რეგისტრირებული/ავტორიზებული ან აღიარებული საწარმოდან:

ბ.ა) სადაც არ შეინიშნება რაიმე გაზრდილი სიკვდილიანობა დაუდგენელი მიზეზით;

ბ.ბ) რომელიც არ ექვემდებარება გადაადგილების შეზღუდვას, რაც ზემოქმედებას მოახდენდა სახეობებზე, რომლებიც უნდა გადაადგილდნენ ამ წესის 43-ე მუხლის, 49-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 50-ე მუხლის, 53-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, 66-ე მუხლის და ,,სიით განსაზღვრული ზოგიერთი დაავადების პრევენციის და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად ამ წესის 182-ე მუხლით განსაზღვრული საგანგებო ზომების შესაბამისად, რომელიც მიიღება ამ წესის 183-ე მუხლის თანახმად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გადაადგილების შეზღუდვისაგან გათავისუფლებულია ამ წესების შესაბამისად;

ბ.გ) რომელიც არ არის განთავსებული შეზღუდულ ზონაში ამ წესის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ.ბ“ ქვეპუნქტის, 52-ე და 53-ე მუხლების, 61-ე მუხლის პირველი პუნქტის და 66-ე მუხლის და ,,სიით განსაზღვრული ზოგიერთი დაავადების პრევენციის და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად ან ამ წესის 182-ე მუხლით განსაზღვრული საგანგებო ზომების შესაბამისად, რომელიც მიიღება ამ წესის 183-ე მუხლის თანახმად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გადაადგილების შეზღუდვისაგან გათავისუფლებულია ამ წესების შესაბამისად;

გ) ცხოველებს არ ჰქონიათ კონტაქტი გადაადგილების შეზღუდვას დაქვემდებარებულ ხმელეთის შენახულ ცხოველებთან, როგორც ეს მითითებულია ამ მუხლის ,,ბ.ბ“ და ,,ბ.გ“ ქვეპუნქტებში ან ჩამოთვლილი სახეობების უფრო დაბალი ჯანმრთელობის სტატუსის მქონე ხმელეთის შენახულ ცხოველებთან, სათანადო პერიოდის განმავლობაში, გადაადგილებამდე, რაც თავისთავად ამცირებს დაავადების გავრცელების შანსს, შემდეგი საკითხების გათვალისწინებით:

გ.ა) სიით განსაზღვრული დაავადებებისა და ახალაღმოცენებადი დაავადებების გადადების

გზებისა და ინკუბაციის პერიოდი:

გ.ბ) საწარმოს ტიპი;

გ.გ) გადაადგილებული შენახული ხმელეთის ცხოველების სახეობები და კატეგორია;

გ.დ) სხვა ეპიდემიოლოგიური ფაქტორები.

დ) ცხოველები აკმაყოფილებენ ამ წესის 108-ე-121-ე მუხლებით გათვალისწინებულ შესაბამის მოთხოვნებს.

2. ბიზნესოპერატორი ახორციელებს ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა უზრუნველყოს, რომ შენახული ცხოველები, რომლებიც გადაადგილდებიან პირდაპირ დანიშნულების ადგილზე მივიდეს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აუცილებელია მათი გაჩერება გზაზე დასასვენებლად ცხოველთა კეთილდღეობის მიზნებიდან გამომდინარე.

მუხლი 105. დანიშნულების საწარმოსა და სასაკლაოს ბიზნესოპერატორის ვალდებულებები, რომლებიც იღებენ შენახულ ცხოველებს

1. საწარმოსა და სასაკლაოს ბიზნესოპერატორები, რომლებიც შენახულ ცხოველებს იღებენ ვალდებული არიან:

ა) შეამოწმონ, რომ:

ა.ა) გამოყენებულია ამ წესის 94-ე მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის, 95-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 96-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტის, 97-ე მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული იდენტიფიკაციის საშუალებებითა და მეთოდებით;

ა.ბ) ადგილზე არსებობს და სწორადაა შევსებული ამ წესის 94-ე მუხლის ,,ბ“ ქვეპუნქტის, 95-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, 96-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის ,,ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული იდენტიფიკაციის დოკუმენტები;

ბ) თან ახლავს ამ წესის 116-ე მუხლით განსაზღვრული დოკუმენტი;

გ) სააგენტოს გაუგზავნონ ინფორმაცია მას შემდეგ რაც შეამოწმებენ მიღებულ ცხოველებს და შეამჩნევენ რაიმე სახის უჩვეულო სიმპტომს:

გ.ა) მიღებულ შენახულ ცხოველთან დაკავშირებით;

გ.ბ) ამ პუნქტის ,,ა.ა“ ქვეპუნქტში მითითებული იდენტიფიკაციის საშუალებასთან ან მეთოდებთან დაკავშირებით;

გ.გ) ამ პუნქტის ,,ა.ბ“ ქვეპუნქტეით და ,,ბ“ პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტებთან დაკავშირებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,რაიმე უჩვეულო სიმპტომის დაფიქსირებისას, ბიზნესოპერატორი ვალდებულია მოახდინოს შესაბამისი ცხოველების იზოლაცია, ვიდრე სააგენტო არ მიიღებს გადაწყვეტილებას მათთან დაკავშირებით.

მუხლი 106. ხმელეთის ცხოველების გადაადგილების აკრძალვა დაავადების აღმოფხვრის მიზნით

დაუშვებელია ბიზნესოპერატორმა განახორციელოს ხმელეთის შენახული ცხოველების გადაადგილება, თუ ეს ცხოველები ამ წესის 26-ე მუხლის შესაბამისად განკუთვნილია დასაკლავად, დაავადების აღმოფხვრის მიზნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სააგენტო წინასწარ გასცემს გადაადგილების ავტორიზაციას.

მუხლი 107. ექსპორტისთვის გამიზნული ხმელეთის ცხოველების გადაადგილებასთან დაკავშირებული ზოგადი მოთხოვნა

ბიზნესოპერატორმა უნდა უზრუნველყოს, რომ სხვა ქვეყანაში ან მათ ტერიტორიაზე ექსპორტისათვის განკუთვნილი ხმელეთის შენახული ცხოველები აკმაყოფილებდეს ამ წესის 102-ე-104-ე და 106-ე მუხლებით დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 108. შენახული ჩლიქოსანი ცხოველებისა და ფრინველების გადაადგილება

ბიზნესოპერატორი ვალდებულია, ცხოველებისა და ფრინველების გადაადგილება უზრუნველყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ცხოველები და ფრინველები ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტში მითითებულ სიით განსაზღვრული დაავადებებთან დაკავშირებით აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

ა) გადაადგილების დროს არ აღენიშნებათ ამ დაავადებების კლინიკური სიმპტომები ან ნიშნები;

ბ) გაიარეს ბინადრობის პერიოდი, რომელიც შეესაბამება სიით განსაზღვრულ დაავადებებს,

შენახული ჩლიქოსნებისა და ფრინველის სახეობებისა და კატეგორიის გათვალისწინებით;

გ) სიით განსაზღვრული კონკრეტული დაავადებებისა და გადაადგილებას დაქვემდებარებული ჩლიქოსანი ცხოველების ან ფრინველის სახეობებისა და კატეგორიისათვის გათვალისწინებულ პერიოდში არც ერთი შენახული ჩლიქოსანი ცხოველი ან ფრინველი არ შეუყვანიათ წარმოშობის საწარმოში, როცა ამგვარი მოთხოვნა იყო გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით;

დ) არ წარმოადგენენ ამ სიით განსაზღვრული დაავადებების გავრცელების მნიშვნელოვან რისკს დანიშნულების ადგილზე, შემდეგიდან გამომდინარე:

დ.ა) შენახული ჩლიქოსნებისა და ფრინველის გადაადგილებული სახეობების ან კატეგორიების შესაბამის დაავადებებთან დაკავშირებული ჯანმრთელობის სტატუსის საფუძველზე, დანიშნულების ადგილზე ჯანმრთელობის სტატუსის გათვალისწინებით;

დ.ბ) ლაბორატორიული ან სხვა გამოკვლევების შედეგების საფუძველზე, რომელიც აუცილებელია გარანტიების უზრუნველსაყოფად გადაადგილებისთვის საჭირო ჯანმრთელობის სტატუსის შესახებ;

დ.გ) ვაქცინაციის ან სხვა დაავადების პრევენციის ან რისკის შემამცირებელი ღონისძიებების გამოყენების საფუძველზე, რაც მიზნად ისახავს შესაბამისი დაავადების გავრცელების შეზღუდვას დანიშნულების ადგილზე ან ტრანზიტით გავლის ადგილებზე.

მუხლი 109. დასაკლავად განკუთვნილი შენახული ჩლიქოსანი საქონელი და ფრინველი

სასაკლაოს ბიზნესოპერატორი, რომელიც იღებს შენახულ ჩლიქოსან ცხოველებს და ფრინველს, ვალდებულია მყისიერად, მათი მიღებისთანავე და არაუგვიანეს 72 საათში განახორციელოს მათი დაკვლა.

მუხლი 110. გამონაკლისები შემკრებ ოპერაციებთან დაკავშირებით

1. ამ წესის 104-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებიდან გამონაკლის შემთხვევაში, ბიზნესოპერატორმა ჩლიქოსანი და შინაური ფრინველი უნდა დაუქვემდებაროს არაუმეტეს სამ შემკრებ ოპერაციას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შემკრები ოპერაცია უნდა განხორციელდეს შემკრებ საწარმოში. დასაშვებია შეკრების ოპერაციის განხორციელება სატრანსპორტო საშუალებით, რომელიც აგროვებს შენახულ ჩლიქოსნებს ან ფრინველებს პირდაპირ მათი

წარმოშობის საწარმოებიდან, იმ პირობით, რომ ეს ცხოველები ხელახლა არ გადმოიტვირთება ამ ოპერაციის დროს და ამ პუნქტით განსაზღვრულ ერთ-ერთ ქვემოთ განსაზღვრულ ადგილზე ჩასვლამდე:

ა) საწარმოში ან დანიშნულების საბოლოო ადგილას;

ბ) შემდგომი შეკრების ოპერაციისთვის.

მუხლი 111. დაავადების პრევენციის მოთხოვნები შემკრებ ოპერაციებთან დაკავშირებით

1. ბიზნესოპერატორმა, რომელიც ახორციელებს შემკრებ ოპერაციებს, უნდა უზრუნველყოს, რომ:

ა) შეგროვებულ შენახულ ჩლიქოსნებსა და შინაურ ფრინველს ჰქონდეთ ერთნაირი ჯანმრთელობის სტატუსი; თუ არ აქვთ ერთნაირი ჯანმრთელობის სტატუსი, უფრო უარესი (დაბალი) ჯანმრთელობის სტატუსი გავრცელდება ყველა შეგროვებულ ასეთ ცხოველზე;

ბ) შენახული ჩლიქოსნებისა და ფრინველის შეკრება და გადაადგილდება, ქვეყნის ტერიტორიაზე, მათ საბოლოო დანიშნულების ადგილზე, უნდა მოხდეს, მათი წარმოშობის საწარმოს დატოვებიდან, რაც შეიძლება მალე და არანაკლებ 20 დღის ვადაში; დაკვლისთვის განკუთვნილი ჩლიქოსნების შემთხვევაში, ცხოველების შეკრება/შეგროვება ერთზე მეტი საწარმოდან 20 დღეზე ნაკლები ვადით, წარმოშობის საწარმოს დატოვების შემდეგ, ჩაითვლება შემკრებ ოპერაციად;

გ) მიიღოს ამ მუხლის მე-2-მე-3 პუნქტებით განსაზღვრული ბიოუსაფრთხოების აუცილებელი ზომები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს, რომ შეკრებილი შენახული ჩლიქოსნები და ფრინველი:

გ.ა) არ შევიდეს დაბალი ჯანმრთელობის სტატუსის მქონე შენახულ ჩლიქოსნებთან ან შინაურ ფრინველთან კონტაქტში;

გ.ბ) არ წარმოადგენს მნიშვნელოვან რისკს შენახულ ჩლიქოსნებსა და ფრინველზე ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადებების გავრცელებისთვის შეკრების ადგილას;

დ) შენახული ჩლიქოსანი და ფრინველი იდენტიფიცირებულია ამ წესის შესაბამისად და თან ახლავს შემდეგი დოკუმენტები:

დ.ა) ამ წესის 94-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით, 95-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, 96-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, 97-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით და 99-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული იდენტიფიკაციისა და გადაადგილების დოკუმენტები, გარდა ამ წესის 95-ე მუხლის მე-2 პუნქტითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისებისა;

დ.ბ) ამ წესის 116-ე მუხლით განსაზღვრული დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ წარმოდგენილი არ არის გამონაკლისები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. შეკრების ოპერაციებისთვის ბიზნესოპერატორმა უნდა უზრუნველყოს, რომ:

ა) საწარმო ან საწარმოში არსებული ეპიდემიოლოგიურად გამოყოფილი ცხოველთა განთავსების ადგილები დაიცალა ცხოველებისგან, დასუფთავდა და დეზინფექცია განხორციელდა რეგულარული ინტერვალებით, არაუმეტეს 14 დღისა განუწყვეტელი გამოყენების შემდეგ;

ბ) იმ სატრანსპორტო საშუალებების საბურავები, საიდანაც ცხოველები გადმოიტვირთება ან რომლებზეც ცხოველები იტვირთება, დეზინფექცია განხორციელდეს საწარმოს დატოვებამდე.

3. ბიზნესოპერატორმა, რომელიც ახორციელებს სატრანსპორტო საშუალებებზე ჩლიქოსნების ან ფრინველის შემკრებ ოპერაციებს, უნდა უზრუნველყოს, რომ სატრანსპორტო საშუალებების საბურავების დეზინფექცია განხორციელდეს წარმოშობის საწარმოს დატოვებამდე.

მუხლი 112. ხმელეთის შენახული ცხოველების, გარდა ჩლიქოსნებისა და ფრინველისა, გადაადგილება

1. ბიზნესოპერატორმა ხმელეთის შენახული ცხოველები, გარდა ჩლიქოსნებისა და ფრინველისა, საწარმოდან მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გადაადგილოს, თუ აღნიშნული ცხოველები არ წარმოადგენენ მნიშვნელოვან რისკს დანიშნულების ადგილზე ამ წესის მე-9

მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადებების გავრცელებისთვის.

2. ხმელეთის შენახული ცხოველების, გარდა ჩლიქოსნებისა და ფრინველისა, გადაადგილებისთვის ჯანმრთელობის დეტალური მოთხოვნები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 113. შემოფარგლული საწარმოსთვის განკუთვნილი ხმელეთის შენახული ცხოველები

1. ბიზნესოპერატორმა უნდა გადააადგილოს ხმელეთის შენახული ცხოველი შემოფარგლულ საწარმოში, თუ ცხოველი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) წარმოშობილია სხვა შემოფარგლული საწარმოდან;

ბ) არ წარმოადგენს მნიშვნელოვან რისკს ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადებების გავრცელებისთვის, სიით განსაზღვრულ სახეობებზე ან შემოფარგლულ დანიშნულების საწარმოში მყოფ ცხოველთა კატეგორიებზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნები არ ვრცელდება სამეცნიერო მიზნებისათვის გაცემულ გადაადგილების ავტორიზაციაზე.

მუხლი 114. ხმელეთის შენახული ცხოველის გადაადგილება სამეცნიერო მიზნებისთვის

1. დასაშვებია სააგენტომ გასცეს ავტორიზაცია ხმელეთის შენახული ცხოველების გადაადგილების შესახებ სამეცნიერო მიზნებისთვის, თუნდაც ეს გადაადგილება არ შეესაბამებოდეს ამ წესის 102-ე-112-ე მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, გარდა ამ წესის 102-ე და 103-ე მუხლებისა, 104-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ.ბ“ ქვეპუნქტისა და 105-ე მუხლისა.

2. სააგენტომ, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული გამონაკლისები უნდა გამოიყენოს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შესაძლებელია რისკის შემამცირებელი ზომების ადგილზე გატარება, რომ მარშრუტზე გადაადგილებისას და დანიშნულების ადგილზე მათი

ჯანმრთელობის სტატუსს არ შეექმნას საფრთხე ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრულ დაავადებებთან დაკავშირებით;

მუხლი 115. გამონაკლისები რეკრეაციული გამოყენების, სპორტული და კულტურული ღონისძიებების, საზღვართან ახლოს მდებარე სამუშაოსა და საძოვრებთან დაკავშირებით

ამ წესის 104-ე-112-ე მუხლებზე ვრცელდება გამონაკლისი, გარდა ამ წესის 104-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“-გ“ ქვეპუნქტებისა, ამ წესის 105-ე და 106-ე მუხლებისა, ხმელეთის შენახული ცხოველების ქვეყანაში შიდა შემდეგი სახის გადაადგილებასთან დაკავშირებით:

ა) რეკრეაციული გამოყენება;

ბ) ორგანიზებული გამოფენები და სპორტული, კულტურული და მსგავსი ღონისძიებები;

გ) საძოვრებზე ხმელეთის ცხოველების ძოვება; ან

დ) ხმელეთის ცხოველების მიერ შესრულებული სასოფლო-სამეუნეო სამუშაოები.

მუხლი 116. ბიზნესოპერატორის ვალდებულება ცხოველებისთვის გადაადგილების დოკუმენტის თანდართულობის შესახებ

ბიზნესოპერატორმა უნდა უზრუნველყოს, რომ ცხოველებს გადაადგილების დროს თან ახლდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადაადგილების დოკუმენტი.

თავი XVIII

გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალების გადაადგილებასთან დაკავშირებული ზოგადი მოთხოვნები

მუხლი 117. ზოგადი მოთხოვნები გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის გადაადგილებისათვის

1. ბიზნესოპერატორი ახორციელებს სათანადო პრევენციულ ზომებს, რათა უზრუნველყოს, რომ გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის გადაადგილებამ საფრთხე არ შეუქმნას ხმელეთის შენახული ცხოველების ჯანმრთელობის სტატუსს დანიშნულების ადგილას:

ა) ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტში მითითებულ სიით განსაზღვრული დაავადებებთან დაკავშირებით;

ბ) ახალაღმოცენებად დაავადებებთან დაკავშირებით.

2. ბიზნესოპერატორი ვალდებულია გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალა საკუთარი საწარმოდან გაიტანოს ან მიიღოს, თუ აღნიშნული პროდუქტები აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) ისინი გამოდის საწარმოდან, რომელიც სააგენტოს მიერ შეტანილია საწარმოთა რეესტრში ამ წესის 75-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად და მათზე არ არის დაშვებული რაიმე სახის გამონაკლისი ამ წესის 72-ე მუხლის შესაბამისად;

ბ) ამ წესის მე-100 მუხლის პირველი პუნქტითა და 101-ე მუხლით განსაზღვრულ მიკვლევადობის მოთხოვნებს.

3. ბიზნესოპერატორი უზრუნველყოფს შესაბამისობას ამ წესის 103-ე მუხლის მოთხოვნებთან ხმელეთის შენახული ცხოველების გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის ტრანსპორტირებისას.

მუხლი 118. დანიშნულების ადგილის ბიზნესოპერატორის ვალდებულება

1. დანიშნულების ადგილის საწარმოს ბიზნესოპერატორი, რომელიც არის გამოგზავნილი გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის მიმღები, ვალდებულია:

ა) შეამოწმოს, რომ ნიშანდებულია ამ წესის მე-100 და 101-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) მიღებული გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის შემოწმების შემდეგ, აცნობოს სააგენტოს ნებისმიერი დარღვევების შესახებ:

ბ.ა) მიღებული გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალასთან დაკავშრებით;

ბ.ბ) ამ პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტში განსაზღვრულ ნიშანდებასთან დაკავშირებით.

2. თუ ადგილი აქვს ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულზე რაიმე შეუსაბამობას, ბიზნესოპერატორი ვალდებულია, ცალკე განათავსოს გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალა, სააგენტოს მიერ მათზე გადაწყვეტილების მიიღებამდე.

მუხლი 119. ბიზნესოპერატორის ვალდებულება შენახული მსხვილფეხა საქონლის, ცხვრის, თხის, ღორისა და ცხენისებრთა სახეობის ცხოველებისა და ფრინველის გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის გადაადგილებასთან დაკავშირებით

1. ბიზნესოპერატორს მსხვილფეხა საქონლის, ცხვრის, თხის, ღორისა და ცხენისებრთა სახეობის შენახული ცხოველების და ფრინველის გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის გადაადგილება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ეს პროდუქტები გროვდება, იწარმოება, გადამუშავდება და ინახება ამ წესის 78-ე მუხლისა და ამ წესის შესაბამისად სპეციალურად ამ მიზნით ავტორიზებულ გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის საწარმოში;

ბ) ეს პროდუქტები შეგროვდა დონორი ცხოველებისგან, რომლებიც აკმაყოფილებენ ცხოველთა ჯანმრთელობის აუცილებელ მოთხოვნებს, რათა გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის საშუალებით არ გავრცელდეს სიით განსაზღვრული დაავადებები;

გ) ამ პროდუქტების შეგროვება, წარმოება, გადამუშავება, შენახვა და ტრანსპორტირება მოხდა ისე, რომ უზრუნველყოფილია ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადებების გაუვრცელებლობა.

2. დაუშვებელია ბიზნესოპერატორმა გადააადგილოს მსხვილფეხა საქონლის, ცხვრის, თხის, ღორისა და ცხენისებრთა სახეობის შენახული ცხოველების გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალა და ფრინველის გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალა შეზღუდვას დაქვემდებარებული სიით განსაზღვრული სახეობების გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის საწარმოდან:

ა) ამ წესის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“, ,,გ“, ,,ე“ და ,,ვ.ბ“ ქვეპუნქტების, 44-ე მუხლის, 49-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 50-ე მუხლის პირველი პუნქტის, 53-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, 66-ე და 67-ე მუხლების შესაბამისად;

ბ) ,,სიით განსაზღვრული ზოგიერთი დაავადების პრევენციის და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად;

გ) ამ წესის 182-ე მუხლით გათვალისწინებული საგანგებო ზომებისა და 183-ე მუხლის შესაბამისად.

3. ამ პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვები არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალა შეგროვდა ამ დაავადების გავრცელებამდე და ეს პროდუქტები ინახებოდა სხვა გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალისგან განცალკევებით.

თავი XIX

ცხოველური წარმოშობის პროდუქტების წარმოება, გადამუშავება და დისტრიბუცია

მუხლი 120. ბიზნესოპერატორის ვალდებულებები ცხოველთა ჯანმრთელობის შესახებ

1. ბიზნესოპერატორი განახორციელებს სათანადო პრევენციულ ზომებს, რათა უზრუნველყოს, რომ ცხოველური წარმოშობის პროდუქტების წარმოების, გადამუშავების და დისტრიბუციის ყველა ეტაპზე, ამგვარი პროდუქტები არ გახდეს: გავრცელების მიზეზი:

ა) ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადებებისა, წარმოების, გადამუშავებისა ან დანიშნულების ადგილის ჯანმრთელობის სტატუსის გათვალისწინებით;

ბ) ახალაღმოცენებადი დაავადებების.

2. ბიზნესოპერატორი უზრუნველყოფს, რომ ცხოველური წარმოშობის პროდუქტები არ იყოს საწარმოდან ან არ იყოს წარმოებული ცხოველებიდან, რომლებიც წარმოშობილია საწარმოდან, რომელიც ექვემდებარება:

ა) ამ წესის 182-ე მუხლით გათვალისწინებული საგანგებო ზომებს ან ამ წესის 183-ე მუხლით განსაზღვრულს;

ბ) გადაადგილების შეზღუდვებს, რომლებიც გამოიყენება შენახული ხმელეთის ცხოველებზე და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე, როგორც ეს გათვალისწინებულია ამ წესის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტით, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე“

ქვეპუნქტით, 44-ე მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტით, 49-ე მუხლის პირველი პუნქტით, 50-ე მუხლის პირველი პუნქტით, 53-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტით, 57-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით, 61-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებით, 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ბ“ ქვეპუნქტით და მე-3 პუნქტით, 66-ე მუხლით, 68-ე მუხლით, 69-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით და ,,სიით განსაზღვრული ზოგიერთი დაავადების პრევენციის და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ წესებით გადაადგილების შეზღუდვებისაგან გამონაკლისები არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 121. ბიზნესოპერატორის ვალდებულებები ცხოველური პროდუქტის გადაადგილებასთან დაკავშირებით

1. ბიზნესოპერატორმა უნდა გადააადგილოს ცხოველური წარმოშობის პროდუქტები მხოლოდ იმ შემთხვევაში, სააგენტოს მიერ გაცემული ავტორიზაცია თან ახლავს

ა) ცხოველური წარმოშობის პროდუქტებს, რომელიც:

ა.ა) შეზღუდული ზონიდან გააქვთ, საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე და ექვემდებარება საგანგებო ზომებს;

ა.ბ) წარმოშობილია საგანგებო ზომებს დაქვემდებარებული ცხოველთა სახეობებისაგან;

ბ) ცხოველური წარმოშობის პროდუქტებს, რომელიც:

ბ.ა) ნებადართულია შეზღუდული ზონიდან გადასაადგილებლად და ექვემდებარება დაავადების კონტროლის ზომებს ამ წესის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ.ბ“ ქვეპუნქტის, 44-ე მუხლის, 49-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 50-ე მუხლის პირველი პუნქტის, 52-ე მუხლის, 53-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის, 57-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 66-ე მუხლის, 67-ე მუხლის და ,,სიით განსაზღვრული ზოგიერთი დაავადების პრევენციის და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად;

ბ.ბ) წარმოშობილია დაავადების კონტროლს დაქვემდებარებული ცხოველთა სახეობებისაგან.

2. ავტორიზაცია არ არის საჭირო ცხოველური წარმოშობის პროდუქტების გადაადგილებისთვის, როდესაც არსებობს ალტერნატიული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ამგვარი პროდუქტების ტვირთების მიკვლევადობას, ხოლო პროდუქტები აკმაყოფილებს ცხოველთა ჯანმრთელობის მოთხოვნებს ასეთი გადაადგილებისთვის.

3. ბიზნესოპერატორმა უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა უზრუნველყოს, რომ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ავტორიზაცია თან ახლდეს ცხოველური წარმოშობის პროდუქტებს მათი წარმოშობის ადგილიდან დანიშნულების ადგილამდე.

4. სააგენტო, ბიზნესოპერატორის მოთხოვნით გასცემს ავტორიზაციას ცხოველური წარმოშობის პროდუქტების გადაადგილებისათვის.

თავი XX

წყლის ცხოველები და წყლის ცხოველისგან მიღებული ცხოველური წარმოშობის პროდუქეტბის რეგისტრაცია, ავტორიზაცია, აღიარება, ჩანაწერების წარმოება, მიკვლევადობა და რეესტრი

მუხლი 122. ბიზნესოპერატორის ვალდებულებები აკვაკულტურის საწარმოს ავტორიზაციისთვის

1. აკვაკულტურის საწარმოს ბიზნესოპერატორი საჯარო რეესტრში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრაციის შემდეგ, ექვემდებარება ავტორიზაციას ამ წესის 123-ე მუხლით შესაბამისად, მისი საქმიანობის დაწყებამდე, საწარმოს ავტორიზაციისათვის უნდა:

ა) აცნობოს სააგენტოს მის პასუხისმგებლობაში მყოფი ნებისმიერი აკვაკულტურის საწარმოს შესახებ;

ბ) მიაწოდოს სააგენტოს შემდეგი ინფორმაცია:

ბ.ა) შესაბამისი ბიზნესოპერატორის სახელი და მისამართი;

ბ.ბ) საწარმოს ადგილმდებარეობა და მისი სათავსოების აღწერა;

ბ.გ) აკვაკულტურის ცხოველის სახეობები, კატეგორია და რაოდენობა (რაოდენობა, მოცულობა ან წონა), რომელთა შენარჩუნებასაც ის აპირებს აკვაკულტურის საწარმოში და აკვაკულტურის საწარმოს სიმძლავრე;

ბ.დ) აკვაკულტურის საწარმოს სახეობა;

ბ.ე) საწარმოს ნებისმიერი სხვა ასპექტი, რომელიც რელევანტურია მის მიერ გამოწვეული რისკის განსაზღვრისათვის.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული აკვაკულტურის საწარმოს ბიზნესოპერატორმა წინასწარ უნდა აცნობოს სააგენტოს:

ა) აკვაკულტურის საწარმოში მიმდინარე, ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით;

ბ) ბიზნესოპერატორის ან აკვაკულტურის საწარმოს მიერ საქმიანობის ნებისმიერი შეწყვეტის შესახებ.

3. აკვაკულტურის საწარმოს, რომელიც ექვემდებარება აღიარებას ამ წესის 125-ე მუხლის პირველი და 126-ე მუხლის შესაბამისად, არ მოეთხოვება ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდება.

4. ბიზნესოპერატორს შეუძლია შეიტანოს ავტორიზაციაზე განაცხადი ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული აკვაკულტურის საწარმოს ჯგუფზე, იმ პირობით, თუ ის აკმაყოფილებს რომელიმე შემდეგ პირობას:

ა) განლაგებულია ეპიდემიოლოგიურად დაკავშირებულ ზონაში და ყველა ბიზნესოპერატორი ამ ზონაში მუშაობს საერთო ბიოუსაფრთხოების სისტემით;

ბ) მათზე პასუხისმგებელია იგივე ბიზნესოპერატორი, რომელიც მოქმედებს ბიოუსაფრთხოების საერთო სისტემით ხოლო შესაბამისი საწარმოს აკვაკულტურის ცხოველები ერთი ეპიდემიოლოგიური ერთეულის ნაწილს წარმოადგენენ.

5. როდესაც ავტორიზაციაზე განაცხადი მოიცავს საწარმოების ჯგუფს, ამ მუხლის პირველი-მე-3 პუნქტებითა და 123-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული წესები და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესები განკუთვნილი აკვაკულტურის ერთი საწარმოსთვის, გამოიყენება მთლიანად აკვაკულტურის საწარმოების ჯგუფზე.

მუხლი 123. სააგენტოს ვალდებულება აკვაკულტურის საწარმოს ავტორიზაციასთან დაკავშირებით

1. სააგენტომ უნდა გასცეს ავტორიზაცია:

ა) აკვაკულტურის საწარმოზე და შეიტანოს ამ წესის 134-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ აკვაკულტურის საწარმოს ავტორიზაციის რეესტრში, სადაც შესაბამისი ბიზნესოპერატორი გზავნის ამ წესის 122-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მოთხოვნილ ინფორმაციას;

ბ) აკვაკულტურის საწარმოს ჯგუფებზე და შეიტანოს ამ რეესტრში, იმ პირობით, თუ დაცულია ამ წესის 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული კრიტერიუმები.

2. სააგენტომ ამ მუხლში მითითებულ თითოეულ საწარმოს ან საწარმოთა ჯგუფს უნდა მიანიჭოს ავტორიზაციის უნიკალური ნომერი.

მუხლი 124. აკვაკულტურის საწარმოს ბიზნესოპერატორის საწარმოს ავტორიზაციის ვალდებულებისგან გათავისუფლება

1. ამ წესის 122-ე მუხლის პირველი პუნქტიდან გამონაკლისის სახით, უმნიშვნელო რისკს მქონე ზოგიერთი აკვაკულტურის საწარმო არ ექვემდებარება ავტორიზაციას, კერძოდ:

ა) აკვაკულტურის საწარმო, რომელიც წარმოადგენს დახურულ ობიექტს ან რომელიც არ უშვებს ჩამდინარე წყლებს პირდაპირ ბუნებრივ წყლებში და არ გადაჰყავთ აკვაკულტურის ცხოველები სხვა აკვაკულტურის საწარმოში ან არ უშვებენ მათ ველურ ბუნებაში და წარმოადგენენ აკვაკულტურის საწარმოს ერთ-ერთ შემდეგ ტიპს:

ა.ა) შენობა-ნაგებობები, სადაც დეკორატიული ცხოველები მოთავსებულია აკვარიუმში ან ტბორში, როგორც შინაური ბინადარი ცხოველი;

ა.ბ) საზოგადოებრივი კვების ობიექტი, სადაც აკვაკულტურის ცხოველები მოთავსებულია აკვარიუმში ან ტბორში და გამიზნულია ადამიანის მიერ მოხმარებისთვის;

ა.გ) საწარმო, სადაც აკვაკულტურის ცხოველი ინახება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა მსგავსი მიზნებისთვის;

ა.დ) საცალო ვაჭრობის ობიექტები, სადაც ინახება დეკორატიული მიზნებისთვის განკუთვნილი აკვაკულტურის ცხოველები, რომლებიც პირდაპირ მიეწოდება ამ წესის 125-ე ან 126-ე მუხლის შესაბამისად აღიარებულ აკვაკულტურის საწარმოს ან მის ჯგუფებს, და

რომლებიც პირდაპირ იყიდება შინაური ბინადარი ცხოველის საბოლოო მომვლელზე;

ა.ე) გარე რეკრეაციული ობიექტები, სადაც აკვაკულტურის ცხოველი ინახება აუზებში ესთეტიკური ან წყლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით და რომლებიც პირდაპირ მიეწოდება აღიარებულ აკვაკულტურის საწარმოს;

ა.ვ) ოჯახური წარმოების სუბიექტები, სადაც აკვაკულტურის ცხოველები ინახება ღია ცის ქვეშ აუზებში ან ავზებში მხოლოდ პირადი მოხმარებისთვის და რომლებიც პირდაპირ მიეწოდება აღიარებული აკვაკულტურის საწარმოს;

ბ) აკვაკულტურის საწარმო, რომელიც შედგება ბადისებრი გალიებისგან ან სხვა მოწყობილობისგან, სადაც გარეული წყლის ცხოველები დროებით წინასწარ ინახება ბუნებრივ წყლებში, ისეთივე ეპიდემიოლოგიურ ერთეულში, როგორშიც დაიჭირეს, ადამიანის მიერ მოხმარებისთვის მოპოვებამდე.

მუხლი 125. ზოგიერთი ტიპის აკვაკულტურის საწარმოს აღიარება

1. ამ წესის 129-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს აღიარებისთვის მიმართავენ შემდეგი ტიპის აკვაკულტურის საწარმოს ბიზნესოპერატორები:

ა) აკვაკულტურის საწარმო, სადაც აკვაკულტურის ცხოველები ინახება შემდგომი გადაყვანის მიზნით, ცოცხლად ან აკვაკულტურის ცხოველური წარმოშობის პროდუქტის სახით;

ბ) აკვაკულტურის საწარმო, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან რისკს შემდეგის გამო:

ბ.ა) აკვაკულტურის ცხოველების სახეობები, კატეგორიები და რაოდენობა, რომლებსაც საწარმოში ინახავენ;

ბ.ბ) მოცემული აკვაკულტურის საწარმოს ტიპი;

ბ.გ) აკვაკულტურის ცხოველების გადაადგილება აკვაკულტურის შესაბამის საწარმოში და მის გარეთ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტიდან გამონაკლისის სახით, ბიზნესოპერატორი არ ექვემდებარება საწარმოს აღიარებას თუ ეს საწარმო არ წარმოადგენს მნიშვნელოვან რისკს და არის შემდეგი ტიპის:

ა) აკვაკულტურის საწარმო, რომელიც აწარმოებს მცირე რაოდენობის აკვაკულტურის ცხოველებს ადამიანის მოხმარებისთვის:

ა.ა) პირდაპირ საბოლოო მომხმარებლისთვის; ან

ა.ბ) ადგილობრივი საცალო საწარმოსთვის, რომლებიც პირდაპირ ამარაგებენ საბოლოო მომხმარებელს;

ბ) ტბორები და სხვა ტიპის ინსტალაციები, სადაც წყლის ცხოველების პოპულაცია ჰყავთ მხოლოდ სამოყვარულო თევზჭერის მიზნით; შევსება ხდება აკვაკულტურის ცხოველებით, რომლებიც შემოფარგლულ/იზოლირებულ სივრცეში იმყოფებიან და არ შეუძლიათ გაქცევა;

გ) აკვაკულტურის საწარმოები, სადაც დახურულ სათავსოში ჰყავთ აკვაკულტურის ცხოველები დეკორატიული მიზნებისთვის;

3. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისია დაშვებული, დაუშვებელია ბიზნესოპერატორმა დაიწყოს საქმიანობა აკვაკულტურის საწარმოში, ამ მუხლის პირველ პუნქტით განსაზღვრულის შესაბამისად, ვიდრე ეს საწარმო არ მიიღებს აღიარებას ამ წესის 130-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და უნდა შეწყვიტონ ასეთი საქმიანობა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ აკვაკულტურის საწარმოში, თუ:

ა) სააგენტო გააუქმებს ან შეუჩერებს აღიარებას ამ წესის 133-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამიდად; ან

ბ) ამ წესის 132-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გაცემული პირობითი აღიარების შემთხვევაში, შესაბამისი აკვაკულტურის საწარმო არ აკმაყოფილებს ამ წესის 132-ე მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ მოთხოვნებს და შესაბამისად, არ გაიცემა სრული აღიარება ამ წესის 132-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად.

4. ბიზნესოპერატორს შეუძლია განაცხადი გააკეთოს აკვაკულტურის საწარმოს ჯგუფის აღიარებისთვის, იმ პირობით, რომ დაცული იქნება ამ წესის 126-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

5. დეტალური წესები განისაზღვრება ,,აკვაკულტურის საწარმოსა და წყლის ცხოველების გადამზიდავთან დაკავშირებული წესების დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილებით:

ა) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული აკვაკულტურის საწარმოს ტიპების აღიარებისთვის, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ა“ და „ა.ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულისა, როდესაც ეს საწარმოები არ წარმოადგენენ მნიშვნელოვან რისკს;

ბ) აკვაკულტურის საწარმოს ტიპებისთვის, რომლებიც აღიარებული უნდა იყოს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

მუხლი 126. აკვაკულტურის საწარმოს ჯგუფების აღიარება სააგენტოს მიერ

1. სააგენტომ, ამ წესის 130-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული აღიარება

აკვაკულტურის საწარმოს ჯგუფზე შეიძლება გასცეს იმ შემთხვევაში, თუ აკვაკულტურის საწარმოები აკმაყოფილებენ რომელიმე ამ პირობას:

ა) საწარმოები განთავსებულია ეპიდემიოლოგიურად დაკავშირებულ ზონაში და ამ ზონის ყველა ბიზნესოპერატორი ოპერირებს საერთო ბიოუსაფრთხოების სისტემის ქვეშ; თუმცა, ნებისმიერ სანაპიროზე ან სანაპიროს მიღმა მდებარე საწარმო, რომელიც ახორციელებს ადამიანის მოხმარებისთვის განკუთვნილი (გამანაწილბელი ცენტრი) ცოცხალი ორსაგდულიანი მოლუსკის მიღებას, კონდიცირებას, რეცხვას, გასუფთავებას, დახარისხებასა და შეფუთვას საწარმო რეზერვუარებით (რომლებიც მარაგდება სუფთა ზღვის წყლით), რომლებშიც ცოცხალი ორსაგდულიანი მოლუსკები მოთავსებულია იმდენი ხნით, რაც აუცილებელია დაბინძურების შესამცირებლად, რათა ისინი ვარგისი გახდეს ადამიანის მოხმარებისთვის (პურიფიკაციის ცენტრი) და მსგავსი საწარმოები, რომლებიც მდებარეობს ამგვარ ეპიდემიოლოგიურად დაკავშირებულ ზონაში, მოითხოვს ინდივიდუალურ აღიარებას;

ბ) საწარმო არის ერთი და იგივე ბიზნესოპერატორის პასუხისმგებლობის ქვეშ და:

ბ.ა) ოპერირებს საერთო ბიოუსაფრთხოების სისტემის ქვეშ;

ბ.ბ) შესაბამისი საწარმოს აკვაკულტურის ცხოველები ქმნიან ერთი და იგივე ეპიდემიოლოგიური ერთეულის ნაწილს.

2. როდესაც გაიცემა ერთი აღიარება აკვაკულტურის საწარმოს ჯგუფზე, ამ წესის 127-ე მუხლის, 129-ე-133-ე მუხლებით განსაზღვრული მოთხოვნები ვრცელდება აკვაკულტურის საწარმოს მთელ ჯგუფზე.

მუხლი 127. აკვაკულტურის შემოფარგლული საწარმოს სტატუსის აღიარება

აკვაკულტურის საწარმოს ბიზნესოპერატორი, რომელთაც სურთ შემოფარგლული საწარმოს სტატუსის მოპოვება:

ა) განაცხადით მიმართავენ სააგენტოს ამ წესის 129-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად;

ბ) საკუთარი საწარმოდან გაჰყავთ ან საწარმოში შემოჰყავთ აკვაკულტურის ცხოველები ამ წესის 150-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათმა საწარმომ მოიპოვა სააგენტოს აღიარება ამ წესის 130-ე ან 132-ე მუხლების შესაბამისად.

მუხლი 128. წყლის სასურსათო დანიშნულების ცხოველების დაავადების კონტროლის

საწარმოს აღიარება

წყლის სასურსათო დანიშნულების ცხოველების დაავადების კონტროლის საწარმოს ბიზნესოპერატორმა უნდა:

ა) უზრუნველყოს საწარმოს აღიარება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №722 დადგენილების „ბიზნესოპერატორის აღიარების წესის“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ა“, „ა.ზ“ ქვეპუნქტებისა და მე-2 მუხლის შესაბამისად;

ბ) მიმართოს განაცხადით სააგენტოს ამ წესის 129-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, რათა მოიპოვონ აღიარება წყლის ცხოველების დაკვლასა ან გადამუშავებაზე დაავადებების კონტროლის მიზნებისათვის ამ წესის 49-ე მუხლის პირველი პუნქტის, 50-ე მუხლისა და 55-ე მუხლის პირველი პუნქტის, 66-ე და 67-ე მუხლებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ,,სიით განსაზღვრული ზოგიერთი დაავადების პრევენციის და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 129. ბიზნესოპერატორის ვალდებულება აღიარების მისაღებად საჭირო ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით

1. ბიზნესოპერატორმა, მისი საწარმოსთვის აღიარების მოპოვების განაცხადში ამ წესის 125-ე მუხლის პირველი პუნქტის, 126-ე მუხლის, 127-ე მუხლის „ა“ პუნქტისა და 128-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად უნდა მიუთითოს შემდეგი სახის ინფორმაცია:

ა) ბიზნესოპერატორის სახელი და მისამართი;

ბ) საწარმოს ლოკაცია და მისი სათავსოების აღწერა;

გ) საწარმოში მობინადრე აკვაკულტურის ცხოველების სახეობები, კატეგორიები და რაოდენობა (რაოდენობა, მოცულობა ან წონა), რომელიც ექვემდებარება აღიარებას;

დ) აკვაკულტურის საწარმოს სახეობა;

ე) აკვაკულტურის საწარმოს ჯგუფის აღიარების შემთხვევაში, ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემული ჯგუფი აკმაყოფილებს ამ წესის 126-ე მუხლით დადგენილ პირობებს;

ვ) აკვაკულტურის საწარმოს მუშაობის რეჟიმის სხვა ასპექტები, რომლებიც რელევანტურია მის მიერ გამოწვეული რისკის დასადგენად;

ზ) საწარმოში წყლის მიწოდება და ჩამდინარე წყლები;

თ) საწარმოს ბიოუსაფრთხოების ზომები.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული საწარმოს ბიზნესოპერატორმა წინასწარ უნდა აცნობოს სააგენტოს შემდეგი:

ა) ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით საწარმოში მიმდინარე ნებისმიერი ცვლილება;

ბ) შესაბამისი ბიზნესოპერატორის ან საწარმოს საქმიანობის ნებისმიერი სახის შეწყვეტა.

მუხლი 130. აღიარების პირობები და გაცემა

1. სააგენტო გასცემს აღიარებას მხოლოდ ამ წესის 125-ე მუხლის პირველ პუნქტში და 127-ე მუხლის „ა "ქვეპუნქტით განსაზღვრულ აკვაკულტურის საწარმოზე, ამ წესის 126-ე მუხლით განსაზღვრულ აკვაკულტურის საწარმოს ჯგუფებსა და ამ წესის 128-ე მუხლით განსაზღვრულ წყლის სასურსათო დანიშნულების ცხოველის დაავადების კონტროლის საწარმოზე, თუ:

ა) საწარმო აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა.ა) კარანტინის, იზოლაციისა და სხვა ბიოუსაფრთხოების ზომებს ამ წესის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით;

ა.ბ) ამ წესის 21-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრულ ზედამხედველობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი საწარმოს ტიპისთვის და შესაძლო რისკის გათვალისწინებით ამ წესის 22-ე მუხლის შესაბამისად;

ა.გ) ამ წესის 135-ე-137-ე მუხლებითა და ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ჩანაწერების წარმოებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს;

ბ) საწარმოს აქვს შესაბამისი სათავსო/სათავსოები და აღჭურვილობა, რომელიც:

ბ.ა) სათანადოა დაავადების შემოჭრისა და გავრცელების რისკების მისაღებ დონეზე შესამცირებლად, საწარმოს ტიპის გათვალისწინებით;

ბ.ბ) სათანადო სიმძლავრისაა წყლის ცხოველის შესაბამისი სახეობის, კატეგორიისა და რაოდენობისათვის (რიცხვი, მოცულობა ან წონა);

გ) არ წარმოადგენს მიუღებელ რისკს დაავადების გავრცელებასთან დაკავშირებით, არსებული რისკის შემამცირებელი ღონისძიებების გათვალისწინებით;

დ) საწარმოს გააჩნია სისტემა, რომელიც შესაბამის ბიზნესოპერატორს საშუალებას აძლევს

სააგენტოს უჩვენოს, რომ შესრულებულია ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში მითითებული მოთხოვნები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ კარანტინის, იზოლაციისა და სხვა ბიოუსაფრთხოების ზომებთან, ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ზედამხედველობასთან და ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სათავსოებსა და აღჭურვილობასთან დაკავშირებული დეტალური წესები განისაზღვრება ,,აკვაკულტურის საწარმოსა და წყლის ცხოველების გადამზიდავთან დაკავშირებული წესების დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 131. საწარმოს აღიარების სფერო

სააგენტომ ამ წესის 125-ე და 126-ე მუხლების, 127-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით ან 128-ე მუხლის შესაბამისად შესულ განაცხადსა და აკვაკულტურის საწარმოს ან წყლის სასურსათო დანიშნულების ცხოველების დაავადების კონტროლის საწარმოსთვის ამ წესის 130-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გაცემულ აღიარებაში მკაფიოდ უნდა მიუთითოს:

ა) ამ წესის 125-ე მუხლის პირველ და 127-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული აკვაკულტურის საწარმოს რომელი ტიპისთვის, ამ წესის 126-ე მუხლში მითითებული აკვაკულტურის საწარმოს ჯგუფებზე, ამ წესის 128-ე მუხლში მითითებული წყლის სასურსათო დანიშნულების ცხოველების დაავადების კონტროლის საწარმოზე და ამ წესის 125-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად შესაბამისად, გაიცემა აღიარება;

ბ) აკვაკულტურის ცხოველების რომელ სახეობებსა და კატეგორიებზე ვრცელდება აღიარება.

მუხლი 132. სააგენტოს მიერ აღიარების მინიჭების პროცედურები

1. ამ წესის 125-ე მუხლის პირველი პუნქტის, 127-ე მუხლის ან 128-ე მუხლის შესაბამისად ბიზნესოპერატორისგან აღიარების შესახებ განაცხადის მიღებისთანავე, სააგენტო განახორციელებს ადგილზე ვიზიტს;

2. ამ წესის 130-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში, სააგენტო გასცემს აღიარებას;

3. თუ საწარმო არ აკმაყოფილებს ამ წესის 130-ე მუხლით განსაზღვრულ ყველა მოთხოვნას, სააგენტოს შეუძლია მიანიჭოს პირობითი აღიარება, თუ შესაბამისი ბიზნესოპერატორის

განცხადების შესწავლის და ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ადგილზე ვიზიტისას, აღმოჩნდება, რომ საწარმო აკმაყოფილებს ყველა იმ **ძირითად** მოთხოვნას, რომელიც იძლევა საკმარის გარანტიას, რომ საწარმომ არ შექმნას მნიშვნელოვანი რისკი.

4. თუ სააგენტოს მიერ გაცემულია პირობითი აღიარება ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, იგი გასცემს სრულ აღიარებას მხოლოდ მაშინ, თუ საწარმოში მორიგი ვიზიტისას, რომელიც განხორციელდება პირობითი აღიარების გაცემის თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში ან ბიზნესოპერატორის მიერ ამ დღიდან ექვსი თვის განმავლობაში მოწოდებული დოკუმენტაციიდან დასტურდება, რომ საწარმო აკმაყოფილებს ამ წესის 78-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნასა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

5. თუ ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული ადგილზე ვიზიტი ან დოკუმენტაცია გამოავლენს, რომ საწარმომ აშკარა პროგრესი განიცადა, თუმცა იგი კვლავ არ აკმაყოფილებს ყველა ამ მოთხოვნას, სააგენტომ შეიძლება გაახანგრძლივოს პირობითი აღიარება. თუმცა, პირობითი აღიარების მაქსიმალური ვადა, ჯამში თორმეტი თვეა.

მუხლი 133. სააგენტოს მიერ გაცემული აღიარების გადახედვა, შეჩერება და გაუქმება

1. სააგენტო ამ წესის 130-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მინიჭებულ აღიარებებს პერიოდულად, შესაბამისი ინტერვალებით, რისკის საფუძველზე, გადახედავს;

2. თუ სააგენტო გამოავლენს სერიოზულ ხარვეზებს საწარმოში ამ წესის 130-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებთან და ამ წესის 130-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ წესებთან მიმართებით და ამ საწარმოს ბიზნესოპერატორს არ შეუძლია უზრუნველყოს სათანადო გარანტია, რომ ეს ხარვეზები აღმოიფხვრება, სააგენტომ უნდა დაიწყოს პროცედურები საწარმოს აღიარების გაუქმებისთვის.

3. სააგენტოს შეუძლია შეაჩეროს და არ გააუქმოს აღიარება, თუ ბიზნესოპერატორი გარანტიას მისცემს, რომ იგი აღმოფხვრის ამ ხარვეზებს გონივრულ ვადაში.

4. აღიარება შეიძლება მინიჭებული იყოს გაუქმების შემდეგ ან აღდგენილი შეჩერების შემდეგ ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, როდესაც სააგენტო დარწმუნდება, რომ საწარმო სრულად აკმაყოფილებს ამ წესის ყველა მოთხოვნას, რომელიც შეესაბამება ამ ტიპის საწარმოს.

მუხლი 134. აკვაკულტურის საწარმოსა და წყლის სასურსათო დანიშნულების ცხოველის

დაავადების კონტროლის საწარმოს რეესტრი

1. სააგენტომ უნდა შექმნას და უზრუნველყოს განახლებული რეესტრი:

ა) ამ წესის 123-ე მუხლის შესაბამისად ავტორიზებული აკვაკულტურის ყველა საწარმოსი;

ბ) ამ წესის 130-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად აღიარებული ყველა აკვაკულტურის საწარმოსი;

გ) ამ წესის 130-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად აღიარებული წყლის სასურსათო დანიშნულების ცხოველის დაავადების კონტროლის ყველა საწარმოსი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული აკვაკულტურის საწარმოს რეესტრი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ბიზნესოპერატორის სახელი და მისამართი, შესაბამისი საწარმოს რეგისტრაციის/ავტორიზაციის ან აღიარების ნომერი;

ბ) აკვაკულტურის საწარმოს ლოკაცია ან შემთხვევიდან გამომდინარე, შესაბამისი აკვაკულტურის საწარმოს ჯგუფის;

გ) წარმოების ტიპი;

დ) წყალმომარაგება ან ჩამდინარე წყლები საწარმოდან, როცა ეს რელევანტურია;

ე) საწარმოში შენახული აკვაკულტურის ცხოველის სახეობები;

ვ) განახლებული ინფორმაცია აკვაკულტურის საწარმოს ან საწარმოს ჯგუფის ჯანმრთელობის სტატუსის შესახებ, ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში წარმოდგენილ სიით განსაზღვრულ დაავადებებთან მიმართებით.

3. ამ წესის 130-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად აღიარებული საწარმოსთვის, სააგენტო ელექტრონულად გაასაჯაროებს სულ მცირე იმ ინფორმაციას, რომელიც განსაზღვრულია ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოთხოვნების დაცვით.

4. სადაც შესაძლებელია და რელევანტური, სააგენტო ამ მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებულ რეესტრს გააერთიანებს სხვა დანიშნულების რეესტრთან.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ აკვაკულტურის საწარმოს რეესტრში შესატანი დეტალური ინფორმაცია განისაზღვრება ,,აკვაკულტურის საწარმოსა და წყლის ცხოველების გადამზიდავთან დაკავშირებული წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 135. აკვაკულტურის საწარმოს ბიზნესოპერატორთა ვალდებულებები ჩანაწერების წარმოებასთან დაკავშირებით

1. აკვაკულტურის საწარმოს ბიზნესოპერატორი, რომელიც ექვემდებარება ამ წესის 123-ე მუხლის შესაბამისად ავტორიზაციის მოთხოვნას ან ამ წესის 130-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად აღიარებას, ვალდებულია აწარმოოს და შეინახოს ჩანაწერები (ელექტრონულად ან მატერიალური ფორმით), რომელიც შეიცავს სულ მცირე შემდეგს:

ა) ინფორმაციას საწარმოში აკვაკულტურის ცხოველების სახეობების, კატეგორიებისა და რაოდენობის (რიცხვი, მოცულობა ან წონა) შესახებ;

ბ) ინფორმაციას აკვაკულტურის ცხოველების და ამ ცხოველებისაგან მიღებული ცხოველური წარმოშობის სურსათის გადაადგილების შესახებ საწარმოში და საწარმოდან, შემდეგის მითითებით:

ბ.ა) მათი წარმოშობის ან დანიშნულების ადგილი;

ბ.ბ) გადაადგილებების თარიღი;

გ) ცხოველის ჯანმრთელობის სერტიფიკატებს მატერიალური ან ელექტრონული ფორმით, რომელიც თან უნდა ახლდეს აკვაკულტურის ცხოველებს გადაადგილებისას, როცა მათი აკვაკულტურის საწარმოში შეყვანა ხდება ამ წესის 153-ე მუხლისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

დ) ინფორმაციას სიკვდილიანობის შესახებ თითოეულ ეპიდემიოლოგიურ ერთეულში და დაავადებების სხვა პრობლემები აკვაკულტურის საწარმოში, როგორც ეს რელევანტურია წარმოების კონკრეტული ტიპისთვის;

ე)ინფორმაციას ბიოუსაფრთხოების ზომების, ზედამხედველობის, მკურნალობის, გამოკვლევის შედეგების შესახებ და სხვა შესაბამისი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია:

ე.ა) აკვაკულტურის ცხოველების სახეობებთან და კატეგორიებთან საწარმოში;

ე.ბ) წარმოების ტიპთან აკვაკულტურის საწარმოში;

ე.გ) აკვაკულტურის საწარმოს ტიპსა და ზომასთან;

ვ) ამ წესის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ნებისმიერი ცხოველის ჯანმრთელობის შემოწმების (ვიზიტის) შედეგის შესახებ ინფორმაციას.

2. აკვაკულტურის საწარმოები, რომლებიც დაბალ რისკს წარმოადგენენ სიით განსაზღვრული ან ახალაღმოცენებადი დაავადებების გავრცელებასთან მიმართებაში შეიძლება გათავისუფლდნენ სააგენტოს მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“, „დ“ და „ე“

ქვეპუნქტებით განსაზღვრული ყველა ან ზოგიერთი ინფორმაციის ჩანაწერების წარმოების მოთხოვნისაგან, თუ უზრუნველყოფილი იქნება მიკვლევადობა.

3. აკვაკულტურის საწარმოს ბიზნესოპერატორმა უნდა აწარმოოს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ჩანაწერები შესაბამის აკვაკულტურის საწარმოზე და ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მათი მართვა ისეთი ფორმით, რითაც გარანტირებული იქნება წყლის ცხოველების წარმოშობისა და დანიშნულების ადგილის მიკვლევადობა;

ბ) უზრუნველყოს სააგენტოსთვის მათი ხელმისაწვდომობა მოთხოვნის შემთხვევაში;

გ) ჩანაწერები შეინახოს არანაკლებ სამი წლისა.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც ფიზიკურად შეუძლებელია საწარმოში ჩანაწერების წარმოება, ის შენახული უნდა იქნეს საწარმოს სათაო ოფისში.

მუხლი 136. წყლის სასურსათო დანიშნულების ცხოველის დაავადების კონტროლის საწარმოს ვალდებულებები ჩანაწერებთან დაკავშირებით

1. ამ წესის 128-ე მუხლით განსაზღვრული წყლის სასურსათო დანიშნულების ცხოველის დაავადების კონტროლის საწარმოს ბიზნესოპერატორი ვალდებულია აწარმოოს და შეინახოს შემდეგი სახის ჩანაწერები:

ა) აკვაკულტურის ცხოველებისა და ამ ცხოველებისაგან მიღებული ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ყველა გადაადგილების შესახებ მათ საწარმოში და მათი საწარმოდან;

ბ) ჩამდინარე წყლებისა და შესაბამისი ბიოუსაფრთხოების ზომების შესახებ.

2. წყლის სასურსათო დანიშნულების ცხოველის დაავადების კონტროლის საწარმოს ბიზნესოპერატორი ვალდებულია:

ა) აწარმოოს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ჩანაწერები და უზრუნველყოს სააგენტოსთვის მათი ხელმისაწვდომობა მოთხოვნის შემთხვევაში;

ბ) შეინახოს ჩანაწერები არანაკლებ სამი წლის განმავლობაში.

მუხლი 137. გადამზიდავების ვალდებულებები ჩანაწერების წარმოებასთან დაკავშირებით

1. აკვაკულტურის საწარმოსათვის ან ველურ გარემოში გასაშვებად გამიზნული წყლის ცხოველების გადამზიდავები ვალდებული არიან აწარმოონ და შეინახონ ჩანაწერები ელექტრონული ან მატერიალური ფორმით:

ა) მათ მიერ ტრანსპორტირებული წყლის ცხოველების სახეობის, კატეგორიისა და

რაოდენობის (რიცხვი, მოცულობა ან წონა) შესახებ;

ბ) აკვაკულტურის ცხოველისა და წყლის გარეული ცხოველის სიკვდილიანობის შესახებ ტრანსპორტირებისას, რამდენადაც ეს პრაქტიკულია ტრანსპორტირების ტიპისა და აკვაკულტურის ცხოველებისა და წყლის გარეული ცხოველების ტრანსპორტირების გათვალისწინებით;

გ) აკვაკულტურის საწარმოსა და წყლის სასურსათო დანიშნულების ცხოველების დაავადების კონტროლის საწარმოს შესახებ, სადაც სატრანსპორტო საშუალებები ახორციელებენ ვიზიტებს;

დ) ტრანსპორტირებისას წყლის შეცვლის შემთხვევაში, ახალი წყლის წყაროსა და წყლის ჩაშვების ადგილების შესახებ;

ე) სატრანსპორტო საშუალებების დასუფთავებისა და დეზინფექციის შესახებ.

2. გადამზიდავზე, რომელიც წარმოადგენს დაბალ რისკს სიით განსაზღვრულ ან ახალაღმოცენებად დაავადებებთან დაკავშირებით, არ ვრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ჩანაწერების წარმოების ვალდებულება, იმ პირობით, რომ მიკვლევადობა იქნება უზრუნველყოფილი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტი ვრცელდება ამ პუნქტით განსაზღვრული წყლის ცხოველების გადამზიდავებზე, იმ პირობით, რომ წყლის ცხოველები გადაადგილდებიან დალუქულ, ჰერმეტულ კონტეინერებში, რომლებიც გაუხსნელი და ხელუხლებელი რჩება მათი ჩატვირთვის მომენტიდან საბოლოო დანიშნულების ადგილამდე გადმოტვირთვის მომენტამდე:

ა) აკვაკულტურის ცხოველები, რომლებიც განკუთვნილია დეკორატიული მიზნებისთვის;

ბ) წყლის ცხოველების კვერცხები და გამეტები, რომლებიც განკუთვნილია აკვაკულტურის მიზნებისთვის ან ველურ ბუნებაში გაშვებისთვის.

4. გადამზიდავმა უნდა უზრუნველყოს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ჩანაწერების წარმოება:

ა) ისეთი ფორმით, რაც შესაძლებელს გახდის დაუყოვნებლივ წარუდგინოს სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში;

ბ) არანაკლებ სამი წლის განმავლობაში.

5. ჩანაწერების წარმოებასთან დაკავშირებული დეტალური მოთხოვნები განისაზღვრება ,,აკვაკულტურის საწარმოსა და წყლის ცხოველების გადამზიდავთან დაკავშირებული წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

თავი XXI

წყლის ცხოველების გადაადგილება

მუხლი 138. ზოგადი მოთხოვნები წყლის ცხოველების გადაადგილებისთვის

1. ბიზნესოპერატორმა უნდა მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა, რათა უზრუნველყოს, რომ წყლის ცხოველების გადაადგილებამ საფრთხეს არ შეუქმნის დანიშნულების ადგილზე ჯანმრთელობის სტატუსს:

ა) ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ დაავადებებთან დაკავშირებით;

ბ) ახალაღმოცენებად დაავადებებთან დაკავშირებით.

2. ბიზნესოპერატორმა უნდა გადააადგილოს წყლის ცხოველი აკვაკულტურის საწარმოში, ადამიანის მიერ მოხმარების ან ბუნებაში გაშვების მიზნით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ცხოველი აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) გამოდის, გარდა წყლის გარეული ცხოველისა, საწარმოდან, რომელიც:

ა.ა) ავტორიზებულია სააგენტოს მიერ ამ წესის 123-ე მუხლის შესაბამისად;

ა.ბ) აღიარებულია სააგენტოს მიერ ამ წესის 130-ე 131-ე მუხლების შესაბამისად, როცა ამას მოითხოვს ამ წესის 125-ე მუხლის პირველი პუნქტი, ამ წესის 126-ე ან 127-ე მუხლი; ან

ა.გ) გათავისუფლებულია ამ წესის 124-ე მუხლით გათვალისწინებული ავტორიზაციის მოთხოვნიდან;

ბ) არ ექვემდებარება:

ბ.ა) გადაადგილების შეზღუდვებს, რომლებიც გავლენას ახდენს შესაბამის სახეობებზე და კატეგორიებზე ამ წესის 43-ე, 44-ე მუხლების, 49-ე მუხლის პირველი პუნქტის, 50-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, 57-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, 66-ე და 68-ე მუხლითა და ,,სიით განსაზღვრული ზოგიერთი დაავადების პრევენციის და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის

დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;

ბ.ბ) ამ წესის 182-ე მუხლით განსაზღვრულ საგანგებო ზომებსა და ამ წესის 183-ე მუხლის შესაბამისად მიღებულ წესებს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის გაუთვალისწინებლად, ბიზნესოპერატორს შეუძლია იმ წყლის ცხოველების გადაადგილება, რომელთა გადადგილების შეზღუდვაზე ან ბუნებაში გაშვებაზე ამ წესის 41-ე-70-ე მუხლებით ან ამ წესის 183-ე მუხლით განსაზღვრულ საგანგებო ზომებით დაშვებულია გამონაკლისები.

4. ბიზნესოპერატორმა უნდა განახორციელოს ყველა შესაბამისი და აუცილებელი ზომა, რათა უზრუნველყოს წყლის ცხოველების წარმოშობის ადგილის დატოვების შემდეგ პირდაპირ დანიშნულების ადგილას გაგზავნა.

მუხლი 139. დაავადების პრევენციის ზომები ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით

1. ბიზნესოპერატორმა უნდა მიიღოს დაავადების პრევენციის ყველა შესაბამისი და აუცილებელი ზომა, რათა უზრუნველყოს, რომ:

ა) ტრანსპორტირებისას საფრთხე არ დაემუქროს წყლის ცხოველების ჯანმრთელობის სტატუსს;

ბ) წყლის ცხოველების ტრანსპორტირებამ არ გამოიწვევს ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადებების პოტენციურ გავრცელებას ადამიანზე ან ცხოველზე მარშრუტის გავლისას და დანიშნულების ადგილზე;

გ) ჩატარდეს აღჭურვილობისა და სატრანსპორტო საშუალებების დასუფთავება და დეზინფექცია და სხვა ადეკვატური ბიოუსაფრთხოების ზომები, სატრანსპორტო ოპერაციების რისკების შესაბამისად;

დ) წყლის ნებისმიერი გამოცვლა და ჩაშვება აკვაკულტურისათვის ან გარემოში გასაშვებად განკუთვნილი წყლის ცხოველების ტრანსპორტირებისას, განხორციელდეს ისეთ ადგილებში და პირობებში, რომლებიც საფრთხეს არ უქმნის ჯანმრთელობის სტატუსს ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში მითითებულ სიით განსაზღვრული დაავადებების მიმართ:

დ.ა) გადაადგილებულ წყლის ცხოველებში;

დ.ბ) წყლის ცხოველებში დანიშნულების ადგილისკენ მიმავალ მარშრტუტზე;

დ.გ) წყლის ცხოველებში დანიშნულების ადგილზე.

2. ბიზნესოპერატორმა, მათ შორის გადამზიდავმა, ბიოუსაფრთხოების მიზნით უნდა უზრუნველყოს, რომ:

ა) წყლისცხოველები ჩაიტვირთოს და ტრანსპორტირდეს წყლით, რომელიც არ ცვლის მათი ჯანმრთელობის სტატუსს;

ბ) წყლის ცხოველების ტრანსპორტირება არ განხორციელდეს იმავე წყალში ან იმავე კონტეინერში, რაშიც დაბალი ჯანმრთელობის სტატუსის მქონე წყლის ცხოველების, ჩატვირთვის მომენტიდან დანიშნულების ადგილზე ჩასვლამდე.

3. ბიზნესოპერატორმა, მათ შორის გადამზიდავმა, ბიოუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად უნდა უზრუნველყოს, რომ:

ა) სატრანსპორტო საშუალებები და კონტეინერები იყოს ისეთი დიზაინის და აგებული, რომ დასუფთავება და დეზინფექცია ეფექტურად განხორციელდეს ტვირთებს შორის, რათა არ დაირღვეს წყლის ცხოველების ჯანმრთელობის სტატუსი ტრანსპორტირების დროს;

ბ) კონტეინერი ან ჭურჭელი, ასევე სხვა სატრანსპორტო აღჭურვილობა, თუ არ არის ერთჯერადი გამოყენების, დასუფთავდეს და დაექვემდებაროს დეზინფექციას ტვირთებს შორის.

4. ბიზნესოპერატორმა, მათ შორის გადამზიდავმა, უნდა უზრუნველყოს, რომ ამ მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“ განსაზღვრული მოთხოვნილი დასუფთავება და დეზინფექცია განხორციელდეს სააგენტოსთან შეთანხმებით, რომელიც უნდა მოიცავდეს დეტალურ დასუფთავებისა და დეზინფექციის ჩატარების დროისა და ადგილის, ასევე გამოყენებული სადეზინფექციო საშუალებების ტიპის შესახებ.

5. ბიზნესოპერატორმა, მათ შორის გადამზიდავმა, უნდა უზრუნველყოს, საჭიროების შემთხვევაში, წყლის შეცვლა განახორციელოს:

ა) ხმელეთზე ტრანსპორტირების შემთხვევაში: შეცვლის წერტილებში, სადაც შეცვლა არ ცვლის გადასაყვანი წყლის ცხოველების ჯანმრთელობის სტატუსს, ან დანიშნულების ადგილზე ან დანიშნულების ადგილისკენ მიმავალ გზაზე მყოფი ცხოველების;

ბ) თევზმჭერი გემით ტრანსპორტირების შემთხვევაში: არანაკლებ 10 კმ-ის დაშორებით ნებისმიერი აკვაკულტურის საწარმოდან, რომელიც განლაგებულია ჩატვირთვის ადგილიდან დანიშნულების ადგილამდე მიმავალ გზაზე.

6. ბიზნესოპერატორმა, მათ შორის გადამზიდავმა, უნდა უზრუნველყოს, რომ ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებული წყლის შეცვლა არ მოხდეს იმ ადგილებში, რომლებიც ექვემდებარება გადაადგილების შეზღუდვებს ან საგანგებო ზომებს.

მუხლი 140. მწყლის ცხოველების იზნობრივი გამოყენების შეცვლა

1. დაუშვებელია წყლის ცხოველები გამოყენებული იქნეს სხვა მიზნით, თუ ის გადაადგილდება განადგურების ან დაკვლის მიზნით:

ა) ამ წესის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამ წესის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის, 44-ე, 49-ე, 50-ე, 52-ე, 53-ე და 57-ე მუხლების, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და 66-ე-69-ე მუხლებისა და ,,სიით განსაზღვრული ზოგიერთი დაავადების პრევენციის და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნებით გათვალისწინებული დაავადების კონტროლის ნებისმიერი ღონისძიების შესაბამისად;

ბ) ამ წესის 182-ე მუხლით განსაზღვრული საგანგებო ზომებისა და ამ წესის 183-ე მუხლის შესაბამისად.

2. წყლის ცხოველების გადაადგილება ადამიანის მიერ მოხმარებისთვის, აკვაკულტურის, ველურ ბუნებაში გაშვების ან სხვა მიზნით, არ უნდა იქნას გამოყენებული სხვა მიზნით, გარდა თავდაპირველი დანიშნულებისა.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტიდან გამონაკლისის სახით, სააგენტოს შეუძლია გასცეს ავტორიზაცია წყლის ცხოველების მიზნობრივი გამოყენების შეცვლის შესახებ, იმ პირობით, რომ ახალი გამოყენება არ წარმოადგენს დანიშნულების ადგილას მყოფი წყლის ცხოველის ჯანმრთელობის სტატუსისთვის უფრო მაღალ რისკს, ვიდრე თავიდან გამიზნული გამოყენება.

მუხლი 141. ბიზნესოპერატორის ვალდებულება დანიშნულების ადგილას

1. აკვაკულტურის საწარმოსა და წყლის სასურსათო დანიშნულების ცხოველების დაავადების კონტროლის საწარმოს ბიზნესოპერატორები, რომლებიც იღებენ წყლის ცხოველებს და

ბიზნესოპერატორი, რომელიც იღებს წყლის ცხოველებს ველურ გარემოში გასაშვებად, წყლის ცხოველების ჩამოტვირთვამდე, ვალდებულნი არიან:

ა) შეამოწმონ, სადაც მოითხოვება, ახლავს თუ არა ტვირთს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტები;

ბ) აცნობონ სააგენტოს, მიღებული წყლის ცხოველების შემოწმების შემდეგ, ნებისმიერი დარღვევების შესახებ:

ბ.ა) მიღებული წყლის ცხოველებტან დაკავშირებით;

ბ.ბ) ამ პუნქტის „ა.ა“ და „ა.ბ“ ქვეპუნქტებში მითითებულ დოკუმენტებთან დაკავშრებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული ნებისმიერი დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, ბიზნესოპერატორი უზრუნველყოფს წყლის ცხოველების იზოლირებას, ვიდრე სააგენტო არ მიიღებს გადაწყვეტილებას მათთან დაკავშირებით.

მუხლი 142. აკვაკულტურის ცხოველების გადაადგილებასთან დაკავშირებული ზოგადი მოთხოვნები, საქართველოს გავლით სხვა ქვეყანაში ან ტერიტორიაზე ექსპორტისთვის

ბიზნესოპერატორი უზრუნველყოფს, რომ საქართველოს გავლით სხვა ქვეყანაში ან სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ექსპორტისთვის განკუთვნილი ტვირთი აკმაყოფილებს ამ წესის 138-ე-140-ე მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მუხლი 143. გაზრდილი სიკვდილიანობა და განსაკუთრებით საშიში სხვა დაავადებების სიმპტომები

1. ბიზნესოპერატორი წყლის ცხოველის გადაადგილებას აკვაკულტურის საწარმოდან გარეთ ან ველური ბუნებიდან აკვაკულტურის სხვა საწარმოში ან ბუნებაში გაშვებას, განახორციელებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ცხოველი:

ა) არ ამჟღავნებს დაავადების სიმპტომებს;

ბ) წარმოშობილია აკვაკულტურის საწარმოდან ან გარემოდან, სადაც რაიმე სხვა, გაურკვეველი მიზეზით გამოწვეული გაზრდილი სიკვდილიანობა არ ფიქსირდება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტიდან გამონაკლისის სახით, სააგენტომ, რისკის შეფასების საფუძველზე, შესაძლებელია გასცეს ავტორიზაცია წყლის ცხოველების გადაადგილებაზე ან ბუნებაში გაშვებაზე, თუ ეს ცხოველები წარმოშობილია აკვაკულტურის საწარმოს ან ველური

ბუნების იმ ნაწილიდან, რომელიც დამოუკიდებელია იმ ეპიდემიოლოგიური ერთეულისგან, სადაც გაზრდილ სიკვდილიანობას ან დაავადების სხვა სიმპტომებს ჰქონდა ადგილი.

მუხლი 144. აკვაკულტურის ცხოველების გადაადგილება დაავადებაზე თავისუფლად მიჩნეულ ან დაავადების აღმოფხვრის პროგრამას დაქვმდებარებულ ზონებსა თუ კომპარტმენტში

1. ბიზნესოპერატორმა უნდა გადააადგილოს მხოლოდ სიით განსაზღვრული სახეობების აკვაკულტურის ცხოველები, რომლებისთვისაც რელევანტურია ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ან ,,გ“ ქვეპუნქტებში მითითებული ერთი ან რამდენიმე სიით განსაზღვრული დაავადება, აკვაკულტურის საწარმოში ან ველურ ბუნებაში გაშვებისთვის დაავადებაზე თავისუფლად მიჩნეულ ქვეყანაში (ტერიტორიაზე), ზონაში ან კომპარტმენტში, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ცხოველები წარმოშობილია ქვეყნის ტერიტორიიდან ან მისი ზონიდან ან კომპარტმენტიდან, რომელიც მიჩნეულია ამ დაავადებებზე თავისუფლად.
2. ბიზნესოპერატორმა უნდა გადაადგილოს მხოლოდ სიით განსაზღვრული სახეობების აკვაკულტურის ცხოველები, რომლისთვისაც რელევანტურია ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტებში მითითებული ერთი ან რამდენიმე სიით განსაზღვრული დაავადება, აკვაკულტურის საწარმოში ან ველურ ბუნებაში გაშვებისთვის ამ წესის 26-ე მუხლის პირველი ან მეორე პუნქტის შესაბამისად სიით განსაზღვრულ დაავადებებზე დაავადების აღმოფხვრის პროგრამას დაქვემდებარებულ ქვეყნის ტერიტორიაზე, ზონაში ან კომპარტმენტში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ცხოველები წარმოშობით არიან ამ დაავადებაზე თავისუფლად მიჩნეული ქვეყნის ტერიტორიიდან, ან მისი ზონიდან თუ კომპარტემნტიდან.

მუხლი 145. ამ წესის 144-ე მუხლთან დაკავშირებული გამონაკლისები

ამ წესის 144-ე მუხლის მოთხოვნებზე გამონაკლისის სახით, დასაშვებია სააგენტომ გასცეს ავტორიზაცია, რომ ბიზნესოპერატორმა გადააადგილოს აკვაკულტურის ცხოველები ზონაში ან კომპარტმენტში, სადაც ამ წესის 26-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად დანერგილია ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტებში მითითებულ სიით განსაზღვრულ დაავადებებზე დაავადების აღმოფხვრის პროგრამა, სხვა ზონიდან ან

კომპარტმენტიდან, რომლებისთვისაც ასეთი პროგრამა შეიქმნა იმავე სიით განსაზღვრული დაავადებებისთვის, იმ პირობით, რომ ამგვარი გადაადგილება საფრთხეს არ შეუქმნის ქვეყნის, ზონის ან კომპარტმენტის ბინადარი ცხოველების ჯანმრთელობის სტატუსს.

მუხლი 146. ღონისძიებები წყლის ცხოველის ველურ გარემოში გაშვების შესახებ

წყლის ცხოველების ველურ ბუნებაში გაშვება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოშობილია ქვეყანაში, ზონიდან ან კომპარტმენტიდან, რომელიც მიჩნეულია დაავადებისგან თავისუფლად ამ წესის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის ან 31-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში მითითებულ ერთ ან რამდენიმე სიით განსაზღვრულ დაავადებასთან მიმართებით, რომელზეც ამ წყლის ცხოველის სახეობა არის სიით განსაზღვრული, მიუხედავად იმისა, თუ ჯანმრთელობის რა სტატუსი აქვს იმ ტერიტორიას, სადაც ეს წყლის ცხოველები უნდა გაუშვან.

მუხლი 147. წყლის გარეული ცხოველების გადაადგილება, რომელიც განკუთვნილია დაავადებაზე თავისუფალი ქვეყნის ტერიტორიისთვის, მისი ზონისთვის ან კომპარტმენტისთვის ან ექვემდებარება დაავადების აღმოფხვრის პროგრამას

1. ამ წესის 143-ე-145-ე მუხლები ვრცელდება წყლის გარეული ცხოველების გადაადგილებაზე, რომელიც განკუთვნილია აკვაკულტურის საწარმოსთვის ან ველურ ბუნებაში გასაშვებად.

2. ბიზნესოპერატორმა უნდა მიიღოს დაავადების პრევენციის შესაბამისი და აუცილებელი ზომები წყლის გარეული ცხოველის ჰაბიტატებს შორის გადაადგილებისას, რათა უზრუნველყოს:

ა) ასეთი გადაადგილება არ წარმოადგენდეს მნიშვნელოვან რისკს ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადებების დანიშნულების ადგილას წყლის სხვა ცხოველებზე გავრცელებისთვის;

ბ) რისკის შემამსუბუქებელი ან სხვა სათანადო ბიოუსაფრთხოების ზომების განხორციელება, სადაც ეს აუცილებელია ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 148. ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი აკვაკულტურის ცოცხალი ცხოველების გადაადგილება სიით განსაზღვრული დაავადებაზე თავისუფალ ტერიტორიებად მიჩნეულ ან დაავადების აღმოფხვრის პროგრამას დაქვემდებარებულ ქვეყანაში, მათ ზონასა ან კომპარტმენტში

1. ბიზნესოპერატორის მიერ ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტებში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადებების შემთხვევაში სიით განსაზღვრული სახეობების ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი აკვაკულტურის **ცოცხალი ცხოველების** გადაადგილება დასაშვებია ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში მითითებულ ერთ ან მეტ სიით განსაზღვრულ დაავადებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად თავისუფლად მიჩნეულ ან ამ წესის 26-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად დაავადებების აღმოფხვრის პროგრამის მოქმედ ტერიტორიაზე, ზონაში ან კომპარტმენტში, თუ მოცემული ცხოველები წარმოშობით არიან სიით განსაზღვრული დაავადებებისგან თავისუფლად მიჩნეული ქვეყნის ტერიტორიიდან, მისი ზონიდან ან კომპარტმენტიდან.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის გაუთვალისწინებლად, სააგენტომ შეიძლება გასცეს ავტორიზაცია აკვაკულტურის ცოცხალი ცხოველების ზონაში ან კომპარტმენტში შეყვანაზე, სადაც დაავადების აღმოფხვრის პროგრამაა დანერგილი ამ წესის 26-ე მუხლის შესაბამისად, ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ერთ ან მეტ სიით განსაზღვრულ დაავადებაზე, სხვა ზონიდან ან კომპარტმენტიდან, სადაც ასევე დანერგილია მსგავსი პროგრამა იგივე დაავადებებზე ქვეყნის შიდა ტერიტორიაზე, იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი გადაადგილება საფრთხის არ შეუქმნის ქვეყანის, მისი ზონის ან კომპარტმენტის ჯანმრთელობის სტატუსს.

მუხლი 149. წყლის ცოცხალი გარეული ცხოველების გადაადგილება ქვეყანაში, მის ზონასა ან კომპარტმენტში, რომლებიც მიჩნეულია სიით განსაზღვრულ დაავადებაზე თავისუფალ ტერიტორიებად ან რომელიც ექვემდებარება დაავადებების აღმოფხვრის პროგრამას

1. ამ წესის 148-ე მუხლის მოთხოვნები ვრცელდება ადამიანის მოხმარებისთვის განკუთვნილი წყლის ცოცხალი გარეული ცხოველების გადაადგილებაზე, რომელიც განკუთვნილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაავადებაზე თავისუფლად მიჩნეულ ქვეყნის ტერიტორიისთვის, მისი ზონისთვის ან კომპარტმენტისათვის ან რომლებიც ექვემდებარებიან

დაავადების აღმოფხვრის პროგრამას ამ წესის 26-ე მუხლის შესაბამისად, როდესაც ამ პუნქტების შესაბამისად განსაზღვრული ზომები აუცილებელია იმისთვის, რომ მოცემული ცხოველები არ წარმოადგენდნენ მნიშვნელოვან რისკს წყლის ცხოველებში ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადებების გავრცელებისთვის დანიშნულების ადგილზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტი ასევე ვრცელდება წყლის ცოცხალ ცხოველებზე, რომლებიც გათვალისწინებულია ამ წესის მე-4 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ აკვაკულტურის ცხოველების განმარტებაში.

თავი XXII

გამონაკლისები ამ წესის 138-ე-149-ე მუხლებთან დაკავშირებით და რისკის შემამცირებელი დამატებითი ზომები

მუხლი 150. აკვაკულტურის შემოფარგლული საწარმოსათვის განკუთვნილი წყლის ცხოველები ბიზნესოპერატორს წყლის ცხოველების გადაყვანა აკვაკულტურის შემოფაგლულ საწარმოში შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ცხოველები აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

ა) მათი წარმოშობის ადგილსამყოფელია აკვაკულტურის სხვა შემოფარგლული საწარმო;

ბ) არ წარმოადგენს მნიშვნელოვან რისკს ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადებების გავრცელებისთვის სიით განსაზღვრულ ცხოველთა სახეობებისთვის დანიშნულების აკვაკულტურის შემოფარგლულ საწარმოში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადაადგილება ავტორიზებულია სამეცნიერო მიზნებისთვის.

მუხლი 151. წყლის ცხოველების გადაადგილება სამეცნიერო მიზნებისათვის

1. სააგენტოს შეუძლია გასცეს ავტორიზაცია წყლის ცხოველების გადაადგილებაზე ქვეყნის ტერიტორიაზე სამეცნიერო მიზნებისთვის, თუ ეს გადაადგილება არ აკმაყოფილებს ამ წესის 138-ე-149-ე მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, გარდა ამ წესის 138-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტებისა და ამ წესის 139-ე-141-ე მუხლებისა.

2. სააგენტოს შეუძლია დაუშვას მხოლოდ ამ მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისი თუ

უზრუნველყოფილია რისკის შემამცირებელი აუცილებელი ზომები, რათა წყლის ცხოველების გადაადგილებამ საფრთხე არ შეუქმნას ჯანმრთელობის მდგომარეობას გზაზე და დანიშნულების ადგილებში ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში მითითებულ სიით განსაზღვრულ დაავადებებთან დაკავშირებით და ასეთ გადაადგილებას, წარმოშობისა და დანიშნულების ადგილამდე, სადაც ტვირთები გაივლიან, ზედამხედველობას უწევს სააგენტო.

მუხლი 152. წყლის ცხოველების ზოგიერთი სახეობებისა და კატეგორიების გადაადგილების დროებითი წესების მიღების შესახებ

1. დასაშვებია დროებითი წესების მიღება, დამატებით ან ალტერნატიულად იმ წესებისა, რომლებიც ამ წესის 138-ე-160-ე მუხლებში განსაზღვრული, წყლის ცხოველების კონკრეტული სახეობებისა და კატეგორიების გადასაადგილებლად, იმ შემთხვევაში, როცა:

2. დასაშვებია წყლის ცხოველების კონკრეტული სახეობებისა და კატეგორიების გადასაადგილებლად დროებითი წესების შემოღება, ამ წესის 138-ე-160-ე მუხლებით განსაზღვრული წესების დამატებით ან ალტერნატიულად იმ შემთხვევაში, როცა:

ა) გადაადგილებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, რომელიც გათვალისწინებულია ამ წესის 143-ე, 144-ე მუხლის პირველ პუნქტში, 145-ე-148-ე მუხლებში, 149-ე მუხლის პირველი პუნქტში, 150-ე მუხლში, 151-ე მუხლში და საქართველოს კანონმდებლობაში, ეფექტურად ვერ უზრუნველყოფს წყლის ცხოველების ამ გადაადგილებით გამოწვეული რისკების შემსუბუქებას;

ბ) ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადება ვრცელდება მიუხედავად ა ამ წესის 138-ე-151-ე მუხლებით განსაზღვრული გადაადგილებასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულებისა.

თავი XXIII

აკვაკულტურის ცხოველის ჯანმრთელობის სერტიფიცირება

მუხლი 153. ბიზნესოპერატორის ვალდებულება, გადაადგილების დროს აკვაკულტურის ცხოველებისათვის ჯანმრთელობის სერტიფიკატით უზრუნველყოფაზე

1. ბიზნესოპერატორმა აკვაკულტურის ცხოველები უნდა გადააადგილოს მხოლოდ იმ

შემთხვევაში, თუ მას თან ახლავს ამ წესის 158-ე მუხლის პირველი პუნქტით შესაბამისად სააგენტოს მიერ გაცემული ცხოველის ჯანმრთელობის სერტიფიკატი, რომელიც სავალდებულოა თუ შესაბამისი ცხოველი მიეკუთვნება ამ წესის მე-9 მუხლის „ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტებში მითითებულ სიით განსაზღვრულ დაავადებებზე სიით განსაზღვრულ სახეობებს და ისინი განკუთვნილია ქვეყნის ზონაში ან კომპარტმენტში შესაყვანად, თუ ეს უკანასკნელი გამოცხადებულია სიით განსაზღვრული დაავადებაზე თავისუფალ ტერიტორიად ან მასზე მოქმედებს სიით განსაზღვრული დაავადებების აღმოფხვრის პროგრამა ამ წესის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტში მითითებულ სიით განსაზღვრულ დაავადებებთან დაკავშირებით.

2. ბიზნესოპერატორმა აკვაკულტურის ცხოველი უნდა გადააადგილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ახლავს ამ წესის 158-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად სააგენტოს მიერ გაცემული ცხოველის ჯანმრთელობის სერტიფიკატი, რომელიც სავალდებულოა თუ შესაბამისი ცხოველები მიეკუთვნება ამ წესის მე-9 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში მითითებულ სიით განსაზღვრული დაავადებებზე სიით განსაზღვრული სახეობებს და ნებადართულია დატოვონ ამ წესის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით, 44-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, 61-ე მუხლის პირველი პუნქტით ან ,,სიით განსაზღვრული ზოგიერთი დაავადების პრევენციის და კონტროლის წესით“ , ამ წესის 183-ე მუხლით განსაზღვრული დაავადებათა კონტროლის ზომებს დაქვემდებარებული შეზღუდული ზონა ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული ერთი ან მეტი სიით განსაზღვრულ დაავადებებთან მიმართებაში.

3. ბიზნესოპერატორმა უნდა უზრუნველყოს, რომ აკვაკულტურის ცხოველების ტვირთს თან ახლდეს ჯანმრთელობის სერტიფიკატი, წარმოშობის ადგილიდან დანიშნულების საბოლოო პუნქტამდე, თუ რაიმე სპეციფიკური ზომები არ არის გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 154. ბიზნესოპერატორის ვალდებულება წყლის სხვა ცხოველების ჯანმრთელობის სერტიფიკატით უზრუნველსაყოფად

1. თუ აკვაკულტურის ცხოველების გარდა, წყლის სხვა ცხოველების გადაადგილებასთან დაკავშირებული რისკის გამო, მოითხოვება ცხოველთა ჯანმრთელობის სერტიფიკატი, ბიზნესოპერატორს უფლება აქვს გადააადგილოს მხოლოდ წყლის ის ცხოველები, რომელთაც

ახლავს სააგენტოს მიერ ამ წესის 158-ე მუხლის პირველი პუნქტისშესაბამისად გაცემული ცხოველთა ჯანმრთელობის სერტიფიკატი.

2. ამ წესის 153-ე მუხლი ასევე ვრცელდება წყლის ცხოველებზე, გარდა აკვაკულტურის ცხოველებისა, რომლებიც განკუთვნილია აკვაკულტურის საწარმოსათვის ან გარემოში გასაშვებად. როდესაც სააგენტო მიიჩნევს, რომ შეუძლებელია **ჯანმრთელობის სერტიფიკატის გაცემა** წყლის ცხოველებზე მათის წარმოშობის ადგილის სპეციფიკიდან გამომდინარე, მას შეუძლია გასცეს ავტორიზაცია მათ გადაადგილებაზე ცხოველთა ჯანმრთელობის სერტიფიკატის გარეშე.

3. ეს მუხლი არ ვრცელდება წყლის გარეულ ცხოველებზე, რომლებიც მოგროვებული ან დაჭერილია ადამიანის პირდაპირი მოხმარებისთვის.

მუხლი 155. სააგენტოს მიერ ცხოველთა ჯანმრთელობის სერტიფიკატთან დაკავშირებული გამონაკლისები

ამ წესის 153-ე და 154-ე მუხლებით განსაზღვრული ცხოველთა ჯანმრთელობის სერტიფიკატის მოთხოვნებიდან გამონაკლისის სახით, სააგენტოს შეუძლია დაუშვას წყლის ცხოველების გადაადგილება ქვეყანაში ცხოველთა ჯანმრთელობის სერტიფიკატის გარეშე, იმ პირობით, რომ მათ აქვთ ალტერნატიული სისტემა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ასეთი ტვირთები იყოს მიკვლევადი და შეესაბამებოდეს ამ წესის 138-ე-152-ე მუხლებით გადაადგილებებისთვის განსაზღვრულ ცხოველთა ჯანმრთელობის მოთხოვნებს.

მუხლი 156. ცხოველთა ჯანმრთელობის სერტიფიკატის შინაარსი

1. ამ წესის 153-ე-155-ე მუხლებით განსაზღვრული ცხოველის ჯანმრთელობის სერტიფიკატი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) საწარმო ან წარმოშობის ადგილი, საწარმო ან დანიშნულების ადგილი, საწიროების შემთხვევაში დაავადების გავრცელებისას, ნებისმიერი საწარმო ან ადგილი გზად (მარშუტში);

ბ) აღწერილობა, მათ შორის წყლის ცხოველების სახეობებისა და კატეგორიის;

გ) წყლის ცხოველების რაოდენობა (რიცხვი, მოცულობა ან წონა);

დ) ინფორმაცია, რომელიც საჭიროა იმის დასადასტურებლად, რომ წყლის ცხოველები აკმაყოფილებენ ცხოველთა ჯანმრთელობის შესაბამის მოთხოვნებს, რომელიც

განსაზღვრულია ამ წესის 138-ე-152-ე მუხლებში.

2. ცხოველის ჯანმრთელობის სერტიფიკატი შეიძლება მოიცავდეს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ინფორმაციასაც.

3.სერტიფიკატის ფორმები დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 157. ბიზნესოპერატორის სააგენტოსთან თანამშრომლობის ვალდებულება ცხოველის ჯანმრთელობის სერტიფიკატთან დაკავშირებით

ბიზნესოპერატორი ვალდებულია:

ა) წინასწარ, დაგეგმილ გადაადგილებამდე, სააგენტოს მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია, ამ წესის 153-ე-154-ე მუხლებით და 156-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ცხოველის ჯანმრთელობის სერტიფიკატის შესავსებად;

ბ) საჭიროების შემთხვევაში, წყლის ცხოველები დაუქვემდებაროს დოკუმენტურ, იდენტობისა და ფიზიკურ შემოწმებას, როგორც ეს განსაზღვრულია ამ წესის 158-ე მუხლის მე-3-მე-6 პუნქტებით.

მუხლი 158. სააგენტოს პასუხისმგებლობა ცხოველის ჯანმრთელობის სერტიფიკატთან დაკავშირებით

1. სააგენტო, ბიზნესოპერატორის მოთხოვნით, გასცემს ცხოველის ჯანმრთელობის სერტიფიკატს წყლის ცხოველების გადასაადგილებლად, ამ წესის 153-ე-154-ე მუხლებით ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, თუ ამგვარი გადაადგილებაზე მოთხოვნები შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესის 138-ე მუხლით, 139-ე მუხლის პირველი პუნქტით, 140-ე, 142-ე, 143-ე მუხლებით, 144-ე მუხლის პირველი პუნქტით, 145-ე-148-ე მუხლებით, 150-ე და 151-ე მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

2. ცხოველთა ჯანმრთელობის სერტიფიკატი აუცილებელია:

ა) იყოს შემოწმებული, ბეჭედდასმული და ხელმოწერილი სახელმწიფო ვეტერინარის მიერ;

ბ) იყოს ძალაში გაცემიდან 10 დღე. ამ პერიოდში, წყლის ცხოველები, რომლებიც დაფარულია ამ სერტიფიკატით, უნდა აკმაყოფილებდნენ სერტფიკატში გაწერილ ცხოველთა ჯანმრთელობის მოთხოვნებს.

3. ცხოველის ჯანმრთელობის სერტიფიკატის ხელმოწერამდე სააგენტოს ვეტერინარი

ახორციელებს დოკუმენტურ, იდენტობისა და ფიზიკურ შემოწმებას, რათა დარწმუნდეს, რომ წყლის ცხოველები აკმაყოფილებენ ამ წესის 138-ე-160-ე მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

4. ამ მუხლით გათვალისწინებული ცხოველის ჯანმრთელობის სერტიფიკატის ხელმოწერამდე, სახელმწიფო ვეტერინარი აკვაკულტურის საწარმოში ატარებს შემდეგ შემოწმებებსა და გამოკვლევებს:

ა) აკვაკულტურის საწარმოში სიკვდილიანობის, გადაადგილების, ჯანმრთელობისა და პროდუქტიულობის ჩანაწერების დოკუმენტური შემოწმება; და

ბ) კლინიკური შემოწმება და შესაბამის შემთხვევაში, კლინიკური გამოკვლევა:

ბ.ა) გადასაადგილებელი აკვაკულტურის ცხოველების;

ბ.ბ) საწარმოო ერთეულში , გარდა ამ პუნქტის ,,ბ.ა“ ქვეპუნქტში არსებული ნებისმიერი მომაკვდავი აკვაკულტურის ცხოველის;

ბ.გ) აკვაკულტურის ცხოველების აკვაკულტურის საწარმოს ნებისმიერი საწარმოო ერთეულიდან, სადაც დოკუმენტური შემოწმების შედეგად გაჩნდა რაიმე ეჭვი სიით განსაზღვრული დაავადების ან ახალაღმოცენებადი დაავადების არსებობაზე.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის ,,ბ“ პუნქტიდან გამონაკლისის სახით, კვერცხისა და მოლუსკის შემთხვევაში, კლინიკური შემოწმება შეიძლება არ ჩატარდეს, როდესაც ტვირთი აკვაკულტურის საწარმოდან უნდა გადაადგილდეს ბოლო კლინიკური შემოწმების დასრულებიდან 4 კვირის განმავლობაში, იმ პირობით, რომ ამ მუხლის მე-4 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტში მითითებული დოკუმენტური შემოწმება ტარდება ტვირთის გადაადგილებამდე 72 საათის განმავლობაში და ეს დოკუმენტური შემოწმება მიუთითებს, რომ:

ა) ბოლო კლინიკური შემოწმების ჩატარების შემდეგ აკვაკულტურის საწარმოში არ განხორციელებულა სიით განსაზღვრული სახეობების გადაადგილება; და

ბ) აკვაკულტურის საწარმოში არ არსებობს სიით განსაზღვრული ან ახალაღმოცენებად დაავადებაზე ეჭვი.

6. სახელმწიფო ვეტერინარი, ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემოწმებების, ინსპექტირების და საჭიროების შემთხვევაში, გამოკვლევების დასრულების შემდეგ, გასცემს

ცხოველთა ჯანმრთელობის სერტიფიკატს აკვაკულტურის ცხოველების ან კვერცხის ტვირთისთვის ტვირთის წარმოშობის საწარმოდან გამგზავრებამდე 72 საათით ადრე.

მუხლი 159. ცხოველის ჯანმრთელობის ელექტრონული სერტიფიკატი

ცხოველის ჯანმრთელობის ელექტრონული სერტიფიკატი მზადდება, მუშავდება და იგზავნება ელექტრონული სისტემის მეშვეობით. ელექტრონულმა სერტიფიკატმა შესაძლებელია ჩაანაცვლოს მატერიალური ფორმით გაცემული სერტიფიკატი, როგორც ეს გათვალისწინებულია ამ წესის 158-ე მუხლის პირველი პუნქტით, იმ შემთხვევაში, როდესაც:

ა) ამგვარი ელექტრონული სერტიფიკატი შეიცავს ყველა ინფორმაციას, რომელიც მოცემულია ცხოველის ჯანმრთელობის სერტიფიკატის შაბლონურ ფორმაში და რომელიც სავალდებულოა ამ წესის 156-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს კანონმდებლობის თანახმად;

ბ) უზრუნველყოფილია წყლის ცხოველების მიკვლევადობა და კავშირი ამ ცხოველებსა და ცხოველთა ჯანმრთელობის ელექტრონულ სერტიფიკატს შორის;

მუხლი 160. ბიზნესოპერატორის მიერ აკვაკულტურის ცხოველების გადაადგილების დეკლარაცია

1. წარმოშობის ადგილის ბიზნესოპერატორი, გასცემს დეკლარაციას აკვაკულტურის ცხოველთა გადასაადგილებლად წარმოშობის ადგილიდან დანიშნულების ადგილამდე და უზრუნველყოფს, რომ ეს დოკუმენტი თან ახლდეს ტრანსპორტირებულ ცხოველებს, იმ შემთხვევაში, თუ არ მოითხოვება ცხოველთა ჯანმრთელობის სერტიფიკატი, როგორც ეს განსაზღვრულია ამ წესის 153-ე და 154-ე მუხლებით და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დეკლარაციის დოკუმენტი აკვაკულტურის ცხოველების შესახებ უნდა შეიცავდეს ინფორმაციას:

ა) მათი წარმოშობის ადგილის, დანიშნულების ადგილისა და, საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერი ადგილის შესახებ მარშრუტში;

ბ) სატრანსპორტო საშუალების შესახებ;

გ) აკვაკულტურის ცხოველების აღწერის შესახებ, კერძოდ მათი სახეობა, კატეგორია და რაოდენობა (რიცხვი, მოცულობა ან წონა), სადაც ეს რელევანტურია შესაბამისი

ცხოველებისათვის;

დ) რომელიც საჭიროა იმის საჩვენებლად, რომ აკვაკულტურის ცხოველები აკმაყოფილებენ ამ წესის 138-ე-152-ე მუხლებით განსაზღვრულ ცხოველთა ჯანმრთელობის მოთხოვნებს გადაადგილებისთვის.

თავი XXIV

წყლის ცხოველებისაგან წარმოშობილი ცხოველური წარმოშობის პროდუქტების წარმოება, გადამუშავება და დისტრიბუცია, გარდა წყლის ცოცხალი ცხოველებისა

მუხლი 161. ცხოველის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ზოგადი ვალდებულებები ბიზნესოპერატორისთვის

1. ბიზნესოპერატორმა უნდა განახორციელოს სათანადო პრევენციული ზომები, რათა უზრუნველყოს, რომ წყლის ცხოველებისაგან წარმოებული ცხოველური წარმოშობის პროდუქტების წარმოების, გადამუშავების და დისტრიბუციის ყველა ეტაპზე, ამგვარი პროდუქტები არ გახდეს შემდეგის გავრცელების მიზეზი:

ა) ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „დ “ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადებების წარმოების, გადამუშავებისა და დანიშნულების ადგილის ჯანმრთელობის სტატუსის გათვალისწინებით;

ბ) ახალაღმოცენებადი დაავადების.

2. ბიზნესოპერატორმა უნდა უზრუნველყოს, რომ წყლის ცხოველებისაგან წარმოებული ცხოველური წარმოშობის პროდუქტი, გარდა აკვაკულტურის ცოცხალი ცხოველისა, არ იყოს წარმოშობილი იმ საწარმოდან, სურსათის ბიზნესიდან ან წარმოებული ცხოველისაგან, რომელიც წარმოშობილია ისეთი საწარმოდან ან სურსათის ბიზნესიდან, რომელიც ექვემდებარება შემდეგს:

ა) ამ წესის 182-ე მუხლით განსაზღვრულ საგანგებო ზომებს ან ამ წესის 183-ე მუხლის შესაბამისად მიღებულ ნებისმიერი წესს, გარდა ამ წესის 182-ე-185-ე მუხლებით დადგენილი წესებით დაშვებული გამონაკლისებისა;

ბ) გადაადგილებასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს, რომლებიც გამოიყენება წყლის

ცხოველებზე და აკვაკულტურის ცხოველებიდან მიღებულ ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე, როგორც ეს განსაზღვრულია ამ წესის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 44-ე მუხლის, 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 50-ე მუხლის პირველი პუნქტის, 53-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, 57-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-3 პუნქტის, 66-ე მუხლის, 68-ე მუხლის, 69-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტისა და ,,სიით განსაზღვრული ზოგიერთი დაავადების პრევენციის და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად, გარდა ამ წესებით განსაზღვრული გამონაკლისებისა, რომელიც წარმოდგენილია გადაადგილებასთან დაკავშირებული შეზღუდვებით.

მუხლი 162. ცხოველთა ჯანმრთელობის სერტიფიკატები

1. ბიზნესოპერატორმა წყლის ცხოველისაგან მიღებული ცხოველური წარმოშობის პროდუქტი, გარდა წყლის ცოცხალი ცხოველისა, უნდა გადაადგილოს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამ პროდუქტს თან ახლავს სააგენტოს მიერ გაცემული ჯანმრთელობის სერთიფიკატი ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად:

ა) აკვაკულტურის ცხოველისაგან მიღებული ცხოველური წარმოშობის პროდუქტი, რომელიც:

ა.ა) დასაშვებია, რომ დატოვოს შეზღუდული ზონა და ექვემდებარება ამ წესის 183-ე მუხლის შესაბამისად მიღებულ წესებში წარმოდგენილ საგანგებო ზომებს;

ა.ბ) წარმოშობილია საგანგებო ზომებს დაქვემდებარებული წყლის ცხოველის სახეობისგან;

ბ) წყლის ცხოველისაგან მიღებული ცხოველური წარმოშობის პროდუქტი, რომელიც:

ბ.ა) დასაშვებია, რომ დატოვოს შეზღუდული ზონა და ექვემდებარება დაავადების კონტროლის ზომებს ამ წესის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 44-ე მუხლის, 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 50-ე მუხლის პირველი პუნქტის, 53-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, 57-ე მუხლის პირველი პუნქტის, 61-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 66-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად და ,,სიით განსაზღვრული ზოგიერთი დაავადების პრევენციის და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად; და

ბ.ბ) წარმოშობილია დაავადების კონტროლს დაქვემდებარებული წყლის ცხოველთა

სახეობებისაგან;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტიდან გამონაკლისის სახით, ასეთი სერტიფიკატი არ არის საჭირო წყლის გარეული ცხოველისგან წარმოშობილი ცხოველური წარმოშობის პროდუქტის გადაადგილებისთვის, იმ პირობით, რომ:

ა) არსებობს სააგენტოს მიერ ავტორიზებული რისკის შემამცირებელი ალტერნატიული ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნას, რომ ეს გადაადგილება არ წარმოადგენდეს სიით განსაზღვრული დაავადებების გავრცელების რისკს;

ბ) ასეთი პროდუქტების ტვირთები მიკვლევადია.

3. ბიზნესოპერატორმა უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა უზრუნველყოს, რომ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ცხოველის ჯანმრთელობის სერტიფიკატი თან ახლდეს ცხოველური წარმოშობის სურსათს მათი წარმოშობის ადგილიდან დანიშნულების ადგილამდე.

4. სააგენტომ, დაინტერესებული ბიზნესოპერატორის მოთხოვნის საფუძველზე უნდა გასცეს ცხოველთა ჯანმრთელობის სერტიფიკატი ცხოველური წარმოშობის სურსათის გადაადგილებისათვის, გარდა წყლის ცოცხალი ცხოველებისა, ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, იმ პირობით, რომ დაცული იქნება ამ მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი მოთხოვნები.

5. ამ წესის 156-ე, 157-ე-159-ე მუხლებისა, 158-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა იქნეს გამოყენებული ცხოველური წარმოშობის პროდუქტის გადაადგილებასთან დაკავშირებულ ცხოველის ჯანმრთელობის სერტიფიკატზე, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული წყლის ცოცხალი ცხოველისა.

მუხლი 163. ცხოველის ჯანმრთელობის სერტიფიკატის შინაარსი

1. წყლის ცხოველისაგან მიღებული ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ცხოველთა ჯანმრთელობის სერტიფიკატი, გარდა წყლის ცოცხალი ცხოველისა, უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, შემდეგ ინფორმაციას:

ა) წარმოშობის საწარმოს ან ადგილის, დანიშნულების საწარმოს ან ადგილის შესახებ;

ბ) ცხოველური წარმოშობის პროდუქტის აღწერის შესახებ;

გ) ცხოველური წარმოშობის პროდუქტის რაოდენობის (რიცხვი, მოცულობა ან წონა) შესახებ;

დ) ამ წესის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის ან ამ წესის 54-ე მუხლის მე-3 პუნქტის

შესაბამისად მოთხოვნილი, ცხოველური წარმოშობის პროდუქტის იდენტიფიკაციის შესახებ;
ე) მონაცემებს ცხოველური წარმოშობის პროდუქტების, ამ წესის 161-ე მუხლის მე-2 და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ, გადაადგილების შეზღუდვასთან დაკავშირებულ შესაბამის მოთხოვნებთან

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ცხოველის ჯანმრთელობის სერთიფიკატი შეიძლება მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნილ სხვა ინფორმაციასაც.

თავი XXV

ცხოველთა სხვა სახეობები, გარდა ხმელეთის და წყლის ცხოველებისა, და ამ ცხოველებისაგან მიღებული გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტები

მუხლი 164. ცხოველის ჯანმრთელობის მოთხოვნები სხვა ცხოველებთან და ამ ცხოველებისაგან მიღებულ გასამრავლებელ (გენეტიკურ) მასალასთან და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებთან დაკავშირებით

თუ სხვა ცხოველები არიან ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადებებისთვის სიით განსაზღვრული სახეობები და ამ სხვა ცხოველების გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტი წარმოადგენს რისკს ადამიანთა და ცხოველთა ჯანმრთელობისთვის, გამოყენებული უნდა იქნას ერთი ან მეტი შემდეგი მოთხოვნა:

ა) ამ წესის 71-ე-84-ე და 122-ე-124-ე მუხლების შესაბამისად განსაზღვრული საწარმოსა და გადამზიდავების რეგისტრაციასთან/ავტორიზაციასთან, აღიარებასთან, ჩანაწერებისა და რეესტრის წარმოებასთან დაკავშირებული მოთხოვნები;

ბ) ამ წესის 90-ე-93-ე და 99-ე მუხლებით განსაზღვრული მიკვლევადობასთან დაკავშირებული მოთხოვნები სხვა ცხოველებისთვის და ამ წესის 101-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალისთვის;

გ) გადაადგილებასთან დაკავშირებული მოთხოვნები:
გ.ა) ძირითადად ხმელეთის ცხოველებთან მობინადრე ან მათ დაავადებებზე ზეგავლენის ქვეშ

მყოფ სხვა ცხოველებთან დაკავშირებით გათვალისწინებული უნდა იყოს ამ წესის 102-ე და 103-ე მუხლებით , 113-ე-116-ე მუხლებით განსაზღვრული მოთხოვნები;

გ.ბ) ძირითადად წყლის ცხოველებთან ან წყლის ცხოველების დაავადებებთან ზეგავლენის ქვეშ მყოფ სხვა ცხოველებთან დაკავშირებით გათვალისწინებული უნდა იყოს ამ წესის 138-ე-152-ე მუხლებით განსაზღვრული მოთხოვნები;

გ.გ) გასამრავლებელ (გენეტიკურ) მასალასთან დაკავშირებით, ამ წესის 117-ე და 118-ე მუხლებით განსაზღვრული გადაადგილებასთან დაკავშირებული ზოგადი მოთხოვნები;

გ.დ) ცხოველური წარმოშობის პროდუქტებთან დაკავშირებით ცხოველთა ჯანმრთელობის ზოგადი ვალდებულებები, რომლებიც ეკისრება ბიზნესოპერატორს ამ წესის 120-ე და 161-ე მუხლებით განსაზღვრული ცხოველური წარმოშობის პროდუქტის საქართველოში წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის თვალსაზრისით;

დ) ცხოველთა ჯანმრთელობის სერტიფიკატის/გადაადგილების დოკუმენტის/ავტორიზაციის წარმოდგენის ვალდებულება, რომელიც ეკისრება ბიზნესოპერატორს და სააგენტოს და დეკლარაციის ვალდებულება, რომელიც ეკისრება ბიზნესოპერატორს:

დ.ა) სხვა ცხოველებთან დაკავშირებით, ამ წესის 116-ე მუხლით ან ამ წესის 153-ე-160-ე მუხლების შესაბამისად;

დ.ბ) ცხოველური წარმოშობის პროდუქტთან დაკავშირებით, ამ წესის 121-ე ან ამ წესის 162-ე და 163-ე მუხლებით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

თავი XXVI

ცხოველების, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების სხვა ქვეყნიდან ან ტერიტორიიდან საქართველოში შემოსვლა

მუხლი 165. სხვა ქვეყნიდან საქართველოში ცხოველების, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტის შემოსვლასთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. ცხოველების, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტის ტვირთის საქართველოში შემოსვლა სხვა ქვეყნიდან ან ტერიტორიიდან დასაშვებია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ტვირთი აკმაყოფილებს ამ პუნქტით

განსაზღვრულ მოთხოვნებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ცხოველი, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალა ან ცხოველური წარმოშობის პროდუქტი ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ გამონაკლისს:

ა) ტვირთი წარმოშობილია ამ წესის 166-ე მუხლის შესაბამისად კონკრეტული სახეობისა და კატეგორიის ცხოველისთვის ან გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალისთვის ან შესაბამისი ცხოველური წარმოშობის პროდუქტისთვის სიით განსაზღვრული სხვა ქვეყნიდან ან ტერიტორიიდან ან მისი ზონიდან ან კომპარტმენტიდან;

ბ) ტვირთი წარმოშობილია აღიარებული და სიაში შეტანილი საწარმოდან, როდესაც ამ წესის 169-ე მუხლის შესაბამისად მოითხოვება აღიარება და სიაში შეტანა;

გ) ტვირთი აკმაყოფილებს ცხოველისთვის, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალისთვის ან შესაბამისი ცხოველური წარმოშობის პროდუქტისთვის საქართველოში შემოსვლისთვის საჭირო ამ წესის 170-ე მუხლით საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ჯანმრთელობის მოთხოვნებს;

დ) ტვირთს თან ახლავს ამ წესის 171-ე მუხლის პირველი პუნქტის ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ცხოველის ჯანმრთელობის სერტიფიკატი და დეკლარაცია და სხვა დოკუმენტები, როდესაც მოითხოვება.

2. ბიზნესოპერატორმა, რომელიც პასუხისმგებელია მოცემული ტვირთის სხვა ქვეყნიდან ან ტერიტორიიდან საქართველოში შემოტანაზე, უნდა წარადგინოს ცხოველის, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტის ტვირთი სახელმწიფო კონტროლისთვის „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლისა და სხვა ოფიციალური საქმიანობის განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 იანვრის №24 დადგენილების 47-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 166. სიით განსაზღვრული სხვა ქვეყნისა და ტერიტორიების ჩამონათვალი, საიდანაც დაშვებულია ცხოველის, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტის საქართველოში შემოსვლა

1. სააგენტო ვალდებულია შეადგინოს სხვა ქვეყნისა და ტერიტორიების სია, საიდანაც დასაშვებია საქართველოში კონკრეტული სახეობისა და კატეგორიის ცხოველის, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტის

შემოსვლა შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

ა) შესაბამისი სხვა ქვეყნის ან ტერიტორიის ცხოველის ჯანმრთელობის კანონმდებლობა და სხვა ქვეყნიდან და ტერიტორიიდან ცხოველის, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტის ამ სხვა ქვეყანაში ან ტერიტორიაზე შესვლის წესები;

ბ) შესაბამისი სხვა ქვეყნის ან ტერიტორიის კომპეტენტური ორგანოს მიერ მოწოდებული გარანტიები ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ცხოველთა ჯანმრთელობის შესახებ კანონმდებლობის ეფექტიან განხორციელებასა და კონტროლთან დაკავშირებით;

გ) შესაბამის სხვა ქვეყანაში ან ტერიტორიაზე კომპეტენტური ორგანოს მოწყობა, სტრუქტურა, რესურსები და სამართლებრივი უფლებამოსილებები;

დ) ცხოველის ჯანმრთელობის სერტიფიცირების პროცედურები შესაბამის სხვა ქვეყანაში ან ტერიტორიაზე;

ე) შესაბამისი სხვა ქვეყნის ან ტერიტორიის, ან მისი ზონისა და კომპარტმენტის ცხოველის ჯანმრთელობის სტატუსი შემდეგთან დაკავშირებით:

ე.ა) ჩამოთვლილი დაავადებები და ახალაღმოცენებადი დაავადებები;

ე.ბ) ცხოველის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ნებისმიერი ასპექტი ან გარემოსდაცვითი სიტუაცია შესაბამის სხვა ქვეყანაში ან ტერიტორიაზე, ან მის ზონაში ან კომპარტმენტში, რამაც შეიძლება რისკი შეუქმნას საქართველოში ცხოველის, საზოგადოების ჯანმრთელობას ან ქვეყნის გარემოსდაცვით სტატუსს/მდგომარეობას;

ვ) გარანტიები, რომელიც შეიძლება უზრუნველყოს შესაბამისი სხვა ქვეყნის ან ტერიტორიის კომპეტენტურმა ორგანომ თავის ქვეყანაში გამოყენებულ ცხოველის ჯანმრთელობის მოთხოვნების შესაბამისობასა ან ეკვივალენტობასთან დაკავშირებით;

ზ) რეგულარულობა და სიჩქარე, რომლითაც სხვა ქვეყანა ან ტერიტორია ინფორმაციას აწვდის ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციას (WOAH) ცხოველთა ინფექციური ან გადამდები დაავადებების შესახებ მის ტერიტორიაზე, კერძოდ ინფორმაციას WOAH-ის კოდექსში ჩამოთვლილ დაავადებებთან დაკავშირებით;

თ) სააგენტოს მიერ განხორციელებული კონტროლის შედეგები შესაბამის სხვა ქვეყანაში ან ტერიტორიაზე;

ი) ცხოველის, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალისა და ცხოველური წარმოშობის

პროდუქტის შესაბამისი სხვა ქვეყნიდან ან ტერიტორიიდან შემოყვანა/შემოტანიდან მიღებული ნებისმიერი გამოცდილება, და ამ ცხოველებზე, გასამრავლებელ (გენეტიკურ) მასალასა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე საქართველოში შესვლის პუნქტში განხორციელებული სახელმწიფო კონტროლის შედეგები.

2. ამ მუხლის მე-პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტით განსაზღვრული კონტროლის განხორციელების გარეშე ცხოველის, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტის ავტორიზებული ქვეყნების, მისი ტერიტორიისა და ექსპორტიორი საწარმოების სიებში შეტანა ხდება იმ შემთხვევაში, თუ :

ა) წარმოშობილია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, ევროპის ეკონომიკური ზონის ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიის თანამეგობრობაში, ახალ ზელანდიაში, შვეიცარიის კონფედერაციასა და ისრაელის სახელმწიფოში;

ბ) წარმოშობილია საწარმოებში, რომელთა ნუსხა, დამაკმაყოფილებელი ჯანმრთელობის გარანტიების საფუძველზე, დამტკიცებულია ევროკომისიის სამართლებრივი აქტით (ევროკომისიის ვებგვერდზე მითითებული ქვეყნებისა და პროდუქციის ჩამონათვალის გათვალისწინებით).

მუხლი 167. სხვა ქვეყნისა და ტერიტორიის შესახებ სიაში შესატანი ინფორმაცია

სააგენტომ ამ წესის 166-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სიაში შეტანილი თითოეული სხვა ქვეყნის ან ტერიტორიისთვის უნდა მიუთითოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) ცხოველთა სახეობები და კატეგორიები, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალა ან ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, რომელთა საქართველოში შემოსვლა სხვა ქვეყნიდან ან ტერიტორიიდან შეიძლება განხორციელდეს;

ბ) თუ ამ მუხლის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული ცხოველის, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის ან ცხოველური წარმოშობის პროდუქტის საქართველოში სხვა ქვეყნის მთლიანი ტერიტორიიდან, ტერიტორიიდან ან მხოლოდ ერთი ან მეტი ზონიდან ან კომპარტმენტიდან შემოსვლის შესაძლებლობის შესახებ;

გ) სპეციფიკური პირობები და ცხოველთა ჯანმრთელობის გარანტიები სიით განსაზღვრულ დაავადებებთან დაკავშირებით.

მუხლი 168. სხვა ქვეყნის და ტერიტორიის სიიდან ამოღება ან შეჩერება

1. სააგენტომ ამ წესის 166-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრული სიიდან უნდა ამოიღოს ქვეყანა ან ტერიტორია, ან დროებით შეაჩეროს ცხოველის, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის ან ცხოველური წარმოშობის პროდუქტის სხვა ქვეყნიდან, ტერიტორიიდან, ზონიდან ან კომპარტმენტიდან ქვეყანაში შემოსვლა, ამ პუნქტით განსაზღვრული ერთი ან მეტი მიზეზის გამო:

ა) შესაბამისი სხვა ქვეყანა ან ტერიტორია, ან მისი ერთი ან მეტი ზონა ან კომპარტმენტი, აღარ შეესაბამება ამ წესის 166-ე მუხლის განსაზღვრულ კრიტერიუმებს, სადაც საჭიროა ცხოველთა კონკრეტული სახეობისა და კატეგორიის, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალისა თუ ცხოველური წარმოშობის პროდუქტის ქვეყანაში შემოსვლა;

ბ) ცხოველთა ჯანმრთელობის მდგომარეობა შესაბამის სხვა ქვეყანაში ან ტერიტორიაზე, ან მის ზონაში ან კომპარტმენტში, არის ისეთი, რომ სიიდან ამოღება ან შეჩერება აუცილებელია ქვეყნის ცხოველთა ჯანმრთელობის მდგომარეობის დასაცავად;

გ) სააგენტომ შესაბამის სხვა ქვეყანას ან ტერიტორიას მოსთხოვა უახლესი ინფორმაციის მიწოდება ცხოველთა ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ამ წესის 166-ე მუხლით განსაზღვრული სხვა საკითხების შესახებ და სხვა ქვეყანამ ან ტერიტორიამ არ მიაწოდა ასეთი ინფორმაცია;

დ) სხვა ქვეყანამ ან ტერიტორიამ უარი თქვა ინსპექტირების ჩატარებაზე, რომელსაც საქართველო ახორციელებს მის ტერიტორიაზე.

2. გადაუდებელი აუცილებლობისას, სათანადოდ დასაბუთებულ საფუძველზე, რომელიც დაკავშირებულია ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადების ქვეყანაში შემოტანის/შემოჭრის სერიოზულ საფრთხესთან, სააგენტო იღებს კანონმდებლობით განსაზღვრულ დაუყოვნებლივ ზომებს.

3. სააგენტოს შეუძლია ამ წესის 166-ე მუხლის შესაბამისად სიით განსაზღვრულ სიებში აღადგინოს ამ სიიდან ამოღებული სხვა ქვეყანა ან ტერიტორია, ან მისი ზონა თუ კომპარტმენტი, ან ხელახლა დაუშვას ცხოველების, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის ან ცხოველური წარმოშობის პროდუქტის საქართველოში შემოსვლა სხვა ქვეყნიდან ან ტერიტორიიდან, ან მისი ზონიდან თუ კომპარტმენტიდან, საიდანაც საქართველოში შემოსვლა შეჩერდა ერთ-ერთი შემდეგი მიზეზით:

ა) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ან „გ“ ქვეპუნქტებში მითითებული მიზეზით, იმ პირობით, თუ შესაბამისი სხვა ქვეყანა ან ტერიტორია აჩვენებს, რომ შესაბამისობაშია ამ წესის 166-ე

მუხლით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან;

ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მიზეზის გამო, იმ პირობით, რომ თუ შესაბამისი სხვა ქვეყანა ან ტერიტორია უზრუნველყოფს შესაბამის გარანტიებს, რომ ცხოველთა ჯანმრთელობის მდგომარეობა, რამაც გამოიწვია დროებითი შეჩერება ან სიიდან ამოღება, მოგვარებულია ან აღარ წარმოადგენს საფრთხეს ცხოველთა ან საზოგადოების ჯანმრთელობისათვის კავშირის ფარგლებში;

გ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მიზეზით, იმ პირობით რომ:

გ.ა) შესაბამისი სხვა ქვეყანა ან ტერიტორია დათანხმდა სააგენტოს მიერ ინსპექტირების განხორციელებას მის ტერიტორიაზე;

გ.ბ) ინსპექტირების შედეგები აჩვენებს, რომ შესაბამისი სხვა ქვეყანა ან ტერიტორია და მისი ზონა ან კომპარტმენტი შეესაბამება ამ წესის 166-ე მუხლით განსაზღვრული ჩამონათვალის კრიტერიუმებს.

მუხლი 169. სხვა ქვეყანაში და ტერიტორიაზე არსებული საწარმოს აღიარება და სიაში შეტანა

1. სააგენტომ იმ ტიპის საწარმოდან წარმოშობილი ხმელეთის ცხოველების და მათი გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის ქვეყანაში შემოსვლა უნდა დაუშვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი წარმოშობის საწარმო სხვა ქვეყანაში ან ტერიტორიაზე:

ა) აკმაყოფილებს ცხოველთა ჯანმრთელობის მოთხოვნებს ამ სხვა ქვეყანაში ან ტერიტორიაზე, რომლებიც ექვივალენტურია საქართველოში ამ ტიპის საწარმოზე მოქმედი წესების;

ბ) აღიარებულია და სიაში შეტანილია სხვა ქვეყნის ან ტერიტორიის კომპეტენტური ორგანოს მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ სხვა ქვეყანაში ან ტერიტორიაზე მოქმედი რისკის შემამცირებელი ალტერნატიული ზომები იძლევა ცხოველთა ჯანმრთელობის ექვივალენტურ გარანტიებს საქართველოსთვის.

2. სააგენტომ უნდა შეაგროვოს შესაბამისი სხვა ქვეყნის ან ტერიტორიის კომპეტენტური ორგანოდან მიღებული, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული აღიარებული საწარმოების სია.

3. სააგენტო ვალდებულია შესაბამისი სხვა ქვეყნიდან ან ტერიტორიიდან მიღებული აღიარებული საწარმოების განახლებული სია გამოაქვეყნოს საჯაროდ.

მუხლი 170. ცხოველთა ჯანმრთელობის მოთხოვნები გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტის, ცხოველის სახეობისა და კატეგორიის საქართველოში შემოსვლისთვის.

1. ცხოველის ჯანმრთელობის მოთხოვნები სხვა ქვეყნიდან და ტერიტორიიდან გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის, ცხოველური წარმოშობის პროდუქტის და ცხოველის სახეობისა და კატეგორიის საქართველოში შემოსვლისთვის უნდა იყოს:

ა) როგორც საქართველოს ფარგლებში ცხოველის სახეობებისა და კატეგორიების, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის ან ცხოველური წარმოშობის პროდუქტის გადაადგილებასთან დაკავშირებით გამოყენებული ამ წესის შესაბამისად განსაზღვრული ცხოველის ჯანმრთელობის მოთხოვნები, ან ამ საკითხებთან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები;

ბ) ცხოველის ჯანმრთელობის მოთხოვნებთან დაკავშირებული ექვივალენტობის გარანტია, ამ წესის 71-ე-164-ე მუხლებით განსაზღვრული მოთხოვნები, რომლებიც გამოიყენება ცხოველთა სახეობებსა და კატეგორიებზე, გასამრავლებელ (გენეტიკურ) მასალაზე ან ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე.

2. ცხოველთა ჯანმრთელობის მოთხოვნები სხვა ქვეყნიდან ან ტერიტორიიდან ცხოველთა სახეობებისა და კატეგორიების, გასამრავლებელი (გენეტიკურ) მასალაზე ან ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებით განსაზღვრულია ,,საქართველოში ზოგიერთი ცხოველის, გასამარავლებელი (გენეტიკური) მასალისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტის ტვირთის შემოსვლისა და შემოსვლის შემდეგ გადაადგილებისა და ჰენდლინგის წესის დამტკიცების შესახებ“- საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 171. ცხოველის ჯანმრთელობის სერტიფიკატი, დეკლარაცია და საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები

1. ცხოველის, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტის საქართველოში შემოსვლა დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთ ტვირთებს თან ახლავს ერთი ან ორივე შემდეგი დოკუმენტი:

ა) წარმოშობის ქვეყნის ან ტერიტორიის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცხოველთა

ჯანმრთელობის სერტიფიკატი, გარდა ,,საქართველოში ზოგიერთი ცხოველის, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტის ტვირთის შემოსვლისა და შემოსვლის შემდეგ გადაადგილებისა და ჰენდლინგის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული გამონაკლისებისა;

ბ) დეკლარაციები ან სხვა დოკუმენტები ,,საქართველოში ზოგიერთი ცხოველის, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტის ტვირთის შემოსვლისა და შემოსვლის შემდეგ გადაადგილებისა და ჰენდლინგის წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად განსაზღვრულ სიტუაციაში.

2. დაუშვებელია საქართველოში იმ ცხოველის, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტის შემოსვლა, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ცხოველის ჯანმრთელობის სერტიფიკატი არ არის სხვა ქვეყნის ან ტერიტორიის სახელმწიფო ვეტერინარის მიერ დამოწმებული და ხელმოწერილი ამ წესის 158-ე მუხლის მე-3-მე-6 პუნქტებით განსაზღვრულ სერტიფიცირებასთან დაკავშირებული ექვივალენტური მოთხოვნების შესაბამისად.

3. დასაშვებია ცხოველის ჯანმრთელობის ელექტრონულმა სერტიფიკატმა ჩაანაცვლოს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ცხოველის თანმხლები ჯანმრთელობის სერტიფიკატი, იმ შემთხვევაში, თუ ცხოველთა ჯანმრთელობის ელექტრონული სერტიფიკატი:

ა) შეიცავს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული ცხოველის ჯანმრთელობის სერტიფიკატში არსებულ ყველა ინფორმაციას, ამ წესის 172-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) უზრუნველყოფს ცხოველის, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალისა და შესაბამისი ცხოველური წარმოშობის პროდუქტის მიკვლევადობას და ტვირთის ცხოველთა ჯანმრთელობის ელექტრონულ სერტიფიკატთან კავშირს.

მუხლი 172. ცხოველის ჯანმრთელობის სერტიფიკატის შინაარსი

1. ამ წესის 171-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ცხოველის ჯანმრთელობის სერტიფიკატი უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ ინფორმაციას:

ა) სახელი და მისამართი:

ა.ა) წარმოშობის საწარმოს ან ადგილის;

ა.ბ) დანიშნულების საწარმოს ან ადგილის;

ა.გ) საჭიროების შემთხვევაში, შენახული ცხოველის შემკრები ოპერაციების ან მოსასვენებლი საწარმოსი;

ბ) შესაბამისი ცხოველის, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის ან ცხოველური წარმოშობის პროდუქტის აღწერა;

გ) შესაბამისი ცხოველის, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის ან ცხოველური წარმოშობის პროდუქტის რაოდენობა ან მოცულობა;

დ) საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ცხოველის, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალის ან ცხოველური წარმოშობის პროდუქტის იდენტიფიკაცია და რეგისტრაცია;

ე) ინფორმაცია, რომელიც საჭიროა იმის დასადასტურებლად, რომ შესაბამისი ცხოველი, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტი აკმაყოფილებს ამ წესის 165-ე მუხლითა და ამ წესის 170-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრულ საქართველოში შემოსვლისთვის ცხოველთა ჯანმრთელობის მოთხოვნებს.

2. ამ წესის 171-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ცხოველის ჯანმრთელობის სერტიფიკატი შეიძლება შეიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნილ სხვა ინფორმაციასაც.

თავი XXVII

ზოგიერთი ტიპის ტვირთის, გარდა ცხოველისა, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტისა, სხვა ქვეყნიდან და ტერიტორიიდან საქართველოში შემოსვლა

მუხლი 173. დაავადების გადამტანი აგენტები

1. ბიზნესოპერატორი, ვეტერინარი, წყლის ცხოველის ჯანმრთელობის სპეციალისტი და ცხოველის სპეციალისტი, რომელთაც საქართველოში შემოაქვთ დაავადების გადამტანი აგენტები, ვალდებული არიან:

ა) მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყოს, რომ ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში სიით განსაზღვრულ და ახალაღმოცენებად დაავადებებთან დაკავშირებით, დაავადების გამომწვევი აგენტის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანამ

საფრთხე არ შეუქმნას ცხოველთა ჯანმრთელობას ან საზოგადოების ჯანმრთელობას ქვეყნის ფარგლებში;

ბ) მიღოს შესაბამისი დაავადების კონტროლისა და პრევენციული ზომები, რათა უზრუნველყოს, რომ დაავადების აგენტების ქვეყანაში შემოტანა არ წარმოადგენს ბიოტერორიზმის რისკს.

2. ამ მუხლი პირველი პუნქტი ასევე ვრცელდება ნებისმიერი სხვა ამგვარი აგენტების ქვეყანაში შემომტან ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე.

მუხლი 174. მცენარეული მასალები

სააგენტომ უნდა მიიღოს ზომები, რათა შეზღუდოს ქვეყანაში მცენარეული მასალის ტვირთის შემოსვლა იმ შემთხვევაში, თუ სხვა ქვეყანაში ან ტერიტორიაზე ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში სიით განსაზღვრულ დაავადებებთან ან ახალაღმოცენებად დაავადებებთან მიმართებით არსებობს არახელსაყრელი ვითარება.

მუხლი 175. სატრანსპორტო საშუალება, აღჭურვილობა, შესაფუთი მასალა, სატრანსპორტო წყალი, ცხოველის საკვები და ფურაჟი

ბიზნესოპერატორი, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე შემოჰყავს ცხოველები და შემოაქვს პროდუქტები, ვალდებულია ტრანსპორტირებისას ამ წესის 103-ე მუხლისა და 139-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად განახორციელონ დაავადებათა პრევენციის შესაბამისი და აუცილებელი ზომები.

თავი XXVIII

ექსპორტი

მუხლი 176. ექსპორტი

1. სააგენტომ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ცხოველისა და პროდუქტის ექსპორტი და რეექსპორტი სხვა ქვეყანაში ან ტერიტორიაზე განხორციელდეს ამ წესის 71-ე-164-ე მუხლებით განსაზღვრული ცხოველისა და პროდუქტის გადაადგილების წესების შესაბამისად, ასევე, მხედველობაში მიიღება ცხოველთა ჯანმრთელობის სტატუსი დანიშნულების ქვეყანაში ან ტერიტორიაზე, ან მის შესაბამის ზონასა თუ კომპარტმენტში ამ წესის მე-9 მუხლის ,,დ“ ქვეპუნქტში მითითებულ სიით განსაზღვრული და ასევე, ახალაღმოცენებად დაავადებებთან დაკავშირებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტიდან გამონაკლისის სახით, თუ ამას მოითხოვს სხვა ქვეყნის ან ტერიტორიის (საიდანაც ხორციელდება შესაბამისი ცხოველისა და პროდუქტის იმპორტი) კომპეტენტური ორგანო, ან თუ ეს დადგენილია ამ სხვა ქვეყანაში ან ტერიტორიაზე მოქმედი სამართლებრივი და ადმინისტრაციული პროცედურებით, საქართველოდან ექსპორტი და რეექსპორტი შეიძლება განხორციელდეს ამ სხვა ქვეყანაში ან ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, იმ პირობით, რომ ასეთი ექსპორტი ან რეექსპორტი საფრთხეს არ შეუქმნის საზოგადოების ან ცხოველთა ჯანმრთელობას.

3. როდესაც საქართველოსა და სხვა ქვეყანას ან ტერიტორიას შორის დადებული ორმხრივი შეთანხმებით მოქმედებს გარკვეული დებულებები, საქართველოდან ამ სხვა ქვეყანაში ან ტერიტორიაზე ექსპორტირებული ცხოველისა და პროდუქტის ტვირთი უნდა შეესაბამებოდეს ამ დებულებებს.

თავი XXIX

შინაური ბინადარი ცხოველების არაკომერციული გადაადგილება სხვა ქვეყნიდან ან ტერიტორიიდან

მუხლი 177. ზოგადი მოთხოვნები

1. შინაური ბინადარი ცხოველების არაკომერციული გადაადგილება, რომელიც აკმაყოფილებს ამ თავით დადგენილ ცხოველთა ჯანმრთელობის მოთხოვნებს, არ უნდა აიკრძალოს, შეიზღუდოს ან შეფერხდეს ცხოველთა ჯანმრთელობის მიზეზების გამო, გარდა ამ თავის გამოყენების შედეგად წარმოშობილი მიზეზებისა.

2. თუ შინაური ბინადარი ცხოველების არაკომერციული გადაადგილება ხორციელდება ავტორიზებული პირის მიერ, ეს შეიძლება განხორციელდეს შინაური ბინადარი ცხოველის მფლობელისაგან წამოყვანიდან ხუთი დღის განმავლობაში.

3. შინაური ბინადარი ცხოველების არაკომერციული გადაადგილება ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად

მუხლი 178. შინაური ბინადარი ცხოველების მაქსიმალური რაოდენობა

1. ამ წესის დანართი N1-ის A ნაწილში ჩამოთვლილი სახეობების შინაური ბინადარი ცხოველების რაოდენობა, რომელთა გადაადგილება შესაძლებელია ერთი არაკომერციული

გადაადგილების დროს, არ უნდა აღემატებოდეს ხუთს, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზრვრული შემთხვევისა

2. ამ წესის დანართი N1-ის A ნაწილში ჩამოთვლილი სახეობების შინაური ბინადარი ცხოველების რაოდენობა შეიძლება აღემატებოდეს ხუთს, თუ:

ა) არაკომერციული ტვირთი განკუთვნილია შეჯიბრებაში, გამოფენაში ან სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობისათვის ან ამგვარი ღონისძიების სწავლების/მომზადებისათვის;

ბ) შინაური ბინადარი ცხოველის მფლობელი ან შესაბამისი ავტორიზებული პირი წარადგენს წერილობით მტკიცებულებას იმის შესახებ, რომ შინაური ბინადარი ცხოველი რეგისტრირებულია ამ პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტში განსაზღვრულ ღონისძიებაზე დასასწრებად, ან რეგისტრირებულია ასოციაციაში, რომელიც ახორციელებს ასეთ ღონისძიებებს;

გ) შინაური ბინადარი ცხოველების ასაკი ექვს თვეზე მეტია.

მუხლი 179. პირობები, რომელიც ვრცელდება ამ წესის დანართი N1-ის A ნაწილით განსაზღვრული შინაური ბინადარი ცხოველების სახეობების არაკომერციული მიზნით გადაადგილებაზე

1.ამ წესის დანართ N1-ის A ნაწილში განსაზღვრული შინაური ბინადარი ცხოველების სახეობები საქართველოში სხვა ქვეყნიდან ან ტერიტორიიდან ვერ გადაადგილდება (შემოვა), თუ:

ა) ისინი არ არიან ინდივიდუალურად იდენტიფიცირებული იდენტიფიკაციის საშუალებით;

ბ) ისინი არ აკმაყოფილებენ პრევენციისა და რისკის შემამსუბუქებელ ღონისძიებებს ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტში მითითებული სიით განსაზღვრულ დაავადებებთან დაკავშირებით;

გ) მათ თან არ ახლავთ სათანადოდ შევსებული იდენტიფიკაციის დოკუმენტი.

2. ამ წესის დანართი N1-ის A ნაწილში ჩამოთვლილი სახეობის შინაური ბინადარი ცხოველები შეიძლება შემოვიდნენ სხვა ქვეყნიდან ან ტერიტორიიდან, გარდა სააგენტოს მიერ სიით განსაზღვრული ქვეყნებისა, თუმცა, შესვლა შეუძლიათ-მხოლოდ ამ მიზნით განსაზღვრული გამშვები პუნქტიდან. შემოსავლების სამსახური ადგენს შესაბამისი გამშვები პუნქტების სიას და ასაჯაროებს მას.

მუხლი 180. პირობები, რომელიც ვრცელდება ამ წესის დანართში N1, B ნაწილში ჩამოთვლილი შინაური ბინადარი ცხოველების სახეობების არაკომერციულ გადაადგილებაზე

1. ამ წესის დანართი N1-ის B ნაწილში ჩამოთვლილი ერთ-ერთი სახეობის შინაური ბინადარი ცხოველების არაკომერციული გადაადგილება სხვა ქვეყნიდან ან ტერიტორიიდან უნდა შეესაბამებოდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტში დადგენილ პირობებს.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული სახეობის შინაური ბინადარი ცხოველები დასაშვებია შემოვიდეს საქართველოში სხვა ქვეყნიდან ან ტერიტორიიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ისინი იდენტიფიცირებულია ან აღწერილია, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად;

ბ) ისინი აკმაყოფილებენ პრევენციისა და რისკის შემამსუბუქებელ შესაბამის ზომებს, ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში მითითებულ სიით განსაზღვრულ დაავადებებთან დაკავშირებით;

გ) მათ თან ახლავთ სათანადოდ შევსებული და გაცემული იდენტიფიკაციის დოკუმენტი;

დ) როდესაც ცხოველების გადაადგილება ხდება სხვა ქვეყნიდან ან ტერიტორიიდან, გარდა სააგენტოს მიერ სიით განსაზღვრული ქვეყნებისა, ქვეყანაში შემოსვლა შეუძლიათ მხოლოდ ამ მიზნით განსაზღვრული გამშვები პუნქტიდან. შემოსავლების სამსახური ადგენს შესაბამისი გამშვები პუნქტების სიას და ასაჯაროებს მას.

მუხლი 181. ინფორმაციასთან დაკავშირებული ვალდებულებები

სააგენტო ვალდებულია საზოგადოებას მიაწოდოს მკაფიო და ადვილად ხელმისაწვდომი ინფორმაცია ცხოველის ჯანმრთელობის მოთხოვნების შესახებ, რომელიც გამოიყენება შინაური ბინადარი ცხოველის არაკომერციული გადაადგილებისთვის.

თავი XX

საგანგებო ზომები ცხოველისა და პროდუქტის საქართველოში გადაადგილებასთან და ამგვარ ცხოველთან და პროდუქტთან შესაძლო კონტაქტში მყოფ მასალასთან და სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებით

მუხლი 182. საგანგებო ზომები, რომელიც უნდა განახორციელოს სააგენტომ ქვეყანაში სიით განსაზღვრული ან ახალაღმოცენებადი დაავადების აფეთქების ან საფრთხის არსებობის შემთხვევაში

1. თუ ადგილი აქვს სიით განსაზღვრული დაავადების ან ახალაღმოცენებადი დაავადების აფეთქებას, ან ჩნდება სერიოზული საფრთხე, რომელიც, სავარაუდოდ, წარმოადგენს სერიოზულ რისკს ცხოველისა თუ საზოგადოების ჯანმრთელობისთვის, სააგენტო, სიტუაციის სიმძიმის და განსახილველი დაავადების ან საფრთხის მიხედვით, დაუყოვნებლივ განახორციელებს ერთ ან მეტ გადაუდებელ ღონისძიებას, გავრცელების თავიდან ასაცილებლად:

ა) სიით განსაზღვრული დაავადებებისათვის, რომელიც:

ა.ა) განსაზღვრულია ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად - ამ წესის 41-ე-58-ე მუხლებით განსაზღვრული დაავადების კონტროლის ზომებს;

ა.ბ) განსაზღვრულია ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად - ამ წესის 59-ე-62-ე 64-ე-68-ე მუხლების შესაბამისად განსაზღვრული დაავადების კონტროლის ზომებს;

ა.გ) განსაზღვრულია ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად - ამ წესის 63-ე-65-ე, 67-ე და 69-ე მუხლების შესაბამისად განსაზღვრული დაავადების კონტროლის ზომებს.

ბ) ახალაღმოცენებადი დაავადებებისა და საფრთხეებისთვის:

ბ.ა) შეზღუდვებს საწარმოდან ან სადაც საჭიროა, შეზღუდული ზონიდან ან კომპარტმენტიდან (სადაც აფეთქებაა ან საფრთხეა) წარმოშობილი ცხოველისა და პროდუქტის ან ამ ცხოველთან ან პროდუქტთან შესაძლო კონტაქტში მყოფი სატრანსპორტო საშუალების და სხვა მასალის გადაადგილებაზე;

ბ.ბ) ცხოველების კარანტინს და პროდუქტების იზოლაციას;

ბ.გ) ზედამხედველობისა და მიკვლევადობის ღონისძიებებს;

ბ.დ) ამ წესის 41-ე-58-ე მუხლებით განსაზღვრული დაავადების კონტროლის შესაბამის ნებისმიერ გადაუდებელ ღონისძიებას;

2. სააგენტოს შეუძლია გაატაროს ნებისმიერი სხვა გადაუდებელი ღონისძიება, რომელსაც მიზანშეწონილად მიიჩნევს დაავადების ან საფრთხის ეფექტური და ეფექტიანი კონტროლისა და პრევენციის მიზნით.

3. სააგენტოს შეუძლია მიიღოს ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული ზომები ქვეყნის მოსაზღვრე სხვა ქვეყანაში ან ტერიტორიაზე ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტში მითითებული დაავადების ან ასეთ სხვა ქვეყანაში ან ტერიტორიაზე ახალაღმოცენებადი დაავადების აფეთქების შემთხვევაში, იმდენად, რამდენადაც ეს ზომები

აუცილებელია დაავადების საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

4. სააგენტო აცნობებს სამინისტროს დაუყოვნებლივ:

ა), ამ მუხლის შესბამისად ნებისმიერი აფეთქების ან საფრთხის წარმოქმნის შესახებ;

ბ) მის მიერ ამ მუხლის შესაბამისად გატარებულ ნებისმიერი ღონისძიებების შესახებ.

მუხლი 183. საგანგებო ზომები

ამ წესის 182-ე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადების აფეთქებისას ან საფრთხის არსებობისას და სააგენტოს მიერ განხორციელებული გადაუდებელი ზომების შემთხვევაში, სამინისტრო განიხილავს სიტუაციას და გატარებულ საგანგებო ზომებს კონკრეტულ ცხოველთან და პროდუქტთან, ასევე, სატრანსპორტო საშუალებასთან და სხვა მასალასთან (რომელსაც შეიძლება კონტაქტი ჰქონდეს დაავადებულ ცხოველთან ან პროდუქტთან) დაკავშირებით და იღებს ერთ ან მეტ საგანგებო ზომას, რომელიმე შემდეგ შემთხვევაში:

ა) სამინისტრო არ იყო ინფორმირებული ამ წესის 182-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტის შესაბამისად მიღებული ზომების შესახებ;

ბ) სამინისტრო ამ წესის 182-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების მიხედვით გატარებულ ზომებს არასათანადოდ მიიჩნევს;

გ) სამინისტრო საჭიროდ მიიჩნევს დაამტკიცოს ან შეცვალოს სააგენტოს მიერ ამ წესის 182-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების შესაბამისად გატარებული ზომები, რათა თავიდან იქნას აცილებული ცხოველისა და პროდუქტის გადაადგილების დაუსაბუთებელი შეფერხება.

თავი XXI

სხვა ქვეყნიდან და ტერიტორიიდან წარმოშობილ ცხოველისა და პროდუქტის ტვირთთან და ამგვარ ტვირთთან შესაძლო ზეგავლენის ქვეშ მყოფ სატრანსპორტო საშუალებასთან და სხვა მასალასთან დაკავშირებული საგანგებო ზომები

მუხლი 184. კომპეტენტური ორგანოს მიერ გასატარებელი საგანგებო ზომები

როდესაც კომპეტენტური ორგანო მიიღებს შეტყობინებას, რომ სხვა ქვეყნიდან ან ტერიტორიიდან წარმოშობილი ცხოველი ან პროდუქტი, ან ასეთ ცხოველთან და

პროდუქტთან შემხებლობაში მყოფი სატრანსპორტო საშუალება თუ მასალა შესაძლოა იყოს სერიოზული რისკის მატარებელი, რადგან არსებობს სიით განსაზღვრული დაავადების ან ახალაღმოცენებადი დაავადების სწრაფად გავრცელების ალბათობა ქვეყანაში, იგი ვალდებულია:

ა) სიტუაციის სიმძიმის მიხედვით დაუყოვნებლივ განახორციელოს რისკის შესამსუბუქებელი ერთი ან მეტი შემდეგი გადაუდებელი ღონისძიება:

ა.ა) შესაბამისი ცხოველისა და პროდუქტის განადგურება;

ა.ბ) ცხოველის კარანტინი და პროდუქტის იზოლაცია;

ა.გ) ზედამხედველობისა და მიკვლევადობის ღონისძიებები;

ა.დ) ამ წესის 41-ე-58-ე მუხლებით განსაზღვრული დაავადების კონტროლის ნებისმიერი ღონისძიება;

ა.ე) საქართველოში დაავადების ან საფრთხის გავრცელების თავიდან ასაცილებლად კომპეტენტური ორგანოს მიერ მიზანშეწონილად მიჩნეული სხვა საგანგებო ზომები;

ბ) დაუყოვნებლივ აცნობოს შემოსავლების სამსახურმა სააგენტოს შესაბამის ცხოველთან და პროდუქტთან დაკავშირებული რისკის შესახებ და ამ ცხოველისა და პროდუქტის წარმოშობის შესახებ, და დაუყოვნებლივ აცნობოს ამ მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად მიღებული გადაუდებელი ზომების შესახებ.

მუხლი 185. საგანგებო ზომები

თუ სიით განსაზღვრული დაავადება, ახალაღმოცენებადი დაავადება ან საფრთხე, რომელიც სავარაუდოდ წარმოადგენს სერიოზულ რისკს, ჩნდება ან ვრცელდება სხვა ქვეყანაში ან ტერიტორიაზე, ან თუ არსებობს ცხოველის ან საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაზიანების სხვა სერიოზული მიზეზი, შეუძლია სამინისტროს შეიტანოს ცვლილებები ნორმატიულ აქტებში საკუთარი ინიციატივით ან/და კომპეტენტური ორგანოს მოთხოვნით, განახორციელოს ერთი ან მეტი შემდეგი გადაუდებელი ღონისძიება ვითარების სიმძიმიდან გამომდინარე:

ა) შეაჩეროს ქვეყანაში ცხოველისა და პროდუქტის, სატრანსპორტო საშუალების ან სხვა მასალის შემოსვლა, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს შესაძლო კონტაქტი ასეთ ტვირთთან, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ამ დაავადების ან საფრთხის ქვეყანაში გავრცელება;

ბ) დააწესოს სპეციალური მოთხოვნები ქვეყანაში ცხოველისა და პროდუქტის, სატრანსპორტო საშუალებისა და სხვა მასალის შემოსვლისთვის, რომლებიც შეიძლება

შედიოდნენ კონტაქტში ასეთ ცხოველებთან და პროდუქტებთან, რამაც შეიძლება გაავრცელოს ეს დაავადება ან საფრთხე ქვეყანაში;

გ) მიიღოს დაავადების კონტროლის სხვა შესაბამისი ნებისმიერი საგანგებო ზომა, რათა თავიდან აიცილოს ასეთი დაავადების ან საფრთხის გავრცელება საქართველოში.

თავი XXII პასუხისმგებლობა

მუხლი 186. პასუხისმგებლობა

ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევისათვის პირის პასუხისმგებლობა განისაზღვრება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსითა და სხვა კანონებით.

დანართი N1

შინაური ბინადარი ცხოველის სახეობები

ნაწილი A

ძაღლი (*Canis lupus familiaris*)

კატა (*Felis silvestris catus*)

ქრცვინი (*Mustela putorius furo*)

ნაწილი B

უხერხემლოები (გარდა ფუტკრისა, *Mollusca* -ს ტიპის მოლუსკისა, და *Crustacea-ს* ტიპის კიბოსნაირისა)

დეკორატიული წყლის ცხოველები

ამფიბიები

ქვეწარმავლები

ფრინველები: ყველა სახის ფრინველის სახეობა, გარდა გარეული ფრინველისა, ინდაურისა, ციცარისა, იხვისა, ბატისა, მწყერისა, ხოხობისა, გნოლისა და უტროპო ფრინველისა (Ratitae);

ძუძუმწოვრები: მღრღნელი და კურდღელი, გარდა საკვების წარმოებისთვის განკუთვნილისა.

დანართი N2

ცხოველის სიით განსაზღვრული დაავადებები

— მსხვილფეხა საქონლის ჭირი

— რიფტის ცხელება

— ბრუცელოზი (*Brucella abortus*, *B. melitensis* და*B. suis)*

— ტუბერკულოზი (*M. bovis*, *M. caprae* and *M. tuberculosis*)

— *ცოფი*

— *ბლუთანგი (სეროტიპები 1-24)*

— Echinococcus multilocularis-ით ინფიცირება

— ეპიზოოტიური ჰემორაგიული დაავადება

— ჯილეხი

— სუაურუ (Trypanosoma evansi)

— ებოლას ვირუსული დაავადება

— პარატუბერკულოზი

— იაპონური ენცეფალიტი

— დასავლეთ ნილოსის ცხელება

— ქუ-ცხელება

— ნოდულარული დერმატიტი

— მსხვილფეხა საქონლის კონტაგიოზური პერიპნევმონია (Mycoplasma mycoides subsp. mycoides SC)

— მსხვილფეხა საქონლის ინფექციური რინოტრაქეიტი/ინფექციური პუსტულური ვულვოვაგინიტი

— მსხვილფეხა საქონლის ვირუსული დიარეა

— მსხვილფეხა საქონლის გენიტალური კამპილობაქტერიოზი

— ტრიქომონოზი

— მსხვილფეხა საქონლის ენზოოტიური ლეიკოზი

— ცხვრის ყვავილი და თხის ყვავილი

— წვრილფეხა საქონლის ჭირი;

— თხის კონტაგიოზური პლევროპნევმონია

— ცხვრის ეპიდიდიმიტი (Brucella ovis)

— ინფექცია Burkholderia mallei-ით (Glanders)

— ცხენის ვირუსული ართრიტი

— ცხენის ინფექციური ანემია

— დურინი (დაგრილების დაავადება)

— ცხენის ვენესუელური ენცეფალომიელიტი

— ცხენის კონტაგიოზური მეტრიტი

— ცხენის ინფექციური ენცეფალომიელიტი (აღმოსავლეთის და დასავლეთის)

— აუესკის დაავადება

— ღორების ინფექციური რეპროდუქციულ-რესპირატორული სინდრომი

— ნიუკასლის დაავადება

— ფრინველის რესპირატორული მიკოპლაზმოზი (*Mycoplasma gallisepticum and M. Meleagridis*)

— Salmonella Pullorum, S. Gallinarum და S. arizonae-ით დაინფიცირება

— დაბალ პათოგენური ფრინველის გრიპი

— ფრინველის ქლამიდიოზი

— ვაროატოზი (დაინფიცირება Varroa spp)

— Aethina tumida-ით დაინფიცირება (სკის მცირე ხოჭო)

— ამერიკული სიდამპლე

— ტროპილელაფსი (Tropilaelaps spp.-ით დაინფიცირება)

— Batrachochytrium salamandrivorans-ის ინფექცია

— სისხლმბადი ქსოვილის ეპიზოოტიური ნეკროზი

— ვირუსული ჰემორაგიული სეპტიცემია

— სისხლმბადი ქსოვილის ინფექციური ნეკროზი

— ორაგულის ინფექციური ანემია (ჰეპტოგლობინთან დაკავშირებული ცილის (HPR) არ მქონე გენოტიპით)

— კოი ჰერპესის (კობრისებრთა ჰერპესის) ვირუსული დაავადება

— Mikrocytos mackini-ით დაინფიცირება

— Perkinsus marinus-ით დაინფიცირება

— Bonamia ostreae-ით დაინფიცირება

— Bonamia exitiosa დაინფიცირება

— Marteilia refringens-ით დაინფიცირება

— ტაურას სინდრომი

— დაავადება ყვითელი თავი

— თეთრი ლაქიანობა

დანართი N3

ჩლიქოსნების სახეობები

ტაქსონი		
რიგი	ოჯახი	გვარი/სახეობა
Perissodactyla	*Equidae*	*Equus* spp.
	Tapiridae	*Tapirus* spp.
	Rhinoceritidae	*Ceratotherium* spp., *Dicerorhinus* spp., *Diceros* spp., *Rhinoceros* spp.
Artiodactyla	*Antilocapridae*	*Antilocapra* ssp.

Bovidae	*Addax* ssp., *Aepyceros* ssp., *Alcelaphus* ssp., *Ammelaphus* ssp., *Ammo- dorcas* ssp., *Ammotragus* ssp., *Antidorcas* ssp., *Antilope* ssp., *Arbitragus* ssp., *Beatragus* ssp., *Bison* ssp., *Bos* ssp.(including *Bibos, Novibos, Poephagus*), *Boselaphus* ssp., *Bubalus* ssp. (including *Anoa*), *Budorcas* ssp., *Capra* ssp., *Cephalophus* ssp., *Connochaetes* ssp., *Damaliscus* ssp.(including *Beatragus*), *Dorcatragus* ssp., *Eudorcas* ssp., *Gazella* ssp., *Hemitragus* ssp., *Hippotragus* ssp., *Kobus* ssp., *Litocranius* ssp., *Madoqua* ssp., *Naemorhedus* ssp. (including *Nemorhaedus* and *Capricornis*), *Nanger* ssp., *Neotragus* ssp., *Nilgiritragus* ssp., *Oreamnos* ssp., *Oreotragus* ssp., *Oryx* ssp., *Ourebia* ssp., *Ovibos* ssp., *Ovis* ssp., *Pantholops* ssp., *Philantomba* ssp., *Pelea* ssp., *Procapra* ssp., *Pseudois* ssp., *Pseudoryx* ssp., *Raphicerus* ssp., *Redunca* ssp., *Rupicapra* ssp., *Saiga* ssp., *Sigmoceros–Alecelaphus* ssp., *Strepticeros* ssp., *Sylvicapra* ssp., *Syncerus* ssp., *Taurotragus* ssp., *Tetracerus* ssp., *Tragelaphus* ssp. (including *Boocerus*).
Camelidae	*Camelus* ssp., *Lama* ssp., *Vicugna* ssp.
Cervidae	*Alces* ssp., *Axis–Hyelaphus* ssp., *Blastocerus* ssp., *Capreolus* ssp., *Cervus* ssp., *Dama* ssp., *Elaphodus* ssp., *Elaphurus* ssp., *Hippo- camelus* ssp., *Hydropotes* ssp., *Mazama* ssp., *Megamuntiacus* ssp., *Muntiacus* ssp., *Odocoileus* ssp., *Ozotoceros* ssp., *Przewalskium* ssp., *Pudu* ssp., *Rangifer* ssp., *Rucervus* ssp., *Rusa* ssp.
Giraffidae	*Giraffa* ssp., *Okapia* ssp.
Hippopotamidae	*Hexaprotodon–Choeropsis* ssp., *Hippopotamus* ssp.
Moschidae	*Moschus* ssp.

	Suidae	*Babyrousa* ssp., *Hylochoerus* ssp., *Phacochoerus* ssp., *Porcula* ssp., *Potamochoerus* ssp., *Sus* ssp.
	Tayassuidae	*Catagonus* ssp., *Pecari–Tayassu* ssp.
	Tragulidae	*Hyemoschus* ssp., *Tragulus–Moschiola* ssp.
Proboscidea	*Elephantidae*	*Elephas* ssp., *Loxodonta* ssp.

დანართი N4

ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული კონტროლის წესების ამოქმედების კრიტერიუმები ამ წესის მე-5 მუხლის შესაბამისად სიით განსაზღვრული დაავადებების პრევენციისა და კონტროლისთვის

ამ დანართის მოქმედების სფერო ითვალისწინებს დეტალური კრიტერიუმების აღწერას, რომლებიც სააგენტომ უნდა გაითვალისწინოს ამ წესის მე-5 მუხლის შესაბამისად სიით გასაზღვრული დაავადებების სხვადასხვა კატეგორიისთვის დაავადების პრევენციისა და კონტროლის წესების განსაზღვრისას.

კატეგორიზაციის პროცესში მხედველობაში უნდა იქნას მიღებული დაავადების პროფილი, ამ დაავადების გავლენის დონე ცხოველისა და საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე, ცხოველის კეთილდღეობაზე და ეკონომიკაზე; ასევე, დაავადების პრევენციისა და კონტროლის ღონისძიებების ამ წესით გათვალისწინებული დიაგნოსტიკური საშუალებების ხელმისაწვდომობა, მიზანშეწონილობა და ეფექტურობა.

თავი 1

ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული A კატეგორიის დაავადების პრევენციისა და კონტროლის წესების გამოყენების კრიტერიუმები

დაავადება, რომელზეც ვრცელდება ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაავადების პრევენციისა და კონტროლის წესები, მიიჩნევა დაავადებებად, რომელსაც ყველაზე მძიმე ზემოქმედება აქვს ცხოველისა და საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე, ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ ან გარემოსდაცვით მდგომარეობაზე. ეს

დაავადება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) შესაბამისი დაავადება:

ა.ა) არ დაფიქსირებულა საქართველოს ტერიტორიაზე;

ა.ბ) წარმოდგენილია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში (არარეგულარული ინტროდუქცია)

ა.გ) დაფიქსირებულია საქართველოს ტერიტორიის მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილში; და

ბ) არის ძლიერ გადამდები(კონტაგიოზური). პირდაპირი და არაპირდაპირი გადაცემის გარდა, შესაძლოა არსებობდეს ჰაერის, წყლის ან ვექტორული გავრცელების შესაძლებლობა. დაავადებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს შენახული და გარეული ცხოველების რამდენიმე სახეობაზე, ან ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე ცხოველების ცალკეულ სახეობებზე და შეიძლება გამოიწვიოს მაღალი ავადობა და მნიშვნელოვანი სიკვდილიანობის მაჩვენებლები.

ამ მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით განსაზღვრული კრიტერიუმების გარდა, ეს დაავადება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგი კრიტერიუმებიდან ერთს ან მეტს:

გ) დაავადებას აქვს ზოონოზური პოტენციალი საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვანი შედეგებით, მათ შორის ეპიდემიის ან პანდემიის პოტენციალი ან წარმოადგენს სურსათის უვნებლობის შესაძლო მნიშნვნელოვან საფრთხეს;

დ) დაავადებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე, რაც იწვევს მნიშვნელოვან ხარჯებს, ძირითადად დაკავშირებულია მის პირდაპირ ზეგავლენასთან ცხოველის ჯანმრთელობასა და პროდუქტიულობასთან;

ე) დაავადებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ ან მეტ ფაქტორზე:

ე.ა) საზოგადოებაზე, განსაკუთრებული გავლენა შრომით ბაზრებზე;

ე.ბ) ცხოველის კეთილდღეობაზე, დიდი რაოდენობით ცხოველებისათვის ტანჯვის მიყენებით;

ე.გ) გარემოზე, დაავადების პირდაპირი ზემოქმედების და მისი კონტროლის მიზნით განხორციელებული ზომების გამო;

ე.დ) გრძელვადიან პერსპექტივაში, ბიოუსაფრთხოებაზე ან გადაშენების პირას მყოფი სახეობებისა და ჯიშების დაცვაზე, მათ შორის, ამ სახეობებისა თუ ჯიშების გაქრობაზე ან სერიოზულ დაზიანებაზე.

თავი 2

ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული B კატეგორიის დაავადების პრევენციისა და კონტროლის ამოქმედების კრიტერიუმები

დაავადება, რომელზეც ვრცელდება ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის “ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაავადების პრევენციისა და კონტროლის წესები, აუცილებელია მისი აღმოფხვრის მიზნით მთელი ქვეყნის მასშტაბით ექვემდებარებოდეს კონტროლს.

ეს დაავადებები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) დაავადება უნდა იყოს ბუნებით ენდემური და ფიქსირდებოდეს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის ნაწილში.

ბ) არის ძლიერ გადამდები(კონტაგიოზური). პირდაპირი და არაპირდაპირი გადაცემის გარდა, შესაძლოა არსებობდეს ჰაერის, წყლის ან ვექტორული გავრცელების შესაძლებლობა. დაავადებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ცხოველის ერთ ან რამდენიმე სახეობაზე და გამოიწვიოს მაღალი ავადობა, თუმცა ზოგადად დაბალი სიკვდილიანობა.

გარდა ამ მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით განსაზღვრული კრიტერიუმებისა, ეს დაავადება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგი კრიტერიუმებიდან ერთს ან მეტს:

გ) დაავადებას აქვს ზოონოზური პოტენციალი საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე, მათ შორის ეპიდემიური პოტენციალი ან წარმოადგენს სურსათის უვნებლობის შესაძლო მნიშვნელოვან საფრთხეს;

დ) დაავადებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე, რაც იწვევს მნიშვნელოვან ხარჯებს, ძირითადად დაკავშირებულია მისი პირდაპირი ზემოქმედებასთან ცხოველის ჯანმრთელობასა და პროდუქტიულობასთან;

ე) დაავადებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ ან მეტ ფაქტორზე:

ე.ა) საზოგადოებაზე, განსაკუთრებული გავლენა შრომით ბაზრებზე;

ე.ბ) ცხოველის კეთილდღეობაზე, დიდი რაოდენობით ცხოველებისათვის ტანჯვის მიყენებით;

ე.გ) გარემოზე, დაავადების პირდაპირი ზემოქმედების და მისი კონტროლის მიზნით განხორციელებული ზომების გამო;

ე.დ) გრძელვადიან პერსპექტივაში, ბიოუსაფრთხოებაზე ან გადაშენების პირას მყოფი სახეობებისა და ჯიშების დაცვაზე, მათ შორის, ამ სახეობებისა თუ ჯიშების გაქრობაზე ან სერიოზულ დაზიანებაზე.

დაავადება, რომელზედაც ვრცელდება ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუქნტის „ა“ქვეპუნქტით განსაზღვრული ზომები, რომელიც წარმატებით და დროულად არ იქნა აღმოფხვრილი ქვეყნის ერთ ნაწილში და ქვეყნის ამ ნაწილში მიიღო ენდემური ხასიათი, შეიძლება დაექვემდებაროს ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დაავადების პრევენციისა და კონტროლის ზომებს.

თავი 3

ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული C კატეგორიის დაავადების პრევენციისა და კონტროლის ამოქმედების კრიტერიუმები

დაავადება, რომელზეც ვრცელდება ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაავადების პრევენციისა და კონტროლის წესები, აქტუალურია ზოგიერთ ნაწილში და აუცილებელია შესაბამისი ზომების მიღება, რათა არ გავრცელდეს ქვეყნის იმ ნაწილში, რომელიც ოფიციალურად არის დაავადებაზე თავისუფალ ზონად აღიარებული ამ კონკრეტულ დაავადებაზე.

ეს დაავადებები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) ხმელეთის ცხოველებში, აღნიშნული დაავადება უნდა იყოს ბუნებით ენდემური და იყოს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის ნაწილში;

ბ) ხმელეთის ცხოველებში, აღნიშნული დაავადება არის საშუალოდან ძლიერ გადამდები (კონტაგიოზური), ძირითადად პირდაპირი და არაპირდაპირი გადაცემის გზით. დაავადება ძირითადად აზიანებს ცხოველის მრავალ ან ცალკეულ სახეობას, ჩვეულებრივ არ იწვევს მაღალ ავადობას და სიკვდილიანობა ან უმნიშვნელოა ან საერთოდ არ ფიქსირდება. ხშირად ყველაზე შესამჩნევი ეფექტი არის წარმოებაზე მიყენებული ზარალი;

გ) წყლის ცხოველებში დაავადება საშუალოდან ძლიერ გადამდები (კონტაგიოზურია), ძირითადად პირდაპირი და არაპირდაპირი გადაცემის გზით. დაავადება გავლენას ახდენს ცხოველის მრავალ ან ცალკეულ სახეობაზე და შეიძლება გამოიწვიოს მაღალი ავადობა და, როგორც წესი, დაბალი სიკვდილიანობა. ხშირად ყველაზე შესამჩნევი ეფექტი არის წარმოებაზე მიყენებული ზარალი.

გარდა ამ მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით განსაზღვრული კრიტერიუმებისა, ეს დაავადება უნდა

აკმაყოფილებდეს ერთ ან რამდენიმე შემდეგ კრიტერიუმს:

დ) დაავადებას აქვს ზოონოზური პოტენციალი საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვანი შედეგებით, ან სურსათის უვნებლობის შესაძლო მნიშვნელოვანი საფრთხით;

ე) დაავადებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე, განსაკუთრებითი, პირდაპირი ზემოქმედება აქვს ზოგიერთი ტიპის მეცხოველეობის სისტემაზე;

ვ) დაავადებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ ან მეტ ფაქტორზე:

ვ.ა) საზოგადოებაზე, განსაკუთრებული გავლენა შრომით ბაზრებზე;

ვ.ბ) ცხოველის კეთილდღეობაზე, დიდი რაოდენობით ცხოველებისათვის ტანჯვის მიყენებით;

ვ.გ) გარემოზე, დაავადების პირდაპირი ზემოქმედების და მისი კონტროლის მიზნით განხორციელებული ზომების გამო;

ვ.დ) გრძელვადიან პერსპექტივაში, ბიოუსაფრთხოებაზე ან გადაშენების პირას მყოფი სახეობებისა და ჯიშების დაცვაზე, მათ შორის, ამ სახეობებისა თუ ჯიშების გაქრობაზე ან სერიოზულ დაზიანებაზე.

თავი 4

ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული D კატეგორიის დაავადების პრევენციისა და კონტროლის ამოქმედების კრიტერიუმები

ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაავადების პრევენციისა და კონტროლის წესები გამოიყენება დაავადებაზე, რომელიც აკმაყოფილებს ამ წესის პირველი, მე-2 ან მესამე ქვეთავით განსაზღვრულ კრიტერიუმებს და სხვა დაავადებაზე, რომელიც აკმაყოფილებს მე-5 ქვეთავით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, სადაც მოცემული დაავადებისგან გამოწვეული რისკი შეიძლება ეფექტურად და პროპორციულად შემცირდეს ცხოველისა და პროდუქტის გადაადგილებასთან დაკავშირებული ზომებით, რათა თავიდან იქნას აცილებული ან შეიზღუდოს მისი გავრცელება.

თავი 5

ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული E კატეგორიის

დაავადების პრევენციისა და კონტროლის ამოქმედების კრიტერიუმები

ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაავადების პრევენციისა და კონტროლის წესები ვრცელდება დაავადებაზე, რომელიც აკმაყოფილებს ამ დანართის პირველი, მე-2 და მე-3 ქვეთავებით გაწერილ კრიტერიუმებს და ასევე, სხვა დაავადებაზე, სადაც დაავადებაზე ზედამხედველობა აუცილებელია ცხოველის ჯანმრთელობის, კეთილდღეობის, ადამიანის ჯანმრთელობის, ეკონომიკის, საზოგადოების თუ გარემოს დაცვის მიზნებისთვის.

განმარტებითი ბარათი

„ცხოველთა ჯანმრთელობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე

ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტი ითვალისწინებს **„ცხოველთა ჯანმრთელობის წესის“** (შემდგომ - წესი) დამტკიცებას, რომელიც ადგენს ცხოველიდან ცხოველზე ან ადამიანზე გადამდები დაავადებების პრევენციისა და კონტროლის წესებს და მის მიზანს წარმოადგენს ქვეყანაში ცხოველთა ჯანმრთელობის გაუმჯობესება მდგრადი სოფლის მეურნეობის მხარდასაჭერად

და აკვაკულტურის წარმოებისთვის, საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე, გარემოსა და ცხოველთა ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების შემცირება.

პროექტის მე-2 მუხლით განსაზღვრულია ამ წესის მოქმედების სფერო, ხოლო მე-3 მუხლი ადგენს ამ წესის ცალკეულ მუხლების მოქმედების სფეროს.

პროექტის თანახმად, პროექტის მოქმედება ვრცელდება „სიით განსაზღვრულ დაავადებებზე“, რომლებიც მოცემულია წესის დანართში N2 და მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ დაავადებებზე. ასევე, წესი ვრცელდება ამ წესით გათვალისწინებულ ახალაღმოცენებად დაავადებებზეც. მე-7 მუხლით დადგენილია დაავადებების შეფასების კრიტერიუმები სიაში შესატანად...

პროექტის თანახმად, ეს წესი ვრცელდება ასევე „სიით განსაზღვრულ სახეობებზე“, რომელიც მოიცავს ცხოველთა იმ სახეობებს ან ცხოველთა სახეობების ჯგუფებს, რომლებიც წარმოადგენენ მნიშვნელოვან რისკს სიით განსაზღვრული კონკრეტული დაავადებების გავრცელებისთვის, შესაბამისი კრიტერიუმების საფუძველზე, შესაბამისად, მე-8 მუხლი ადგენს ცხოველთა სახეობების შეფასების კრიტერიუმებს შესაბამის დაავადებაზე სიაში შესატანად. აღსანიშნავია, რომ წესის თანახმად, სიით განსაზღვრული დაავადებები დაყოფილია კატეგორიებად.

პროექტის თანახმად, განისაზღვრება ცხოველთა ჯანმრთელობაზე, შემდეგი სუბიექტების პასუხისმგებლობა: ბიზნესოპერატორი, ცხოველთა სპეციალისტები, შინაური ბინადარი ცხოველების მომვლელები, ასევე განისაზღვრება კომპეტენტური ორგანოების ვალდებულებებიც.

პროექტით განსაზღვრულია ლაბორატორიების, ობიექტების და დაავადების გამომწვევ აგენტებთან, ვაქცინებთან და სხვა ბიოლოგიურ პროდუქტებთან შეხებაში მყოფი სხვა ფიზიკური და იურიდიული პირების ვალდებულებები, დაავადების შესახებ შეტყობინება და ანგარიშგება, ზედამხედველობა, , დაავადებებისგან თავისუფალი სტატუსის მინიჭების პირობები, ზედამხედველობა, დაავადებების აღმოფხვრის პროგრამები, დაავადების შესახებ ცნობიერების ამაღლება, მზაობისა და კონტროლის ღონისძიებები, დაავადებათა პრევენციისა და კონტროლისთვის ვეტერინარული პრეპარატების გამოყენება, ასევე, ცალკეული თავები არეგულირებს კონტროლის ღონისძიებებს ცალკეულ დაავადებებზე.

აღმოფხვრის პროგრამებთან დაკავშირებით წესი ადგენს აღმოფხვრის სავალდებულო და არასავალდებულო პროგრამებს, სავალდებულო და არასავალდებულო პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებებს, შინაარსსა და ანგარიშგებას.

წესით ასევე განისაზღვრება ამ წესის მე- 9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა", „ბ" და „გ" ქვეპუნქტებში მითითებული სიით განსაზღვრული დაავადებების კონტროლის ღონისძიებები შენახულ და გარეულ ცხოველებში, როგორც საეჭვო ასევე დადასტურებულ შემთხვევებში.

წესის მე-14 თავი აწესრიგებს ბიზნესოპერატორის მიერ საწარმოს რეგისტრაციასა და ავტორიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, ასევე აღიარებას, მიკვლევადობასა და ცხოველთა გადაადგილებას. გათვალისწინებულია სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ საწარმოს აღიარების გადახედვის, შეჩერებისა და გაუქმების მექანიზმები.

წესით განსაზღვრულია მოთხოვნები: ხმელეთის შენახული ცხოველის ქვეყანაში გადაადგილებისთვის; წყლის ცხოველების გადაადგილებისთვის; გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალების გადაადგილებასთან დაკავშირებით; ცხოველური წარმოშობის პროდუქტების წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის შესახებ; აკვაკულტურის ცხოველის ჯანმრთელობის სერტიფიცირების თაობაზე; წყლის ცხოველებისაგან წარმოშობილი ცხოველური წარმოშობის პროდუქტების წარმოება, გადამუშავება და დისტრიბუციასთან დაკავშირებით, გარდა წყლის ცოცხალი ცხოველებისა; გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალების გადაადგილებასთან დაკავშირებით; ცხოველების, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების სხვა ქვეყნიდან ან ტერიტორიიდან საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებით; ზოგიერთი ტიპის ტვირთის, გარდა ცხოველისა, გასამრავლებელი (გენეტიკური) მასალისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტისა, სხვა ქვეყნიდან და ტერიტორიიდან საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებით; ექსპორტის შესახებ; შინაური ბინადარი ცხოველების არაკომერციული გადაადგილების შესახებ სხვა ქვეყნიდან ან ტერიტორიიდან.

ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

პროექტის შემუშავებულია „ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანების და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების" ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შეთანხმების ფარგლებში, Commission Delegated Regulation (EU) 2020/687 of

17 December 2019 supplementing Regulation (EU) 2016/429 of the European Parliament and the Council, as regards rules for the prevention and control of certain listed diseases-ის საფუძველზე.

ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება

პროექტი არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენას.

ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება

პროექტი არ ახდენს გავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება -------

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

პროექტის მიღებით,

პროექტის განხორციელების ვადები

დადგენილება ამოქმედდება

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.